

# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»

პარიზი. ივლისი - აგვისტო 1931 წ.

№ 9 - 10

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. ათი წლის ბრძოლა და მისი ახალი გზები ..... \*\*
2. ჩვენი ბრძოლა ახალს საერთაშორისო პირობებში ალი
3. აღ. ასათიანის მოხსენება ათი წლის თავზედ.. \*\*
4. დავით ვაჩნაძის სიტყვა ..... \*\*
5. აღ. ასათიანის საპასუხო სიტყვა ..... \*\*
6. ქართული ეკლესია უცხოეთში ..... მორწმუნე
7. კათ. ლეონიდის ეპისტოლეს წინასიტყვაობა .. რ. ინგილო
8. აგვისტოს აჯანყება ..... სოლ. ზალდასტანიშვილი
9. ნოე რამიშვილი ..... \*\*
10. გიორგი ლასხიშვილი ..... დონ-ვინ
11. კუთხური პატრიოტიზმი ..... ელ. პატარიძე
12. აკაკი ხოშტარია ..... მეურნე
13. კეთილშობილი ქართველი ქალი ..... \*\*
14. ემიგრაციის ცხოვრება ..... \*\*
15. ზოგიერთი განმარტებანი ..... აღ. ასათიანი
16. ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ .... დ. ხ.
17. წერილი რედაქციის მიმართ ..... დ. ხელაძე



# საქართველო



საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
პერიოდული ორგანო.

**L'Organe de la démocratie nationale géorgienne «LA PATRIE»**

პარიზი. ივლისი-აგვისტო 1931 | № 9-10 | Paris, Juillet-Aout 1931

## ათი წლის ბრძოლა და მისი ახალი გზები

საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის 10 წელი დასრულდა. ხალხთა ცხოვრებაში ეს არ არის დიდი დრო და მანძილი მაგრამ არც მცირე ხანაა ის თანამედროვე პირობებში, როდესაც ყოველივე სწრაფის მსვლელობით მიმდინარეობს.

ამას კიდევ თან დაერთვის ის განსაკუთრებული მოცულობა, რომელშიდაც მოემწყვდა ჩვენი ეროვნული ცხოვრება ამ უკანასკნელს ხანში და რომელიც არასოდეს უხილავს წინეთ ჩვენსა და არც სხვა რომელიმე ერს.

ეს ჩვენი ბრძოლა არ არის იმ სახის ბრძოლა თავის ეროვნული მეობის აღდგენისათვის, რომელიც მას მრავალჯერ უწარმოებია საუკუნეთა მანძილზედ. ჩვენს სამშობლოში შემოჭრილი უცხო ძალა არ დაკმაყოფილდა იმით რითაც კმაყოფილდებოდნენ სხვანი საქართველოს მიწა-წყალზედ რომ თავის ბატონობა დაუმკვიდრებიათ ჩვენი გრძელი ისტორიის მანძილზედ. ეროვნული სუვერენობის დამხობა, ქართველ ერზედ თავის ძალა-უფლების გაბატონება და ქვეყნის დაბეგვრა მან არ იკმარა. ის მისწვდა ხალხური ცხოვრების, საუკუნეთა გასწვრივ დამკვიდრებულ ცხოვრების გარდაქმნას, მაგრამ არა ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივის გზებით, ცხოვრებაში უკვე აღნიშნულ ბუნებრივი განვითარების გზის გაკაფვით, მისაპროგრესიული მსვლელობისათვის ხელის შეწყობით და დაჩქარებით. არამედ ამ ცხოვრების ერთიანად გადაყირავებით, დანგრევით, დაღწევით, რომ მის ნაცვლად აშენებულყოფი ის, რაც არსად აშენებულა, არსად ხილულა და მხოლოდ ვიწრო სექტის ვიწრო გონებაში ბინადრობდა, როგორც ოცნება უსაფუძლო და უნიადაგო.

კომუნისტურ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ეს ორი





მხარე აქვს, ეს ორი ამოცანა დაისახა მიზნად საქართველოში 1921 წელს შემოჭრილმა კომუნისტურმა რუსეთმა და მას ემსახურება და ანხორციელებს უდიდესი ენერჯით, სიბეჯითით და შეუბრალებლობით. ათი წელი გავიდა მხოლოდ ამის შემდეგ და რა დიდი და მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას ამ მოკლე დროთა მსვლელობამ? შეიძლება—მთელი საუკუნეც არ მოიპოვებოდეს ჩვენს ისტორიაში, რომელსაც ამოდენა მწარე განცდა და მძიმე გარდატეხები მიეყენებინოს ჩვენი ქვეყნისათვის. ერის ქონებრივი არსებობის ყველა საფუძვლები დანგრეულია ან და მძიმედ შერყეული, ერის სულიერი ცხოვრების სამყარო შემურულია, შებლაღულულია, გაჩანაგებულია. ყოველივე ამის ნანგრევებზედ უნდა აგებულყო ახალი ცხოვრება, ქვეყნიური კომუნისტური სამოთხე და ისიც შენდება, ნამდვილი სამოთხე გაბორცტებულ მცირერიცხოვან წრისათვის, ხოლო ჯოჯოხეთი მთელი ეთისათვის.

სულიერი ცხოვრების ყველა ღირებულება ფასდაკარგულია, ძმა-ძმის შეურიგებელ და მოსისხლე მტრად არის გადაქცეული. ძმობა, სიყვარული, ამხანაგობა და მეგობრობა ბოროტებად არის მიჩნეული, ხოლო გამცემლობა, შურის ძიება, ღვარძლი და მტრობა სათნოებად და სიკეთეთ. ადამიანის უფლება თავისუფლებაზედ უკვე აღარავის ახსოვს, თვით ადამიანის უფლება ლუკმა-პურზედ, შრომაზედ, თავის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაზედ უარყოფილია ჯერ „ბურჟუაზიისთვის, კონტრ-რევოლიუციონერებისათვის“, შემდეგ „კულაკებისათვის“ და ბოლოს მთელი ერისათვის, გარდა კომუნისტებისა. ამ გზით ააშენეს ჩვენ სამშობლოში „სამოთხე“—სიმშობის, ტერორის, მონობის, „სამოთხე“ ერის ფიზიკური და სულიერი გადაგვარების...

და ეს ათი წელი იყო მძიმე გზა გოლგოთასი ჩვენი ერისათვის... და მშობელი ერის მწარე განცდანი გოდებათ იქცა და სასოწარკვეთილ გმინვად მისი მონობის ათეულის დასასრულში. ამ ეროვნული მონობის დასაწყისში ის დასტროდა დაკარგულ თავისუფლებას, უცხოთა უღლის სიმძიმეს, შემდეგ დევნას, საუკეთესო შვილთა დაკარგვას, უცხო ქვეყნებში გადასახლებას, შემდეგ სინდისის შელახვას, ზნეობის შებლაღვას, და შემდეგ და ამის შემდეგ მუდამ ფიზიკური განადგურების საშიშროებას, ერის ქონებრივი არსებობის ყველა ძარღვების გადაჭრას, მუდმივი სიღატაკისა და სიმშობის დამყარებას. ჩვენ ყველანი აქ განწირულივართ—ასეთია ჩვენი ერის სასოწარკვეთილი ხმა, რომელსაც გამუდმებით გვაწვდენს ის ჩვენ, მისი სხეულის განუყოფელ ნაწილს, მებრძოლ ემიგრაციას.

როგორ უპასუხებს ასეთს ვითარებას ერის ხელმძღვანელობა,



მისი ბრძოლის მეთაური წრეები? როდესაც 1921 წლის მარტის დღეებში მტერმა აიღო მებრძოლი ერის უკანასკნელი პოზიციები და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი უცხოეთში გავიდა—ბრძოლის განსაგრძობლად, ხოლო დანარჩენი ადგილობრივ დარჩა ამავე მიზნით, პირველი სიტყვა, რომელიც გაისმა ამ წრეებში, ეს იყო სიტყვა შეთანხმებასა და ერთობაზედ. ეს სიტყვა გაისმა იმ პოლიტიკურ პარტიიდან რომელიც არ იყო ქართველი პოლიტიკის მეთაურობის მონაწილე ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის წლებში და მისი დამხობის ხანაში. ეს იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნულ ძალთა გაორებამ და დაპირდაპირებამ დაამხო ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა, აუცილებელია ამისი გადალახვა და მხოლოდ ძალთა გაერთიანებით შეიძლება დაკარგულის კვლავ დაბრუნება—ასეთი იყო ამ პარტიის ხელმძღვანელი გეზი.

ამის შემდეგ გადის ათი წელი, მძიმე ბრძოლების, დიდი მსხვერპლის, მწარე განცდებისა.

იმ ხანად მიღწეული თანხმობა და ერთობა განმათავისუფლებელ ბრძოლაში შემდეგ წლებში მისუსტდა და გადაგვარდა. ძველმა ინსტიტუტებმა და სულისკვეთებამ ჰეგემონიისა და უპარატესობათა ძიებისა, რაც წინეთ ჰქმნიდა გაორებას და დაქსაქსულობას, კვლავ იჩინა თავი მენშევიკურ მმართველს წრეებში და ჩვენი ახალი ბრძოლის ათი წლის თავზედ ფაქტიურად იგივე მდგომარეობა იქმნება, რაც იყო დასაწყისში.

მაგრამ რომ ასეთი ვითარების გადალახვისათვის წამალი არის ძალთა გაერთიანება და შეთანხმება, ამას ესლა უკვე ყველა პოლიტიკური ძალები გრძნობენ, ხოლო მისი განაღდება ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ.

უკვე ერთი წელიწადია, რაც საქართველოს მმართველ წრეების და სოც.-დემ. პარტიის ორგანოები—„დამოუკიდებელი საქართველო“ და „ბრძოლის ხმა“ ხშირად სწერენ ამ საგანზედ და მიჰმართავენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის და მასთან დაკავშირებულს კავკასიურს ძალებს, „სამშობლოს“ და „დამოუკიდებელ კავკასიის“ ორგანოებს—საჭიროა ძალთა გამთელება და გაერთიანება, არსებობს ქართული და კავკასიური საერთო ფრონტი, მაგრამ მის გარეშე იმყოფებიან ძალები, რომელიც იმავე მიზანს ემსახურებიან, ხოლო მასთან შეთანხმებული არ არიანო. ასეთია არსებითი აზრი ამ წერილებისა. მართალია მათ თან დაერთვის მრავალი სხვა, სრულიად საწინააღმდეგო წერილები, მიმართვანი, და მოქმედებანი, მაგრამ მათ ჩვენ გვერდს აუხვევთ და გაერთიანების სა-



ჭიროების საკითხს უკვე საჯარო მოხსენებებით უპასუხეთ და ამჟამად ბეჭდვითი სიტყვით ვადასტურებთ—დიახ, საჭიროა, მიუტოვებელი და სავალდებულო. ამის გარეშე შეუძლებელია შენარჩუნება და გაძლიერება ჩვენი მებრძოლ პოზიციებისა და მებრძოლ ძალებისა. უამისოდ მოგველის ჩვენი ეროვნული საქმის დაცემა და დაკნინება შინ და გარეთ, ხორციელად და სულიერად.

ასეთი ერთობის გარეშე ფრიად ძნელი იქნება ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის მაღალი ზნეობისა და ღირებულების შენარჩუნება და შეუძლებელი გახდება გამოყენება ყველა იმ პირობებისა და შესაძლებლობისა, რომელსაც იძლევა თუ მომავალში მოგვეცემს ჩვენი ბრძოლის საშინაო და საგარეო პირობები.

მაგრამ როდესაც ეს საკითხი დგება ამ ჟამად, ათი წლის მაგალითებისა და გამოცდილების შემდეგ, ბუნებრივია და სავალდებულოც, რომ განვილილ წელთა განმავლობაში ჩამოგდებულ შეთანხმებათა უარყოფითი მხარეები შეგნებულ იქმნას და გათვალისწინებული, სავსებით ახდილად, გულწრფელად და შეგნებულად, რათა იგი თავიდან იქმნეს აცდენილი მომავალში.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მუდამ იყო და იქნება ეროვნულ ძალთა გაერთიანებისა და შეთანხმების მობაირახტრედ ეს გამომდინარეობს ამ პარტიის სახელმწიფოებრივი ბუნებისა და ხასიათისაგან. ამ საფუძველზე იდგენ აგრეთვე ყველა ის მებრძოლი ძალები, რომელნიც ამ პარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩადგენ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის ასპარეზზე და იქ სასახლო ბრძოლები გადაიხადეს, მამულისათვის თავი დასდევს და გაიწირენ. ამ ათი წლის განმავლობაში საერთო მტრის წინაშე, საერთო ბრძოლის ასპარეზზე გაღებულმა მსხვერპლმა და დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო განამტკიცეს და გააქვეითკირეს ეს ეროვნული ერთობის იდეა. მაგრამ ეს ბრძოლის ერთობა ვერ დაემყარება რომანტიკულ განცდებს. ის ვერ აშენდება მხოლოდ ერთობის ძიების გრძნობებზედ. მომავალ ჩვენს ერთობას და მთლიანობას უნდა მიეცეს ის შინაარსი, რომელიც აკლდა წინანდელს და რის გამო მათ დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ვერ დაუბრუნდება შეთანხმებას და ძალთა გაერთიანებას ფორმალურსა და გარეგნულს. ჩვენი ეროვნული საქმის ახალი ვითარება განსაკუთრებულად გვიკარნახებს ძალთა ორგანიულ და გულწრფელ შეთანხმებას უდავო საერთო ეროვნულ მიზნებისა და საყოველთაოდ მიღებულ პოლიტიკური მორალის ნიადაგზედ.



ასეთია ჩვენი სამართლიანი და უდავო მიზნების განხორციელების ერთად ერთი გონიერი და მიზანშეწონილი გზა. ვინც მას გადაუხვევს და წინააღმდეგობას გაუწევს, ის მეტად მძიმე პასუხისმგებლობას დაიკისრებს განაწამებ ერის წინაშე.

### ჩვენი ბრძოლა ახალს საერთაშორისო პირობებში

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკას არ ახსოვს ისე მდიდარი სეზონი, როგორიცაა ეს უკანასკნელი თვეები.

ჯერ იყო და ავსტრო-გერმანიის საბაჟო ხელშეკრულებამ შეარყია ცუდად შეთანხმებული, მაგრამ საკმაოდ მიყუჩებული საერთაშორისო ურთიერთობა. საფრანგეთმა და მასთან ერთად ყველა მისმა ძველმა მოკავშირეებმა დაინახეს ამ აქტში დადებულ პირობათა გადალახვა გერმანიის მხრივ და ავსტრიის შერთებისათვის ახდელად ნიადაგის შემზადება. ევროპის პოლიტიკური ცა მეტად მოიღუშა და საჭირო გახდა ზოგის დიდი სიმტკიცე, ზოგის დიდი მოქნილება და თვით გერმანია-ავსტრიის ზომიერება და დათმობის გეზი, რომ დამცხრალიყო ეს მეტად სახიფათო მებრძოლი განწობილება. ეს სადავო ხელშეკრულება ამ ხანად მოიხსნა. ის გააგის ტრიბუნალს გადაეცა მის ფორმალური საფუძვლებზედ დასკვნების გასაკეთებლად. ასე დასრულდა ეს „ანშლიუსის“ სეზონი. ორივე მხარე ბევრ მწარე ამბებს იგონებდენ და სიტყვა „ომი“ მეტად ხშირად იყო ხმარებაში, მაგრამ ყოველივე ეს მიწყნარდა და ცუდი, მაგრამ მშვიდობიანი, განწყობილება კვლავ დამყარდა მოდავეთა შორის.

სრულიად საწინააღმდეგო ბუნების იყო მეორე მოვლენა, რომელსაც იმავე ენენავში იმავე ხანში და იმავე მსოფლიო დიპლომატთა კრებულში ჰქონდა ადგილი. ეს იყო ევროპის ფედერაციის შემამზადებელი კომისიის ყრილობა, რომელსაც ევროპის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელნი დაესწრენ და მათ შორის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელიც. ამ მოვლენის მნიშვნელობა სრულიად არ ემყარება თვით ამ კომისიის მუშაობას და მის შედეგებს. ევროპის ფედერაციის დამყარების საქმე მას არც გადაუჭრია და არც მოუახლოვებია. ეს ყრილობა გახდა ბევრის თვალში ფრიალ ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი შედეგების მოციქული და წინამორბედი იმის გამო, რომ მას ესტუმრა ნამდვილი ბოლშევიკური დიპლომატი და, რაც მთავარია, არა ისე, როგორც წინეთ, არამედ სულ სხვანაირ-





რად. ეს ბოლშევიკური დიპლომატი ლიტვინოვი წინანდებურად არავის ლანძღავდა, არავის ემუქრებოდა, არამედ მშვიდობიანად მსჯელობდა კომისიაში აღძრულ კითხვების გამო და თითქმის სავსებით ისევე, როგორც ყველა დანარჩენი მისი „კოლეგები“. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა დამსწრეთათვის, რომ მსოფლიო პოლიტიკის მეთაურები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავის კმაყოფილების გამოთქმაში. უწინარეს ყოვლისა შეუდგენ ამ ახალი სტუმრის დარწმუნებას იმაში, რომ ევროპის ქვეყნები სრულიად არ არიან მტრულად გამწყობილი საბჭოების მიმართ და ომზე და ინტერვენციასზედ არავინ ჰფიქრობს. ამის შემდეგ არწმუნეს და არწმუნეს ეს ბოლშევიკების წარმომადგენელი ზავისა და მშვიდობიანი ურთიერთობის სარგებლობიანობაში ორივე მხარისათვის. ამ რიგად ლიტვინოვის ფორმულამ, რომ კომუნისტური რუსეთისა და კაპიტალისტური ქვეყნების ჰარმონიული განვითარება პარალელურად სავსებით არის შესაძლებელი, ჯადოსნური შედეგები გამოიღო. საბჭოთა რუსეთის საერთაშორისო საქმეებში ჩათრევის გეგმა მისი მოწინაურების მიზნით და მასთან მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობის დამყარების ცდა კვლავ გახდა აქტიურ პოლიტიკურ ამოცანად ევროპის დიდ სახელმწიფოებში და გაცილებით უფრო დიდათ, ვიდრე ეს იყო გენუის კონფერენციის ხანებში. საფრანგეთმა უკვე განაახლა საბჭოებთან მოლაპარაკება შესახებ ძველი ვალებისა და რასაკვირველია, ახალი კრედიტებისა, რადგან უამისოდ ბოლშევიკებუბრალო ლაპარაკსაც არ თანხმდებიან კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ხოლო ინგლისის მთავრობამ უკვე აცნობა თემთა პალატას, რომ ის უხსნის საბჭოთა რუსეთს ოთხი მილიარდი ფრანკის კრედიტს სწორეთ იმავე პირობებში, როგორშიდაც გერმანია, ასე დიდს წყრომასა და უკმაყოფილებას რომ იწვევდა სხვებში.

ამერიკის პრეზიდენტი ჰუვერის გამოსვლაც ამავე მსოფლიო ეკონომიური ურთიერთობის გაჯანსაღების მიზნით არის დასაბუთებული. გერმანია, რომელიც უდიდეს ეკონომიურ კრიზისს განიცდის და, ზოგიერთ ეკონომისტების აზრით, უდიდესი კრახის წინაშე იდგა, ჰუვერის ჩარევის გამო განთავისფლდა ერთი წლის ვადით იუნგის გეგმით ნაგულისხმევ თანხების გადახდისაგან. ეს თანხები მონხარდება მისი ეკონომიური ცხოვრების საკირობებს და შესაძლოა ამან მნიშვნელოვანადაც გამოასწოროს ამ ქვეყნის ეხლანდელი მდგომარეობა. ბევრი უფრო შორს მიდის და ჰუვერის გამოსვლას უფრო დიდს შედეგებს უქადის—საფრანგეთ-გერმანიის მტკიცე და საიმედო დაახლოვებას და მით გერმანიის დაშორებას განკერძოებულ გზების ძიებისა საბჭოთა რუსეთის მიმართ.

ყველა ამ მოვლენებმა ფრიალ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეი-





ტანეს საერთაშორისო ურთიერთობაში და უთუოდ მრავალი ახალი გეგმა და ამოცანა დაუსახეს დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელებს. ასეთს ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა რუსეთის პოლიტიკის ახალს შებრუნებას, რომელიც სტალინის მიერ პასუხისმგებელ კომუნისტთა კრებაზედ 23 ივნისს წაკითხულ მოხსენებაში არის გამოკვლეული. უკეთეს სინამდვილეში იქმნა განადგობული ყოველივე ის, რაც ამ მოხსენებაშია გამოთქმული. ეს იქნება უთუოდ უფრო მნიშვნელოვანი შებრუნება საბჭოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკისა, ვიდრე ლენინის ნები იყო. ევროპის პრესამ ეს კაპიტალიზმისაკენ დაბრუნებად მონათლა და ეს არ არის მოკლებული საფუძვლებს. შრომის პირობებში უარყოფა ყველა იმ დემაგოგიური წესებისა, რომელიც კომუნისტებმა შემოიღეს და რაც შეუძლებლად ხდიდა წარმოების დაფუძნებას მტკიცე და საიმედო საფუძვლებზედ, სოფლის მეურნეობაში ყველაზედ უფრო მომქმედ და შემომქმედ ელემენტების მიმართ დაუსრულებელი ტერორის აღკვეთა და ამ „კულაკების“ უფლებრივად სხვებთან გათანაფრთხილება, უპარტიო ელემენტების მიმართ დენის აღკვეთა, სპეციალისტებისადმი საჭირო ნდობის აღდგენა და სხ., ასეთი, სტალინის მიერ აღთქმული, ზომები უდიდეს ცვლილებებს შეიტანს საბჭოთა რუსეთის ცხოვრების ყოველს დარგში.

სტალინი ამ მოხსენებაში ერთგვარ ნდობას უცხადებს აგრეთვე იმ იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომელთაც წინეთ მუდამ შეთქმულებებსა, ომებსა და ინტერვენციების განზრახვებს სწამებდა. მათ ილიუზიები გაეფანტათ ჩვენს შესახებ და მათგან ინტერვენცია მოსალოდნელი არ არისო. ამ რიგად სტალინმა გააფართოვა, გააღრმავა და გარკვეული შინაარსი მისცა იმ ფორმულას, რომელიც მისმა დიპლომატმა წარუდგინა მსოფლიო დიპლომატთა კრებულს. კაპიტალისტურ დაკომუნისტურ ქვეყნების მშვიდობიანი, ჰარმონიული განვითარება და ეს ჰარმონია რომ უფრო დასაჯერებელი იყოს კომუნისტურ პოლიტიკისათვის უფრო ბასრი კლანჭების შეჭრა—აი რას პირდება ის ამ ჟამად იმ ქვეყნებს, რომელთაც ის წინეთ მხოლოდ ემუქრებოდა მსოფლიო რევოლიუციის აღში გახვევით.

რასაკვირველია, სტალინის პოლიტიკის ასე რადიკალურად შებრუნებას უდიდესი ცვლილებები შეაქვს იმ განმათავისუფლებელი ბრძოლის პოლიტიკაში, რომელსაც აწარმოებენ საბჭოთა კავშირში მომწყვდეული, დაპყრობილი თუ დამონებული ეროვნებანი. სტალინის ეს ახალი გეზი არ აახლოვებს ამ ეროვნებათა მიზანს და, წინააღმდეგ ამისა, უფრო ცუდს პირობებსაც შეუქმნის პირველს ხანებში მათს ბრძოლას შინ და გარეთ. მაგრამ ის ვერ შელახავს იმ ზნეობრივსა და



უფლებრივ საფუძვლებს, რომელზედაც ემყარება ამ ეროვნებათა განმათავისუფლებელი ბრძოლა. ევროპის ქვეყნებიც მალე დაინახავენ, რომ სტალინის ახალი გეზი არ იძლივა იმ ნაყოფს, რომელსაც ისინი მოელიან. ასეთი მანიოვრები ბოლშევიკებს წინეთაც გაუკეთებიათ და უკეთეს პირობებშიდაც, მაგრამ ამას მხოლოდ გარეგნულად და ცხოვრების ზედაპირზედ მოუხდენია ცვლილებები, ხოლო ბოლშევიკური პოლიტიკის მთავარი ძარღვები უცვლელად დაუტოვებია.

მაგრამ შესაძლოა სტალინის ამ ახალმა პოლიტიკამ დროებით მაინც შეიტანოს ერთგვარი ზომიერება და ნაწილობრივი წესრიგი იმ საშინელს ქაოსში, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრების ყველა დარგები. ზოგიერთებს ეს მავნებლად მიაჩნიათ განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმისათვის. რამდენად უფრო მჭიმე იქნება მონობის უღელი, რამდენად უფრო აუტანელი იქნება ის ფიზიკურად, ეკონომიურად და სულიერად, მით უფრო აქტიური იქნება მის წინააღმდეგ ბრძოლა და წინააღმდეგობაო.

გონივრული, რეალური პოლიტიკა ვერასოდეს შეიწყნარებს ასეთს შეხედულებას. საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა მდგომარეობა იმ ზომად მძიმე და აუტანელი გახდა, რომ ფიზიკური განადგურების და სრული გადაგვარების საშიშროების წინაშე აყენებს მათ და ჩვენი ერიც ასეთს საშინელებას განიცდის. ყველასთვის ნათელი უნდა იყოს და გასაგები, რომ ასეთი ვითარების განვითარება ხიფათში ჩააგდებდა ყველა მის მიზნებსა და იდეალებს. ყველა ის ცვლილებები, რომელნიც შეანელებენ ასეთს მდგომარეობას და ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ეროვნებათა ცხოვრების ოდნავად მაინც აღდგენასა და გაუმჯობესებას, ახალს ძალასა და ახალს წყაროს მისცემენ ამ ერთა განმათავისუფლებელ მიზნებსა და მისთვის ბრძოლას.

ალი

## აღ. ასათიანის მოხსენება „ათი წლის თავზედ“...

ეს საჯარო მოხსენება გააკეთა ბ. აღ. ასათიანმა პარიზის ქართულ საზოგადოების წინაშე 19 აპრილს. ეს პირველი შემთხვევა იყო ემიგრაციაში, როდესაც ჩვენი ეროვნული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები და მომავალში მისი მიმართულების ხაზები საჯაროდ იქმნა წარმოდგენილი, ახსნილი და განმარტებული სხ. და სხ. მიმართულების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ქართული საზოგადოება დიდის ყურადღებით შეხვდა მოხსენებას. ასე მრავალრიცხოვანი კრებები ქართულს კოლნიაში იშვიათად



მომხდარა. მოხსენებაში აღძრულ კითხვების გარშემო კამათში ვსტანა კიდეც ორს კრებაზედ 10 და 31 მაისს. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი იოსებ დადიანი.

მოხსენების დასაწყისში თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ დღევანდელი მოხსენება არის დასაწყისი და შესავალი მთელ რიგ მოხსენებათა, რომლის მოწყობა განზრახული აქვს საქ. ეროვ.-დემ. პარტიის საზღ.-გარ. ცენტრ. ბიუროს ჩვენი ეროვნული პოლიტიკის სხვა და სხვა მხარეების გაშუქების მიზნით.

ბ. აღ. ასათიანის მოხსენება ცალკე დაიბეჭდება. აქ ჩვენ მოვყავას მისი უმთავრესი საფუძვლები.

### ალ. ასათიანის მოხსენების უმთავრესი დებულებანი

1. 1917-18 წლებში საქართველომ განიცადა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გარდატეხა—ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და საკუთარი სახელმწიფოებრივი მშენებლობის დაწყება. რუსეთის მიერ, 1921 წ. საქართველოს ოკუპაციამ შეაჩერა ეს პროცესი, მაგრამ მანვე გამოიწვია ერის სიღრმეში მძაფრი საწინააღმდეგო ბრძოლა, რომელიც შემდეგ მძლავრ ეროვნულ სტიქიონად იქცა და მით 1917-18 წლის პოლიტიკური გარდატეხა დაიდ ეროვნულ რევოლუციად აქცია.
2. ათი წლის განმათავისუფლებელი ბრძოლა ამის შემდეგ არის სინტეზი ამ ორი ეროვნული გარდატეხისა. მასში გაერთიანდენ ახალი საქართველოს ყველა პოლიტიკური ძალები, რომელნიც წინა წლების პოლიტიკას მეთაურობდენ, თუ მართველობის გარეშე იდგენ. ეს იყო საქართველოს ახალი მებრძოლი დარაზმულობა და მისი გამოსახულებაა—1921 წლის სვანეთის, 1922 წლის კახეთ-ხევსურეთის და 1924 წლის საერთო აჯანყებები, შეთქმულობანი და პოლიტიკური პარტიათა მუდმივი მუშაობა შინ და გარედ.
3. ამ ბრძოლებში ბრწყინვალედ არის წარმოდგენილი ჰველი საქართველოს მხედრული მემკვიდრეობა. საუკუნეთა განმავლობაში შეთვისებული ბრძოლის უნარი და სამშობლოსათვის თავდადება ატოვებებს საუკეთესო ფურცლებს ჩვენი ერის მებრძოლ მატიანესა. ხოლო ასევე ნათლად მქლავნდება ახალი საქართველოს პოლიტიკური ვითარების სუსტი მხარეები. სადაც ის ძლიერია, ეს იგივე ძველი საქართველოს მემკვიდრეობაა—მამულისათვის თავგანწირვა და უტენი ბრძოლის უნარი. ახალი პოლიტიკური ძალები სუსტნი არიან პოლიტიკური ვითარების გაგებისა და დაფასების საქმეში. ისინი ვერ იყენებენ ჯეროვანად თავის ძალებს, საგარეო და საშინაო პირობებს და ვერ აღწევენ უმთავრეს ეროვნულ ძალთა ჯანსაღ გაერთიანებას საერთო და უდავო მიზნებისა და ამოცანების ნიადაგზედ.
4. ჩვენი პოლიტიკური ძალების ეს სუსტი მხარეები გამოძახილია



უმთავრესად იმ გარემოებისა, რომ ქართველი ერი ახალი გამოსულია თანამედროვე პოლიტიკის ასპარეზედ და მას აკლია მისი ბუნებისა და ხასიათის ცოდნა და გამოცდილება.

5. ასეთი ვითარების ანარეკლია ის არაბუნებრივი და ჩვენი ცხოვრების პირობებისათვის შეუფერებელი, მუდმივი, შეუთრეგებელი და მძაფრი დაპირდაპირება, რომელიც არსებობს 30 წლის მანძილზედ საქართველოს ორს უმთავრეს პოლიტიკურ მიმართულებათა და პარტიათა შორის—ეროვნულ-დემოკრატიულსა და სოციალ-დემოკრატიულსა. სხვა პარტიები სხვა და სხვა დროს ამ მანძილზედ და სხვა და სხვა საკითხებში ხან ერთს მხარეს უახლოვდებიან და ხან მეორეს.
6. ასეთი დაუსრულებელი პოლიტიკური დუელი ამ ორ მიმართულებათა შორის გაუმართლებელი იყო განსაკუთრებით 1917-18 წლებიდან, როდესაც მათ არაფერი რჩებოდათ სადავო მახლობელი პოლიტიკის უმთავრეს საკითხებში—(საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი შენება დემოკრატიულ ნიადაგზედ, დემოკრატიული სოციალური რეფორმები და სხვა).
7. კიდევ ნაკლები საფუძვლები დარჩა ამისთვის 1921 წლის შემდეგ, როდესაც შეჩერებული იქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობა და მით ამ ორ მიმართულებათა შორის არსებული სადაო საკითხები აღარ შეიძავედნ რეალური პოლიტიკის საგანს.
8. მახლობელი მომავალიც, თვით საქართველოს განთავისუფლების შემდგომი ხანაც კარგა დიდს მანძილზედ არ მოიცემა ასეთი მძაფრი დაპირდაპირების საფუძვლებს. არ არსებობს რესტავრაციის საკითხი რაიმე სახისა, არ გვექნება თუნდაც ისეთი სუსტი კლასიური დანაწილება, როგორიც იყო წინეთ და ატრ მისი გამოძახილი, შეუთრეგებელი კლასიური სულასკვეთება. ხანგრძლივი სულიერი ტანჯვითა და ქონებრივი გადატაკებით გათანასწორობული ერი მოითხოვს მშვიდობიანი დემოკრატიული აღმშენებლობის პოლიტიკას.
9. საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის უმთავრესი მიზანი—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა—საერთოა და უდავო ყველა პოლიტიკური პარტიებისათვის და საერთოდ მთელ მებრძოლ ერისათვის. მაგრამ ეს მიზანი მიიღებს პლატონიურ სახეს, უკეთეს ის არ დაეყრდნობა მეორე დიდს ამოცანას, რომელიც დარჩება მუდმივ, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც. ეს არის სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაგება და შეგნება, მისი არსებობის პირობათა და საკურობათა წარმოდგენა და გათვალისწინება, ერთის სიტყვით პოლიტიკური გაწვრთნა და განვითარება.
10. ეს ამოცანები მოითხოვენ განსაკუთრებულ მზრუნველობას და ყურადღებას ჩვენი ერის პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო. ის შეეხება, რასაკვირველია, არა მარტო ხალხს, მასსას, არამედ კიდევ მეტად მის ხელმძღვანელ პოლიტიკურ წრეებს. საშუაო ამოცანაა



ჩვენი წარსული პოლიტიკის პრიმიტიულ თვისებათა გადალახვა და დაწინაურებულ ერთა პოლიტიკურ წესისა და მორალის მიხედვება, სოციალისტურ თუ პატრიოტულ რომანტიკისაგან თავის დაღწევა და რეალურ ეროვნულ პოლიტიკის პოზიციებზე დასვლა, პოლიტიკაში გრძნობების ნაცვლად აზრისა და გონების გაბატონება, რეალურ მოვლენათა და ინტერესთა შეგნება, შეფასება და მასზე დაყრდნობა და, ყოველივე ამის მიხედვით, თავის დაღწევა ისეთი ვითარებისა, როდესაც ქართველმა ერმა ამ 30 წლის მანძილზედ გააკეთა მნიშვნელოვანი პროგრესი თავის ცხოვრების ყოველს დარგში, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წესებისა და ზნე-ხასიათის შეგნება-შეთვისებაში—თითქმის არავითარი.

11. ასეთი და სხვა ასევე საერთო და უდავო ამოცანების განაღებისათვის საჭიროა ყველა მნიშვნელოვან ეროვნულ ძალების მუდმივი და შეთანხმებული მუშაობა, ხოლო ამის მიღწევა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა პოლიტიკური წრეების პსიქოლოგიურ შებრუნებას, წარსულის შეუტივებელ განხეთქილებათაგან დანატოვარ განსაღათა განეღობასა და აღმოფხვრას.

მოხსენების დასრულების შემდეგ თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც ხაზი გაუსვა მოხსენების უმთავრეს დასკვნებს და განსაკუთრებით—იმ ნაწილს, სადაც დასაბუთებულია ჩვენი პოლიტიკური ჩამორჩენილობა, სისუსტე თანამედროვე სახელმწიფოებრივობის ბუნებისა და ხასიათის ცოდნა-გამოცდილებაში, ჩვენი ეროვნულ ძალთა სიმცირე უძლიერეს მტერთან ბრძოლის საქმეში და ყოველივე ამის მიხედვით მიუცილებელი საჭიროება ჩვენი ძალების გაერთიანებისა საერთო მიზნებისა და ამოცანების გარშემო. განხეთქილებით მრავალი საქმე დაღუპულა და არც ერთი არ გაკეთებულა, ამბობს ლათინური ანდაზაო, სთქვა თავმჯდომარემ. ის წინადადებას აძლევს დამსწრეთ, გამოსთქვან თავისი აზრი მოხსენებაში დასმულ საკითხების შესახებ ღინჯათ და დარბაისულად, როგორც ეს შეეფერება ამ კითხვების სიმძიმესა და მნიშვნელობას.

**გ. ურატაძე და ა. მენღარიშვილი** გამოსთქვამენ სურვილს, რომ ეს მოხდეს შემდეგ კრებაზედ, ვინაიდან მცირე დროა დარჩენილი და აღძრულია ისეთი მნიშვნელობის კითხვები, რომელთა შესახებ წინასწარ მოფიქრებული აზრების გამოთქმა უფრო მიზანშეწონილი იქნებაო. ეს წინადადება მიღებულ იქმნა და შემდეგი კრება გადაიდგა 10 მაისისათვის.

მცირე განმარტებისათვის სიტყვას მოითხოვს **გიორგი კერესელიძე** და ეხება მოხსენების იმ ნაწილს, სადაც დასაბუთებული იყო ეროვნულ ძალთა გაერთიანება დემოკრატიული პლატფორმის ნიჟარაზედ. ორატორი ამტკიცებს, რომ ეს არიქნება ნამდვილი გაერთიანება. სულ მცირე ჯგუფიც, ხუთიოდე პოლიტიკური პიროვნებაც რომ დარჩეს მის გარეშე, მიზანი არ იქნება მიღწეულიო.

მომხსენებელი უპასუხებს, რომ აბსოლიუტური გაერთიანება



ცხოვრებაში მიუღწეველია და როგორი გაერთიანებაც არ უნდა მოეწყოს, ყოველთვის გამოჩნდებიან მცირე ჯგუფები თუ პიროვნებები, რომელთაც ეს არ დააკმაყოფილებს ამა თუ იმ მოსაზრებით. უმთავრეს ძალთა გაერთიანებას თუ მივალწიეთ, ეს დიდი საქმეა, ხოლო მიზნათ რასაკვირველია უნდა დავისახოთ, რომ რაც შეიძლება ფართოდ და სრული იყოს ეს შეთანხმება.

## მ მ რ ე კ რ ე ბ ა

მეორე კრება 10 მაისს დაიწყო **ბ. მიხეილ წერეთლის** სიტყვით. ის საათზე მეტს ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რას იცავს და რას ემსახურება „თეთრი გიორგი“. ორატორის აზრით მესამოციანთა თაობის „საქმიანი ნაციონალიზმი“, რომელსაც შემდეგ გაჰყვენ ეროვნული დემოკრატები, არ არის შესაფერისი ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის და რომ მხოლოდ თ. გ.-ის ინტეგრალური ნაციონალიზმი დაამყარებს ნამდვილ ნაციონალურ პოლიტიკას. ის უსაყვედურებს მომხსენებელს, რომ მან თ. გ. პატოლოგიურ მოვლენად დასახა და მისი წარმოშობა ჩვენი პოლიტიკური ვითარების მიმე დაქვეითებით და სულიერი დეპრესიით ახსნა. ის ამტკიცებს, რომ ფედერაცია არ არის გეგმა შეთხზული საქართველოს მთლიანობის დაზიანების მიზნით. არამედ წინააღმდეგ ამისა, მისი უფრო გაერთიანებისათვის. საფრანგეთის დეცენტრალიზაციას ბევრი ცნობილი მოღვაწეები იცავენო. ამის შემდეგ ის ცხარე კრიტიკას უკეთებს ს.-დემ. მოღვაწეობას და ამტკიცებს, რომ ამ წრეს სრულიად არ გამოსცვლია არც აზრი, არც ბუნება და არც ხასიათი. თავის სიტყვის დასასრულს ის უიმედო ხელის ჩაქნევით მიჰმართავს მომხსენებელს—და ეუბნება—აქედან არაფერი გამოვაო.

**გრ. ურატაძე** (ს.-დემ.)—ეთანხმება მოხსენების უმთავრეს აზრებს, ხოლო ის არ ეთანხმება მის ახსნასა და დასაბუთებას. ის ამტკიცებს, რომ ს.-დ. სავსებით გამოსახავდა ქართველი ერის ინტერესებს და ჯეროვანად ემსახურებოდა მას, არა მარტო მასები მისდევდნ ჩვენს პარტიას, არამედ ინტელიგენტებიც და ჩვენდენი ინტელიგენტური ძალები არც ერთს სხვა პარტიას არ ყავდაო. შემდეგ ის ეხება ფედერაციის საკითხებს და ამბობს, რომ ის არასოდეს არ იქნება მისაღები ქართველი ერისათვის. არ არის მეორე მაგალითი, რომ გაერთიანებული ეროვნული სახელმწიფო ფედერაციად გადაკეთებულიყო. მ. წერეთლი წინეთ ანარქისტი იყო და ის ეხლაც მას უბრუნდება. მაგრამ საქართველო რომ კუთხეებათ დაეყოთ, უთუოდ ესეც არ იქნება საკმარისი და შემდეგ მის კომუნებად დაყოფას მოითხოვს, როგორც ამას იცავენ ანარქისტები. ორატორი ამტკიცებს, რომ რასაც მომხსენებელი იცავს, ეს ყოველივე კარგია და სასურველი, მაგრამ ეს ხომ დიდ ფსიქოლოგიური შებრუნებას მოითხოვს, ეს ყველაზედ მეტად მას დასჭირდება, რადგან მას მეტად მკაცრად აქვს დახასიათებული მენშევიკური პარტიის მოღვაწეობა წარსულშიო. ორატორი აცხადებს, რომ მისი პარტია უთუოდ უწევს ანგარიშს იმ ძალებს, რომელსაც წარმოადგენს აქ ბ. მომხსენებელი და საჭიროა, რომ ეს ძა-



ლებიც საერთო ფრონტის ნიადაგზედ დადგენ და მით ეროვნული ფრონტი გააძლიერონ.

ამის შემდეგ სიტყვას იღებს ბ. დავით ვაჩნაძე; მისი სიტყვა აქვე იბეჭდება სრულიად.

### დავით ვაჩნაძე

ბ.ბ. ქართული პოლიტიკა საჭიროებს ღია კარებს. დასამალი არაფერი გვაქვს. ახდითად, გაბედულად და საქვეყნოდ ვიბრძვით ჩვენ დიად და სამართლიან მიზნისათვის—სამშობლოს თავისუფლებისათვის. ბ-ნ ალ. ასათიანის საჯარო მოხსენება სწორედ ამ მიზანს ემსახურება. იგი საჯარო რევიზიაა განვლილ ათი წლის ქართულ პოლიტიკურ მუშაობისა საქართველოსა და უცხოეთში.

მოხსენების დედა აზრი გვეუბნება: ქართული პოლიტიკური მუშაობა რიგზე ვერ მიმდინარეობს. ქართული პოლიტიკური ძალები დაქსაქსულია. ამის გამო განვლილ ათი წლის მანძილზე ქართულ საქმიანობას ბევრი საგრძნობი მარცხი ხვდა წილად. თუ ასე გაგრძელდა მოსალოდნელია უარესი. საჭიროა შეთანხმება ქართულ აქტიურ პოლიტიკურ ძალებისა და თავდაპირველად მთავარ ორ დემოკრატიულ პარტიისა—სოციალ-დემოკრატების და ეროვნულ-დემოკრატებისა, გარშემო ერთ უმთავრეს საქმისა: დამოუკიდებელ საქართველოს აღდგენისა და მისი საღ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობის ნიადაგზე შენებისა.

როგორ დახვდნენ ამ სადა და გონიერ პოლიტიკურ წინადადებას წინა ორი ორატორი—ბბ. მიხეილ წერეთელი და გრიგოლ ურატაძე? ორივემ ამ მოხსენებას ისეთი მუგუზღები შეუწყეს, რომ თუ მოხსენების აზრი მაგარი და მართალი არ ყოფილიყო, მას ფერფლად აქსევდნენ.

მ. წერეთელმა ს.-დ. ცხარე კრიტიკის შემდეგ ტრიბუნა წყველაკრულვით მიატოვა, თან ხელი ჩაიქნია და მიაძახა მომხსენებელს—არაფერი გამოგივაო! სოციალ-დემოკრატმა გრ. ურატაძემ ბანი მისცა მ. წერეთლის ამ პისიმისტურ გამოძახილს... მან სიტყვა—ჩვენში ყველაფერი რიგზედ არის. «საერთო ფრონტი» გვაქვს. ვინც განზეა მობრძანდეს და ჩვენს პოლიტიკას გვერდში ამოუდგესო.

მაგრამ მე მინდა ავაშორო მოხსენებას მათი მუქარა. პირიქით, ვეცდები სწორედ მათ მუგუზღებს დავანთებინო ისეთი ცეცხლის ალი, რომელიც გაუშუქებს ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას ჩყენი სინამდვილის ნამდვილ ვითარებას და დაუსახავს ახალ საიმედო გზას. ეს იქნება იმავე დროს ჩემი დამარცხაც ა. ასათიანის საჯარო მოხსენებისა.

რა საფუძვლებზედ და რანაირად გვესახება ჩვენი პოლიტიკურ ცხოვრების მოგვარება ქართულ ემიგრაციაში?

თავისუფალ სამშობლოს აღდგენის საფუძველზედ. ამ საფუძვლის მასალა კი არის:

შინაგან ქართულ პოლიტიკურ ერთობის აღდგენა და დამკვიდ-



რება; კავკასიის ერთა კავშირის განხორციელებისათვის პოლიტიკურ ორგანიზაციის სათანადო მოწყობა; ჩვენი პოლიტიკურ საქმიანობის ახლი რევიზის შემდგომ, მისი სწორ კალაპოტში ჩაყენება უსხოეთში.

აუცილებელია თუ არა შინა ქართული რივიანი და მაგარი პოლიტიკური შეთანხმება? და რა ძალთა შორის?

სხვობება გვეუბნება: აუცილებელია. და ამ შეთანხმების ინიციატივა უნდა იკისრონ ქართულ პოლიტიკაში არსებულმა ორმა მთავარმა ძალამ: სოციალ-დემოკრატიულ და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებმა. ამ პარტიების შეთანხმება საქართველოს განთავისუფლების ბრძოლის საკითხების გარშემო, სხადია მიიზიდავს და არა გარიყავს, როგორც ზოგი ერთსა ჰგონია, დანარჩენ ქართულ პარტიებს და ჯგუფებს. მაგრამ შესაძლებელია თუ არა პოლიტიკური ერთობა ორი დაპირისპირებულ დემოკრატიულ ბანაკებისა—სოციალისტურსა და ეროვნულისა?

ევროპის მაგალითები გვეუბნებიან: დიახ, შესაძლებელია.

განა გერმანიის სოციალისტებზე გუშინ გამარჯვებული ბრიუნგის მთავრობა დღეს იმავე სოციალისტების მხრის დაჭერით არ ებრძვის გერმანიის სახელმწიფოს დამშლელ ძალებს მარჯვნივ და მარცხნივ?

განა ინგლისს მუშათა პარტიის ძალა-უფლებას ბრიტანიის იმპერიაში ლიბერალები არ ამაგრებენ?

ან და გავიხსენიოთ საუბხოვო მაგალითი ერთი პატარა ქვეყნის ახლო წარსულის ისტორიიდან. 1918 წელს ლატვიაში დამფუძნებელ კრების არჩევნებში გაიმარჯვეს სოც.-დემოკრატებმა. მათვე უნდა შეედეგინათ ლატვიის მთავრობა. მაგრამ ლატვის მწვავე საგარეო პირობები ამ ქვეყნის მიწა-წყლის დასაპავად მოითხოვდნენ მთელი ხალხის ორგანიზაციულად ბრძოლაში ჩამბმას. მაშინ ლატვიის სოც.-დემოკრატებმა გადასცეს თავის ნებით ძალა-უფლება ამ ქვეყნის მემარჯვენე რესპუბლიკანურ ძალებს: მოაწყეთ საჩქაროდ ჯარი და საჭირო სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები ქვეყნის დასაპავადო... ჩვენი პროგრამა ამ ხანად ქვეყანას ვერ გამოადგება.

ევროპის ქვეყნების მრავალფეროვანი პოლიტიკური პრაქტიკა ამ გვარად გვაწავლის, რომ სოციალისტების და არა სოციალისტების პოლიტიკური თანხმობა ხშირი მოვლენა ყოფილა, აღმოსავლელი საერთო ეროვნულ სახელმწიფოებრივ სარგებლობის ნიადაგზე.

სამწუხაროდ ჩვენში ჯერ ასეთი პოლიტიკური ტრადიცია არ დამყარდა.

რატომ? ვითომ საქართველოს ვითარებამ ასეთი ნიადაგი არ დაბადა?

მიზეზი ამისა ქართველ სოციალ-დემოკრატის მეთაურის ბ-ნ ნლე ქორდანას პოლიტიკაში იმალება. ნიადაგი ამ ტრადიციის დაწესებისა საქართველოში განსაკუთრებული იყო. მაგრამ ამ ნიადაგზე ნოე



ქორდანიამ ს.-დ. პარტიის გეგმონია ააშენა... მას ემსახურებოდა მხოლოდ. მართალია, ამ გეგმონიამ მას მთავრობა მიანიჭა, მაგრამ მალე მანვე ქვეყანა დააკარგვინა და ქართველ ხალხს მოუსპო თავისუფალი სამშობლო... და ჩვენ ბ-ნ ქორდანიასთან ერთად ემიგრაციაში ამოვვყავოდინა თავი. ამ დიდი უბედურობის შემდეგ ვფიქრობდით: ახლა კი, უცხოეთში გადმოხვეწილი, ნოე ქორდანი თავის პოლიტიკურ ხაზს შეასწორებს... ველოდით... მაგრამ ამაოდ.

1924 წელს, გამოსული საქართველოდან, ბ-ნ ქორდანიას განსაკუთრებულ წერილში ავუწერდი საქართველოს შინაგითარების ყოფას და ერთს აბზასში ვწერდი: ჩვენი პარტია (ერ.-დ.) ამ წლების ბრძოლებში დაეწია თქვენს (ს.-დემ.) და ესლა თანაბრად და თანასწორად მუშაობს თქვენ ხალხთან ქვეყნის საქმეების გამოსაბრუნებლად.—ამ სტრიქონებზე ნ. ქორდანიამ დაახლოებით ასეთი პასუხი გამცა: ასეთს ინფორმაციას ჩემამდის არ მოუღწევია... სოც.-დემოკრატის დღეს ხელში უჭირავს ეროვნული დროშა და სათანადოდ უძღვება ქართულ საქმესაცო... მაგრამ ეს წერილიც რომ არ გამეხსენებინა, განა მთელი 10 წელი, განვლილი აქ ევროპაში არ მოწმობს ბ-ნ ქორდანიას ამ გეგმონისთვის დაქინებულ ბრძოლას? სჯობს ნუ ავლაპარაკებთ ფაქტებს... მაგრამ რაც გარედ გამოსულია ის ველარ დაიმალება.

და თქვენ ყველამ იცით თუ რა შედეგი ჰყვება მათ უცხოეთში. ყველაფერი გვენგვერვა შინ და გარედაც. ქართული პოლიტიკური ძალები საბოლოოდ ითიშებიან მტრობა, სიმრუდე და სიბრყვე ერევა გარედან დაშლილ ქართულ პოლიტიკურ ბანაკს.

ესლა ამაზე ბრძანებს ბ-ნი ურატაძე—რომ ჩვენ «საერთო ფრანტი» გვაქვს? ამ «ფრანტი» გვიწვევს იგი, რომლის პოლიტიკას 10 წლის ბოლოს შეეწირა მთავრობის ერთი გამოჩენილი წევრი; იმ «ფრანტზე», რომლის პოლიტიკის გავლენით ერთ მეგობარ სახელმწიფოდან გამოიდევნა ანობილი ქართველი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე და ერთი ბელადთაგანი 1924 წლის ამბოხებისა რუსეთის წინააღმდეგ?

ან კიდევ გვიწვევთ იმ პოლიტიკის გასამაგრებლად, რომელსაც ამ დღეებში რუსულ ემიგრანტულ პრესას გააბედვინა და ასე გააღანძვინა ქართულ ეროვნულ რეგალის მქერი ბ-ნი ქორდანი.

თქვენ შესდით ბ-ნო ურატაძე თუ ასე გაიგეთ ალ. ასათიანის შეთანხმების წინადადება.

ამ ორი წლის წინად ერ.-დემ. პარტიამ იმიტომ მიატოვა ეს თქვენი «ფრანტი», რომ ხედავდა ამ მის დამღუპელ შედეგებს. და გამოსული, იმ დღიდან დღემდის, იბრძვის იმ პრინციპებისათვის და იმისთანა შეთანხმებისათვის, რომელიც მართლაც შეჰქმნის ახალ და ნამდვილ კოალიციურ პერიოდს ქართულ პოლიტიკაში.

ამაზედ დღეს ჩვენ საჯაროდაც ვლაპარაკობთ.

ახადია ამ პოლიტიკასვე უნდა მიეკეტოს ის დღევანდელი ვითარებაც, რომელიც აძლევს ადგილს პესიმისტურ გამოსვლებს ბ-ნ მ.



წერეთლისა. მობეზრებული ამ დამქსევ პოლიტიკით, ცნობილი ქართველი მამულიშვილი, ილაჯ გაწყვეტილი გამოდის და გვიქადაგებს საქართველოს ფედერაციას, ეროვნულ დეცენტრალიზაციას ანუ სრულ დენაციონალიზაციას (ხმები სოც.-დ-სა: ჩვენ რა შუეში ვართ?) თქვენ სწორედ იმ «შუაში» ბრძანდებით, რომ თქვენი ცენტრალიზმი მუდამ წაიპროვინციალიზმდება!

მაგრამ ბ-ნ მ. წერეთლის დიდი შეცდომა ის არის, რომ მას ეს დასკვნა თქვენი სუდ პოლიტიკიდან გამოჰყავს. ის მიმართულება, რომელსაც მე ვეკუთვნი არას დროს არ გაიზიარებს ერთი მუჟა ქართველ ტომის საბინადროს—საქართველოს—ფედერატიულად დაქუცმაცებას. როგორ? დავით აღმაშენებლის მთლიანი და ძლიერი საქართველოს ხანა მივიწყებას მივცეთ და გავანადღოთ დანაწილებულ საქართველოს შავი ისტორიული ფურსლები? (ტაში მთელ დარბაზისა). თუ სხვა გზა არ დაგვრჩება გვირჩევნია, რომ თბილისში გაბატონებული იყოს საქართველოს რომელიმე ერთი პროვინცია, მაგრამ დასულ იქმნას საქართველოს მთლიანობა (ტაში). საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი განსაკუთრებული მუხლები დაიცავენ როგორც წარმომადგენლობის ისე კანონმდებლობის მხრივ საქართველოს ყველა პროვინციების ინტერესებს და დარაჯად დაუდგებიან მთლიან ქართველ ერის აღორძინების ახალ ისტორიულ ხანას.

ეს გახლავთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიის პოლიტიკის დედა აზრი.

ამიტომ ჩვენ ვერ გავჰყვებით ვერც მ. წერეთლის ფედერაციას და ვერც ს.-დემ-ის გეგემონიის ძველ პოლიტიკას. ორივე გზა სამუდამოდ დაშლის, დაანგრევს და დაღუპავს ჩვენს ქვეყანას.

აი ამ ათი წლის ბოლოს ამ მაგნე აზრების და საქმეების თავგამოჩენამ გვაძულა გამოვსულიყავით და საჯაროდ დაგვეყენებინა ღართულ პოლიტიკის გაჯანსაღების საკითხი.

დღემდის ამ პოლიტიკის საჟე ხელში უჟირავს თქვენს მთავრობას (საპროტესტო ხმები ს.-დემოკრატებისა—რატომ მხოლოდ ჩვენი და არა თქვენი?... მთელი ქართველი ერის?) მე განგებ ვსთქვი. დიახ თქვენი, რადგან თქვენი პარტიის უკანასკნელ მემორანდუმში წარდგენილს მე-II ინტერნაციონალში საქართველოს მთავრობა ხანგასმით გამოცხადებულია სოც.-დემოკრატიულ მთავრობად.

აი ამ სოც.-დემოკრატიულ მთავრობის განსაკუთრებულ პარტიულ პოლიტიკის დასვაში დამალულია ყველა ჩვენი ეროვნულ საქმიანობის დაუსრულებელი მარცხები... ამას ხელს აფარებს ბ-ნი ურატაძე... მაგრამ ჩვენ ვერ დავაფარებთ...

მიუხედავად ამისა მაინც არ ვინ ედავება ნ. ყორდანიას აფიციალურ რეგალიას. ჩვენ ვებრძვით მის სუდ პოლიტიკას. ამის უფლებას ვერავინ წავგვართმევს.

ბ-ნ ნოე ყორდანიას არ უნდა ეუცხოვოს ჩვენ მიერ ამ პოლი-



ტიკურ უფლების გამოყენება სამშობლოს გარედ... ამისი მორალური უფლებაა გვაქვს.

თუ პოლენეთის მეთაურს ი. პილსუდსკის მისი თზონიანა დღევანდელ შინაური პოლიტიკის შეცდომებზედ უჩივის, ეს მას ეპატიება. ამ პიროვნებამ პოლენეთის ერს თავისუფალი და ძლიერი სახელმწიფო აღუდგინა და შეუქმნა.

ნოე ქორდანიის დიდმა შეცდომებმა კი ქართველ ხალხს თავისუფლება და ქვეყანაც წააგებინეს... და სიარული ამ შემსდარ გზით კვლავ დღევანდელ პირობებშიც გრძელდება რითაც განსაძდელში აგდებს უსწოეთში გადარჩენილს ქართულ აქტიურ პოლიტიკურ ძალებსა. მამ რამ უნდა გვიხსნას? რა გზამ? ერთადერთმა:

ს. დ. გეგემონია უნდა შესცვალოს ქართულ პოლიტიკურ ძალთა ჯანსაღ კოალიციამ. აი ჩვენი წრის მუდმივი და მთავარი აზრი, რომლისათვისაც იგი ახდითად და თამამად იბრძვის.

თუ ასეთი შეთანხმება არ მოხდა მაშინ გეკითხებით, რანაირად მოუვლით იმ დიდ თანამადროვე პრობლემას, რომელიც ასე მძლავრად იჭრება ქართულ პოლიტიკის კარებში: კავკასიის ერთა კავშირის ე. წ. კავკასიის კონფედერაციას. ხომ დღეს ყველა ქართველისათვის ნათელია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მტკიცე საფუძველი თავისუფალი კავკასია არის. როგორ უნდა გაუძღვეს ქართული პოლიტიკა კავკასიურ საქმეებს თუ იგი არ იქნება მორიგებული შიგნით—ერთს აზრზე, გეგმაზე და მოქმედებაზე?

ან ნუ თუ არ ხედავთ იმას, რომ ჩვენი ოფისიალური პოლიტიკის 10 წლის ნამოქმედარს უსწოეთში ტუდი პირი უჩანს და რომ აუცილებელია საქართლ უსწოეთში ქართული მუშაობის გამოსწორება და ყველა ქართულ ძალების გამოყენებით მისი სადავის მაგრად ხელში დაჭერა.

თქვენ დამეკითხებით: კარგი და პატიოსანი, მაგრამ ასე დაპირისპირებულნი, პსიხოლოგიურად ერთმანეთს ჯამორებულნი, ამ ხანად როგორ დაეუახლოვდეთ ერთმანეთს მთავარ მიზნის დასაძღვეად: ქართულ პოლიტიკურ ძალების მობილიზაციისათვის.

პარალელური მუშაობის გზით ვიმუშავოთ ორივე მხარემ. მოვრიგდეთ იმ საკითხებში რომელნიც გვაერთებენ და მათ გარშემო მოვსპოდ დავა და ბრძოლა. საკითხები კი რომელნიც გვეყოფენ ან შორეულ ხანამდის გადავდოთ ან უმნიშვნელო რისკვამდე დავიყვანოთ.

ასეთი მორიგება «პარალელიზმის» სახითაც დიდი შემატება იქნება ჩვენს არეულ პოლიტიკურ ვითარებაში. იგი შეანელებს შინაურ ბრძოლას და საგრძობლად უმატებს ძალას და საშუალებებს საერთო ქართულ ბრძოლის საქმეს. მართალია, არა ჩვეულებრივია ეს გზა, მაგრამ ამის მაგალითებსაც ევროპის ქვეყნების შინაური სხოვრება იძლევა. საბერძნეთში და რუმინიაში იყო ხანა, რდღესაც შინაური ძალები



ბი ასეთი გზით რიგდებოდნენ და უძღვებოდნენ თავის ეროვნულ კოლიტიკას.

ჩვენ, სამშობლოს დაკარგულთ და მის მაძიებელთ, უფრო გვმართებს ვცადოთ ასეთი გზა და ვეცადოთ სვინდისიერათ მისი განხორციელება... შესაძლებელია ეს ორი სამეგობრო გზა ბოლოს ერთ გზად იქცეს...

ამით უნდა დავიწყოთ ჩვენი მეორე ათეული ხანა სამშობლოს გარედ.

**ფ. შარაძე** (ს.-ფედერ.)—იზიარებს მოხსენების აზრებს ძალთა შეთანხმების საჭიროების შესახებ, ხოლო უსაყვედურებს მომხსენებელს, რომ ის მარტო ორი პარტიის შესახებ ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში, თითქოს საქართველოში მხოლოდ ეს ორი პარტია არსებობდენ.


**გრ. წერეთელი** (ს.-დემ.)—იცავს პოლიტიკურ ძალთა ფართე გაერთიანების იდეას. ის უსაყვედურებს მ. წერეთელს, რომ ის მხოლოდ წარსულის კრიტიკით კმაყოფილდება და მომავლისათვის არავითარ გამოსავალს არ ეძებს. საქართველოს მიერ განაცადი უბედურება უნდა აიძულებდეს ყველა პარტიებს, რომ ყოველგვარი ზომები მიიღონ იმისათვის, რომ მომავალში არ განმეორდეს წარსულის შეცდომები. მაგრამ ეს წარსულისათვის პასუხისმგებლობა მარტო სოც.-დემოკრატიას ვერ დაეკისრება. ეხლანდელს ბრძოლაში ჩვენი მიზანია საქართველოს განთავისუფლება. სოციალიზმი და სოციალისტური პოლიტიკა მომავლის საქმეა, ხოლო ამ ჟამად ის ერთგვარი რწმენის საკითხია და არა პრაქტიკული პოლიტიკის საგანი. როდესაც განთავისუფლდება ჩვენი ერი უცხო უღლისაგან, ის თვითონ ამოირჩევს თუ რომელ გეზს და პოლიტიკას უნდა გაჰყვეს და სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც დემოკრატიული პარტია ამას დაემორჩილება და ის რევოლიუციებს არ მოაწყობს უკეთუ უმცირესობაში დარჩა.

**დ. ამილახვარი**—არ ეთანხმება მომხსენებელს, რომ თ. გიორგული მიმართულეზე პატოლოგიური მოვლენაა. შეთანხმების მიზანს ის სავსებით უჭერს მხარს და მიმართავს მომხსენებელს—მე პირველი მოვიზნო ქედს, თქვენს მუშაობის წინაშე უკეთუ ამას მიაღწევთ.

**ი. გობეჩია**—ახასიათებს საქართველოში დაწყებულ გაერთიანებულ ბრძოლის ბუნებას და იმ ხანად დამყარებულ შეთანხმებებს პოლიტიკურ პარტიათა შორის. ის უაღრესად საჭიროდ და სავალდებულოდ სთვლის ამ იდეის დაცვას და განმტკიცებას შინ და გარეთ. მომხსენებელის ზოგიერთ აზრებს ჩვენი წარსული პოლიტიკის შესახებ ის არ იზიარებს, ხოლო სავსებით მხარს უჭერს ყველა იმ ზომებსა და საშვალეებს, რომელთა შემსწობით შესაძლებელი გახდება ჩვენი კიდევ უფრო გაერთიანება და შეთანხმება საერთო მიზნების მისაღწევად.

**ს. კელია**—თავის სიტყვას იწყებს შენიშვნით, რომ ასე დიდი საკითხების დაყენება მოითხოვს მის წინასწარ შესწავლასა და დამუშა-





ვებას. როდესაც გაერთიანებაზედ არის ლაპარაკი, წინასწარ პარტ-ნიორის გაცნობაა საჭირო. მას მიუღებლად მიაჩნია ქართულ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების მოწყობა დემოკრატიულ პლატფორმის ნიადაგზედ. ამის შემდეგ ორატორი ახასიათებს ს.-დემ. მოღვაწეობას მეორე ინტერნაციონალში. მას მოჰყავს გამბურგის კონგრესის დადგენილება. ის მიმართულია ევროპის ქვეყნების პოლიტიკის წინააღმდეგ და მფარველობს საბჭოთა რუსეთს. ასეთი ორმაგი პოლიტიკა დიდად აზიანებს ჩვენს საქმეს, მით უმეტეს როდესაც მასში მთავრობის წევრები ლებულობენ მონაწილეობას. ორატორს არ სჯერა, რომ მენშევიკებს განეცადოს რაიმე ევოლიუცია ან მომავალში შეეძლოთ ასეთი ევოლიუციის მოხდენა. მათში მოხდა ისეთი მატერიალიზაცია მათი ძველი ცოდვებისა და შეცდომებისა, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. ამის მიხედვით ორატორი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია რაიმე შეეთნხმება ამ პარტიის ეხლანდელ თაობასთან. ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ მის მომავალ თაობასთან.

კრება დასრულდა, მაგრამ ფაქტიური შენიშვნის სახით მ. არსენიძე იღებს სიტყვას.

**მ. არსენიძე (ს.-დ.)**—უსაყვედურებს კედიას, რომ მან არ წაიკითხა რეზოლიუციის მეორე ნახევარი, მიუხედავად იმისა, რომ ეს მას მოსთხოვეს, თორემ საზოგადოება დაინახავდა იქ, თუ რა დაადგინა კონგრესმა საქართველოს შესახებ. ორატორი კითხულობს კონგრესების ოქმებიდან იმ ნაწილებს, რომელიც საქართველოს ეხება და ამტკიცებს, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე იყო ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის.

მეორე კრება დასრულდა და მისი გაგრძელება გადაიდვა 31 მაისისათვის.

## მ ე ს ა მ ე კ რ ე ბ ა

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე ი. დადიანი მიჰმართავს კრებას რათა მან დაიცვას დარბაისლობა და სიღინჯე, რაც არ იყო დაცული მეორე სხდომაზედ. თათბირში შეტანილი იყო ისეთი სიცხარე და გაღიზიანება, რაც არ შეეფერებოდა სრულიად მოხსენების ტონს და მასში აღძრულ კითხვების მნიშვნელობას.

ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვენ: კ. გვარჯალაძემ, ა. მენაღრაშვილმა, ნ. ურუშაძემ, ვ. ჩუბინიძემ და ვ. ნოზაძემ.

**კ. გვარჯალაძე (ს.-დ.)**—სავსებით ეთანხმება მომხსენებელს, რომ თანამედროვე ქართული პოლიტიკის უდავო საქმეები უნდა ემყარებოდეს სამს მთავარს საგანს—ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა, დემოკრატიული პლატფორმა და საქართველოს მთლიანობა. ეს უკანასკნელი საკითხი არავისათვის ყოფილა წინეთ სადავო, მაგრამ თ. გიორგელეების მეოხებით ეხლა ამის დაცვაზედაც გვიხდება ზრუნვა. ორატორი იცავს ეროვნულ ძალთა გაერთიანების აუცილებლობას ამ უდავო საფუძვლების გარშემო. ის ცდილობს ახსნას ის მიზეზები,



რომელთა გამო ჩამოვარდა ჩვენს ეროვნულს პოლიტიკაში არსებული უთანხმოება. მისი აზრით ამის მიზეზი იყო ის ვარემოება, რომ ურედემ. პარტიის მეთაურებმა ემიგრაციაში თავიდანვე დაიკავეს მეტად შეურიგებელი პოზიცია მთავრობისა და ს.-დ. პარტიის მიმართ. ამან გამოიწვია უკიდურესობა მეორე მხრითაც, ამან კიდევ უფრო გაამწვა პიროველთა განწყობილება და ასე ორივე მხრივე ღრმავდებოდა უთანხმოების უფსკრული. ამ ჟამად ორივე მხარე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამით არც ერთი მხარე არ იგებს და მხოლოდ საერთო საქმე ზიანდება. შემდეგ ორატორი ეკამათება ს. კედიას, მეორე ინტერნაციონალში მუშაობის შესახებ და მოჰყავს მისი კონგრესების დადგენილებანი საქართველოს საკითხის გამო. ჩვენ ეს დადგენილებები სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ უდავოა, რომ ისინი ჩვენთვის სასარგებლოა. ამ ინტერნაციონალში 19 მილიონი წევრი შედის და ასეთს მასსაში საქართველოს საკითხის დადებითად დაყენება უთუოდ სასარგებლოა ჩვენთვის.

**ს. მენღარაშვილი (ს.-დ.)**—დასძენს, რომ ს.-დ. პარტია, რომლის ხელში იყო უმთავრესი სადავეები ჩვენი პოლიტიკისა სავსებით და გულწრფელად არის მოწადინებული, რომ უმთავრესი პოლიტიკური ძალები შეთანხმებული გზით მოქმედობდნენ; ჩვენი პარტია ჯეროვანს ანგარიშს უწევს იმ ძალებს, რომელნიც ფრონტის გარეშე იმყოფებიან და სურს მათთან საერთო ენის გამოხატვა. რასაკვირველია ყველა ძალებისა და ჯგუფების გაერთიანება შეუძლებელია, მაგრამ უმთავრეს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება, რომელნიც დამოუკიდებლობას იცავენ და დემოკრატიულ პლატფორმას არ გადასცილებიან. დიდათ სასარგებლოა ჩვენი ეროვნული საქმისათვის და სავალდებულოცა ჩვენთვის. მომხსენებელმა საქართველოს 10 წლის ბრძოლები მოგვაგონა. ჩვენ ყველამ ვიცით რომ იქ არ ყოფილა ამ ხნის განმავლობაში ის უთანხმოებები რაც აქ არის და არც შეიძლება იყოს ეს. რადგან საერთო ეროვნული მიზნები საერთო უღლის სიმძიმე და ერთად გაღებული მსხვერპლი მტკიცედ აერთებს და აკავშირებს მთელს ერს. ემიგრაციაში ჩვენ სხვა პირობები გვაქვს და ეს ასუსტებს ჩვენში ამ კავშირს. საჭიროა ყოველივე ამის გადალახვა და საქართველოში დამყარებულ მთლიანობასთან მიახლოება.

**ბ. ურუშაძე (ს.-ფედ.)**—იცავს ძალთა გაერთიანების პლატფორმას და წარსული მაგალითების მიხედვით ფიქრობს, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი განდება უკეთეს მენშევიკური პარტიის მესვეურები კვლავ ძველს გზას გაჰყვებიან. არსებული საერთო ფრონტი ნამდვილი ფიქციაა, არ არის მასში რაიმე ორგანიზული ერთობა. სხვა პარტიების წარმომადგენლებს არავითარი ანგარიში არ ეწევა და თვით თავის პარტიასაც ნაკლებად უწევენ ანგარიშს. ორატორი აცხადებს, რომ ის პარტიის დაეალებით არ ლაპარაკობს.

**ვ. ჩუბინიძე (ს.-დ.)**—ეკამათება იმათ, ვინც შეთანხმების წინააღმდეგ ლაპარაკობდა და უარყოფდა ს.-დ. პარტიასთან თანამშრომლობას შეუძლებლად რაცხდა ამ პარტიის წარსული მოღვაწეობის გამო.

**ვიქ. ნოზაძე (ს.-დ.)**—ეხება ჩვენი პოლიტიკის სუსტ მხარებს და ანვითარებს მოხსენების იმ ადგილებს, სადაც ჩვენი პოლიტიკური



ცხოვრების განუვითარებლობა იყო დახასიათებული. ჩვენი პოლიტიკის უმთავრეს ნაკლს უთუოდ წარმოადგენს ის გარემოება, რომ მასში მეტად დიდი ადგილი უკავია დოგმებსა და თეორიებს მშაპს, როდესაც ის რეალურ საგნებსა და რეალურ ინტერესებს უნდა ემყარებოდეს.

## ალ. ასათიანის საპასუხო სიტყვა

ჩემს მოხსენებაში, ამბობს ბ. ასათიანი, მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩვენი მიმდინარე ეროვნული პოლიტიკის მთავარ კითხვებს. ბევრი არ იწონებდა ამ კითხვების საჯაროდ დაყენებას და მის საქვეყნო მსჯელობის საგნად განიხილეს. მე ვფიქრობ, რომ ასეთი აზრს არავინ იზიარებს იმ კამათის შემდეგ, რომელსაც აქ ჰქონდა ადგილი და რომელიც მე წინასწარ ნაგულისხმევი მქონდა. ჩვენი დიდი უთანხმოებების და პატარა შეთანხმებების საკითხი აქამდე მუდამ ვიწრო წრეში ირჩეოდა და წყდებოდა. ამას არასოდეს გამოუღია საქმისათვის დამაკმაყოფილებელი ნაყოფი. მით უმეტეს ეს უიმედო იყო ამ ჟამად, როდესაც განხეთქილებამ და დაქსაქსვამ მეტად ღრმა ფესვები გააღდა ჩვენს პოლიტიკაში და მისი მოსპობა თუ მნიშვნელოვან შემცირება ფრიად რადიკალურ ზომებს მოგვთხოვს. ჩვენი ეროვნული პოლიტიკა უდიდეს კრიზისს განიცდის. სინამდვილეზე თვალი არ უნდა დავხუჭოთ—ის უფსკრულის წინაშეა და მთელი ჩვენი შესაძლებლობათა დაჭიმვა დაგვირდება, რომ ის ამ უფსკრულში გადაჩეხას გადავარჩინოთ და საიმედო გზაზე დავაყენოთ. ამ საშიშროებას ნათლათ უნდა ხედავდეს მთელი ჩვენი მებრძოლი ემიგრაცია და ყველა მისი წევრი უნდა გრძნობდეს და განიცდიდეს თავის უდავო პასუხისმგებლობას ჩვენი ეროვნული საქმის წინაშე. ამ ემიგრაციის ფართე წრეების ფსიქოლოგიური შებრუნება არის უმთავრესი და წინასწარი პირობა ამ დიდი საქმის მოგვარებისათვის. ამ კითხვათა საჯაროდ დაყენებას უნდა გამოემყლავებინა ჩვენი ემიგრანტულ განწყობილებას ავადმყოფი თუ ჯანსაღი მხარეები და ეს საჭირო იყო დაავადებულ ვითარების მიზანშეწონილად ექიმობისათვის. ჩვენ არ უნდა ვიყოთ უკმაყოფილო ასეთი ოპერაციის შედეგებით. მომხსენების გარშემო ამტყდარმა კამათმა და მასში გატარებულ აზრთა დაფასებამ საზოგადოების ფართე წრეებში საკესებით ნათლად გამოაშკარადა, რომ ემიგრაციის დიდი უმრავლესობა ადვილად ახერხებს საღი აზრის მიღებას და შეთვისებას და მხოლოდ მისი მცირე ნაწილია შეპყრობილი ავადმყოფური განწყობილებით. და არც ამ ნაწილის გამობრუნებაა შეუძლებელი და უიმედო. ის ემიგრანტულ ატმოსფერაში გაღიზიანებულ გრძნობების ტყვეობას განიცდის, მაგრამ დრო და საზოგადოებრივი ზედგავლენა ამასაც გამოასწორებს თანდათანობით.

მეორეს მხრივ მოხსენების გარშემო მსჯელობამ მოახდინა აგრეთვე დემონსტრაცია მოხსენების იმ აზრებისა, რომელიც შეეხებოდა ჩვენი პოლიტიკის უფრო ძველ ცოდვებს—მის პრიმიტიულ მხარეებს. მხოლოდ ამ პრიმიტიული თვისებებით აიხსნება, რომ ზოგი-



ერთებში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ისეთმა აზრებმა, რომელიც ყველა კულტურულ პოლიტიკურ წრეებში მიჩნეულია როგორც უღაგო და ელემენტარული.

ამის შემდეგ მომხსენებელი უპასუხებს თავის ოპონენტებს: ნ. წერეთლის გამოსვლა აქ, ამბობს ის, ეს ახალი საბუთი იყო და დასტური მოხსენებაში გამოთქმულ აზრისა, რომ „თეთრი გიორგი“ პატოლოგიური მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. ყოველივე ის რაც მათ სთქვეს სხვათაგან განსხვავებული პატოლოგიაა. რაც შეეხება საქართველოს ფედერატიულ მოწყობის საკითხს, ასეთი რამ საქართველოში არასოდეს და არავის გაუბედნია და ეს მხოლოდ დაავადებულ ემიგრანტულ სინამდვილეშია შესაძლებელი მხოლოდ. როდესაც რუსის მოხელეები მეგრელებისათვის ანბანს სთხზავდნენ, ამას მთელი მაშინდელი ქართველობა ებრძოდა, ეს მას ქართული ერის სულიერად დაყოფის განზრახვით ჰქონდა მიჩნეული. ეხლა თ. გ. საქართველოს მრავალ სახელმწიფოებრივ ერთეულად დაყოფას გვირჩევენ და ეს მ. წერეთელს ინტეგრალურ პატრიოტიზმით მიაჩნია. ის ზოგიერთ ფრანგ მოღვაწეებს იმოწმებს, ისინიც იცავენ საფრანგეთის დეცენტრალიზაციასო. მ. წერეთელი ვერ არჩევს ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციას ფედერაციისაგან. არც ესენი და არც სხვა ვინმე ფრანგი მოღვაწეებისაგან არასოდეს გამოსულან ფედერაციის დამცველად. რაც შეეხება ადმინისტრატიულ დეცენტრალიზაციას ეს ახვა საქმეა და იმაზედ მეტი დეცენტრალიზაცია რა იქნება, რაც ჩვენს დროს გვქონდა საქართველოში.

მომხსენებელი იხილავს ს. კედიას სიტყვას და განცვიფრებას გამოსთქვამს, რომ ის ცუდათ დასაბუთებულად აცხადებს მოხსენებას, რომელსაც ის არ დასწრებია. ასევე დაუსაბუთებელია მისი შენიშვნა, რომ მე არ ვიცნობ ს.-დ. პარტიას და მის პოლიტიკას. ამ პარტ. და მის პოლიტიკის შესახებ მე საკმაოდ მითქვანს და დამიწერია. ს. კედიას მთელი სიტყვა მეორე ინტერნაციონალის გამბურგის კონგრესის დადგენილების კრიტიკაზედ იყო აშენებული, და მე კი ვფიქრობდი, რომ ის რაიმე ახალს მასალას მომცემდა ს.-დ. პოლიტიკის შესახებ, რომლის არ ცოდნა თუ ცუდათ ცოდნა მისაყვედურა. რაც შეეხება ამ გამბურგის კონგრესს, ამის შესახებ მე საჯარო მოხსენება გავაკეთე აქ პარიზში, ჯერ კიდევ 1923 წ. ოქტომბერში, სამიოდე თვის შემდეგ ამ კონგრესისა. ამის შემდეგ ეს კონგრესი მრავალჯერ გვაქვს გადაღეჭილი სიტყვითა და წერით და ამ კონგრესების კრიტიკაზედ რომ ამეშენებინა ჩემი სიტყვა, მაშინაც არ დამჭირდებოდა ის, რადგან მას შემდეგ იყო კიდევ სხვა კონგრესები და გაცვლებით უარისი. ამ კონგრესებზედ რომ ჩვენმა სოციალისტებმა მეტს ვერ მიალწიეს, ეს სამწუხაროა, მაგრამ მათ კიდევ მეტს ცოდვებს გამოუწახავდა ბ. სპ. კედია, უკეთუ მოიგონებდა ზოგიერთ ფურცლებს მათი ურთიერთობისა რუსეთის ს.-დემოკრატებთან და განსაკუთრებით მათს უკანასკნელს მემორანდუმს, მეორე ინტერნაციონალში წარდგენილს. ასე რომ ამ პარტიის და მისი პოლიტიკის არ ცოდნით არ არის გამოწვეული ის, რომ მოხსენებაში ნაკლებად იყო კრიტიკა და პოლემიკა და მეტად კი უდაგო საფუძვლების ცდა. ასეთი კრიტიკა და პოლემიკა საკმაოდ გვაქვს ნაწარ-



მოები და თუ ჩვენ ამის მეტი არაფერი შეგვიძლიან, მაშინ ჩვენ არ გვაქვს უფლება თავის თავი პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეებათ მივიჩნიოთ და მით უმეტეს ზომიერ რეალისტურ მიმართულების წარმომადგენლებათ.

გამბურვის კონგრესის კრიტიკის გარეშე ბ. ს. კედიას სიტყვაში ორი აზრი იყო გატარებული. პირველია—დემოკრატიული პლატფორმაზე ვერ შეიქნება ეროვნული გაერთიანებაო. გარეგნულად ეს განმეორებაა ბ. კერესელიძის აზრის, მაგრამ არსებითად ბ. ს. კედიამ პრინციპილურად უარყო ეროვნული გაერთიანების შესაძლებლობა. გ. კერესელიძეს შიში აქვს, რომ ხუთიოდე ქართველიც არ დარჩეს გაერთიანების გარეშე. ბ. ს. კედიას კი მთელს ს.-დემოკრატიას სტოვებს გაერთიანების გარეთ, რადგან გვიმტკიცებს, რომ ს.-დემ. ამ თაობასთან არაფერი საერთო საქმის წარმოება არ შეიძლებაო. ამ თაობაში ისეთი გაქვავება და მატერიალიზაცია მოხდა ძველ აზრებისა და ცოდვების, რომ მისი ევოლიუცია შეუძლებელიაო. როგორ დავიჯეროთ, რომ ამ წრეში არავითარი ევოლიუცია არ ხდება, როდესაც ყოველი ცოცხალი სხეული და საზოგადოება ყოველთვის განიცდის ამ ევოლიუციას? სულ სხვა საკითხია, თუ რამდენად ძლიერია და დამაკმაყოფილებელია ეს ევოლიუცია. ამ თაობასთან არა და შემდეგ თაობასთან კი დავიჭერ საქმეს 25 წლის შემდეგო. ეს არის რომანტიკა და არა სალი რეალური პოლიტიკის გეგმა. მათ მეორე თაობასთან უთუოდ ჩვენი მეორე თაობა დაიჭერს საქმეს და ჩვენ კი არსებულ პირობებში უნდა ვიმოქმედოთ და მის გაუმჯობესობაზედ ვიზრუნოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის.

ჩვენ რომ ბ. ს. კედიას გეგმა მივიღოთ, როგორი პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან? ან უნდა დავტოვოთ პოლიტიკური ასპარეზი, ყოველივე ს.-დ. დაუთმოთ და ჩვენ მის ახალს თაობას უცადოთ, ან და სამოქალაქო ომი უნდა გამოუცხადოთ მათ და ფიზიკურად გავანადგუროთ ერთმანეთი. არც ერთი ეს გზა არ არის სახელმწიფოებრივი გზა და ზომიერი სახელმწიფოებრივი მიმართულება, ერ.-დემ., მას ვერასოდეს ვერ გაიზიარებს. და ასეთი აზრები არასოდეს გამოუთქვამს წინეთ თვით ბ. ს. კედიას თუ რომელიმე მის თანამებრძოლს.

კერძოთ მემარჯვენე წრეებთან ურთიერთობას ჩვენი პარტია არასოდეს მიდგომია დოგმატიური მცნებების მიხედვით. საქართველოს არ წარმოუშვია ასეთი მიმართულება მაშინაც-კი, როდესაც ამისათვის დიდათ უკეთესი ნიადაგი იყო. რასაკვირველია იყვნენ მემარჯვენეთ განწყობილი ელემენტები, მაგრამ ისინი მუდამ თავდადებულად მუშაობდნენ და იბრძოდნენ ქართულ ეროვნულ ძალებთან, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზედ იყო აგებული. ამათგან მრავალია, რომ თავიც დასდეს ამ ბრძოლაში. ასევე უნდა იყოს მომავალშიც, თორემ როდესაც კაფეებში შედგენილი ჯგუფები მოითხოვენ, ჩვენ მემარჯვენე პლატფორმა გვინდა და იმ პლატფორმაზედ ვერ დავრჩებით, რომელზედ იყო აგებული ჩვენი პოლიტიკა დასაწყისიდან თვით მენშევიკების გაჩენამდე და დარჩა დღემდე, გასაგებია, რომ ეს დაბადებს სხვა წრეებში უნდობლობას და აზრს, რომ ამ ხალხს უმთავრესად გულის მოფხანა და გაღიზიანებული



გრძობების დაკმაყოფილება ამოძრავებს და არა ეროვნული მიზნები. ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლა საერთო და მთავარს მიზანს ემყარება მთელი ერის შეგნებაში—ეს არის ეროვნული სუვერენობის დაბრუნება. სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ აგრეთვე ერთი საერთო აზრი და განწყობილებაა შექმნილი ერში მან მრავალ წელთა მანძილზე გამოსცადა მენშევიკური და შემდეგ ბოლშევიკური დიქტატურა და მას სწყყრიან მშვიდობიანი და ნორმალური უფლებრივი წყობა ერის ნებასურვილებზე დაფუძნებული. მეძარცხენე დიქტატურის შემდეგ კიდევ ახალი დიქტატურის ტრფობა მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. ეს თითო-ოროლა პიროვნების ფანტაზიას თუ შეიცავს.

მიხ. წერეთელი მართალი იყო, როდესაც სთქვა რომ ეროვ.-დემოკრატია მესამოციანთა „საქმიანი ნაციონალიზმის“ გზით მიდისო. ამ გზით მოპოვებულა ყოველივე რაც დადებითი გვაქვს ჩვენს დროში ქონებრივი თუ კულტურული და ჩვენც ამ გზით მივდივართ. ეს არის საშუალო ხაზი, ცენტრალური მიმართულება ჩვენს პოლიტიკაში და ეროვნული ცხოვრების ყოველს დარგში. მომხსენებელი არკვევს ასეთი მიმართულების ბუნებას და ასკვნის, რომ ყოველი რეალისაგანი თუ მოვლენა განსაზღვრულია და შეზღუდული ცხოვრების სინამდვილეში სხვა რეალ საგანთა და მოვლენათა მიერ. ამიტომ ყოველი რეალური საქმე და მოქმედება პოლიტიკური თუ სხვა ასევეა შემოფარგული და მისი წარმოება მრავალს დათმობებსა, კომპრომისებს მოითხოვს. მხოლოდ ოცნებები და ფანტაზიები შეიძლება იყოს შეუზღუდავი და უკომპრომისო. ყოველს რეალურს საგანსა და მოვლენას აქვს თავისი გული, ცენტრი და მთავარი დასაყრდნობი წერტილი. ესაა მთავარი მისი ძარღვი არსებობისა და განითარებისათვის, ისაა ძალა შემკრები და შემარიგებელი. ასევეა საზოგადოებრივ მოვლენებშიც.

უიმედოა და განწირული პოლიტიკა უკიდურესი გზებით მავალი და მას ხანგრძლივობა არასოდეს ექნება. მრავალ გარეშე და შინაურ მიზეზთა გამო ჩვენ საკმაოდ გამოვცადეთ ასეთ უკიდურესობათა ბუნება. ვინც ჰფიქრობს, რომ ეს ასე უნდა იყოს მუდამ და რომ ქართველს ერს არაფერი ეხერხება გარდა უკიდურესობისა, ის სიკვდილის განაჩენს უწერს მის პოლიტიკურ არსებობას.

ჩვენ გვწამს, რომ ეს ასე არ არის. ცენტრალურ მიმართულების შედარებით სისუსტეს და უკიდურეს მიმართულებათა სიმძლავრეს თავისი მიზეზები ჰქონდა—მიზეზები გარდამავალი და მომავალში თვით ეს ყოველმხრივ დამარცხებული უკიდურესი ძალებიც საშუალო ხაზისკენ იზამენ პირს.

მომხსენებელი ამის შემდეგ ეხება ს.-ფედ. და ს.-რევ. წარმომადგენელთაგან გამოთქმულს აზრებს და განმეორებით აღნიშნავს,





რომ თუ ის თავის მოხსენებაში უმთავრესად შეეხო ორი მიმართულების პოლიტიკას ეს არა ამიტომ რომ სხვა პარტიებს ანგარიშს არ უწყევდა. ეს ორი ძალა იყო უფრო შეურიგებლად ერთმანეთისადმი დაპირდაპირებულ და ეს ჰქმნიდა ჩვენი პოლიტიკის ამინდს.

მომხსენებელი ცხოვრებაში ხედავს და ამის გამოძახილი ამ კრებაზედაც იყო, რომ ს.-დ. პარტიამ უთუოდ განიცადა და განიცადის ევოლიუციას არა მარტო გრ. წერეთელის სიტყვა იყო მხოლოდ ამის მაჩვენებელი, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული აზრებიც. ეს სავსებით ნორმალურია. საქართველოს ცხოვრებამ უდიდესი ცვლილებები განიცადა და ვერც ერთი წრე ვერ აიცდენს თავიდან ამის გამოძახილს მის აზროვნებასა და ხასიათზედ. რასაკვირველია ეს ევოლიუცია ფრიად სუსტია კიდევ და დიდათ ჩამორჩენილი ხალხში მომხდარ ცვლილებებზედ. ჩვენი პოლიტიკის საერთო ამოცანა უნდა იყოს და ყველასათვის სავალდებულო, რომ ხელი შეუწყოს ამ ევოლიუციას და არა შეეფერხოს ის ზედმეტი გაღიზიანებითა და შეურიგებელი ატმოსფერის დამყარებით.

მომხსენებელი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ყველა პარტიების წარმომადგენლებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მოხსენებაში გამოთქმულს უმთავრეს დებულებებს, რომელნიც ჩვენი პოლიტიკის გაჯანსაღებისათვის მუშაობას შეეხება. მათ არ დაუფარავთ, რომ არსებული გაერთიანება და საერთო ფრონტი არ არის დამაკმაყოფილებელი ჩვენი მიზნებისათვის. მართალია მათ კვლავ შერჩენიათ ამაყი და მედიდური კილო და პოზა, მაგრამ ესეც უნდა შეიცვალოს თანდათანობით. მოხსენებაში ვსთქვი, ამას დ. ვაჩნაძემაც გაუსვა ხაზი და ეხლა კიდევ გავიმეორებ, რომ არსებული თუ ყველა წინანდელი საერთო ფრონტები ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ეს ორგანიზაციები მეტად ვიწროთ იყვენ შემოფარგული და არა მარტო შემადგენლობით, არამედ მოქმედების ასპარეზით და გეგმებითაც. ჩვენ მებრძოლი ერის ნაწილი ვართ აქ უცხოეთში, ემიგრანტი ეროვნული და არა მარტო პოლიტიკური და ჩვენი თავი უნდა მივიჩნიოთ პატარა სახელმწიფოებრივ ერთეულათ, თომელსაც უნდა ჰქონდეს ამ ვიწრო მასშტაბში სახელმწიფოებრივი მოქმედების სათანადო ელემენტები. მისი ხელმძღვანელი ორგანო ყველა ამ სფეროებს უნდა მეთაურობდეს შესაძლებლობის ფარგლებში და არ უნდა კმაყოფილდებოდეს ვიწროდ შემოზღუდულ ამოცანებით.

მომხსენებელი ასაბუთებს თუ რათ დაერიდა ის წარსული პოლიტიკის უფრო ვრცელ კრიტიკას. ამის შესახებ საკმაოდ გვაქვს ნათქვამი და დაწერილი. ამ ჟამად ჩვენ გვინდა ისეთი გზა გამოვნახოთ, რომ მომავალში მაინც ავიციდინოთ თავიდან ძველი მარცხი და შეცდომები. მენშევიკებმა მე ეს წინანდელი ნაწერები მისაყვედურეს, ხოლო სხვებმა კიდევ მენშევიკებისადმი ეხლანდელი უფრო მშვიდობიანი მიდგომა დამიწუნეს. მე ვფიქრობ, რომ მოხსენებაში აღებული ზომიერი მიდგომა და კილო უფრო შეეფერება დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. ჩვენი ეროვნული საქმე მეტად რთულდება. ხანგრძლივ ბრძოლებში იღიბ მსხვერპლი ვავიღეთ, ხოლო მტერი კვლავ ძლიერია. მასთან ბრძოლა მრავალ მძიმე ხიფათსა და განსაცდელ შეყრის



ჩვენს ერს, უკეთეს არაა ბრძოლა დიდის მოფიქრებითა და ანგარიშით არ იქნა წარმოებული. აქამომდე ჩვენი ბრძოლის მთავარი აქტივი იყო მახვილი და თავგანწირვა. ეს მომავალშიდაც არ შემოაკლდება ჩვენს ერს, მაგრამ ის არ არის საკმარისი. აზრისა და გონების ელემენტი დიდად მოისუსტებდა ამ ჩვენს ბრძოლაში. ამიერიდან ეს უნდა შევავსოთ და ხმაღს გონება მივაშველოთ. ნაპოლენი ამბობს, რომ ორი ძალა მართავენ მსოფლიოს—მახვილი და აზრი, მაგრამ ხანგრძლივ მანძილზე ეს აზრია, რომელიც პირველობს. და რომ ჩვენი ერის თავგანწირულების და გამირობის იდეას, აზრისა და ბრძოლის პირობების ცოდნის ძალა შევმატოთ რამდენათაც შეიძლება მეტად, ამისთვის საჭიროა რომ პოლიტიკურმა წრეებმა თავი დაახწიონ ეხლანდელსულიერ დაკნინებას, შეურიგებელი განხეთქილებისა და ღვარძლიან სულისკვეთებას. ბრძნულია ქართული ანდაზა—ღვარძლის მთესველი ვერ მომკის იფქლსა მარდისა ხელითა. მხოლოდ ამ გზითა გახდება შესაძლებელი, რომ პოლიტიკური წრეები გასცილდნენ წვრილმანი ბრძოლის ვიწრო ჩარჩოებს და მთელი თავისი შესაძლებლობანი დიდსა და მთავარი ამოცანების გარშემო მოაქციონ. არ არის სხვა გზა ყველა ჩვენ ჯანსაღ ფიზიკურ და სულიერ ძალთა ჯეროვანად გამოყენებისათვის ჩვენს ეროვნულს მიზნებისათვის.

მე სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ მოხსენებაში გამოთქმული აზრები სრულის თანაგრძნობით მიიღო საერთოდ ქართული საზოგადოებისა და ყელა მისი პოლიტიკურ პარტიების დიდმა უმრავლესობამ. ამის მრავალი საბუთი მქონდა კრებაზედ და მის გარეშე. რასაკვირველია არიან ისეთებიც, რომელნიც მას პრინციპიალურად არ იზიარებენ და ორი შეურიგებელი ფრონტის შექმნის საჭიროებას იცავენ ფიზიკურად თუ არა ფსიქოლოგიურად მაინც. ზოგიერთებში კიდევ მოხსენებამ გაუგებრობა გამოიწვია. უკანასკნელი დროის ჩვენი ცხარე კრიტიკა მენშევიკური პოლიტიკისა მათ ისე გაუგიათ, რომ ასეთი ბრძოლა მუდმივი მიზანია და არა საშუალება ჩვენი მიზნებისათვის. ჩვენ ვებრძოდით და ვებრძვით ძველ მენშევიკურ პოლიტიკას არა იმ მიზნით, რომ ფიზიკურად მოვსპოთ და გავანადგუროთ ის წრეები, რომელნიც ამ პოლიტიკას მისდევენ, არამედ იმისთვის, რომ ისინი ვაიძულოთ, ეს ძველი გეზი შესცვალონ და საღ დემოკრატიულ საფუძვლებზე დადგნ თანდათანობით ან და ევროპის სოციალისტების პოლიტიკის საფეხურზედ მაინც ავიდნ. სხვა გვარი მიდგომა ამ საკითხებისადმი არ შეიძლება რომ ჰქონდეს საშუალო და ზომიერ სახელმწიფოებრივ მიმართულებას. მით უმეტეს ამ ხანაშია ასეთი გეზი სავალდებულო მთელ ქართველობისათვის. დამოუკიდებლობის დაბრუნება უფრო ობიექტიურ პირობებზეა დამოკიდებული, ვიდრე ჩვენს ძალებზე. ხოლო ჩვენი ძალებით ჩვენ შეგვიძლიან თავიდან ავიციდინოთ ახალი მარცხები და ჩვენი პოლიტიკური ხაზის სრული გაჩანაგება. ეს მუდმივ საზრუნველ ამოცანათ უნდა გავიხადოთ. არ უნდა დაუკარგოთ მებრძოლ ერს ღირსელი და საღი პოლიტიკური სახიერება, არ უნდა მოუსპოთ მას ის თუნდაც მცირე, მაგრამ მტკიცე და ნათელი პოლიტიკური და ზნეობრივი დასაყდნობი, რომელზედაც უნდა აშენდეს ჩვენი სუვერენული სახელმწიფოებრივი არსებობა, როდესაც ამის პირობები შეიქნება.

ასეთი საფუძვლები აქვს ჩვენ პოლიტიკურ ძალთა რამდენად შე-



სადღოა უფრო მტკიცე და გულწრფელ შეთანხმების საჭიროებას, მაგრამ მის ურყევ ნიადაგს წარმოადგენს აგრეთვე ამ ათი წლის მანძილზედ გადნახალი ბრძოლები, საერთოდ გაღებულ მსხვერპლი და საერთოდ დაღვრილი სისხლი. სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველთა საფლავები მთლიანია და გაერთიანებული ჩვენი ერის გრძნობასა და შეგნებაში. ასევე დარჩება ის ჩვენს მატთანეს ფურცლებზედ და მომავალ თაობათა შეგნებაში.

ასეთია ჩვენი მუდმივი აზრი და პასუხი იმ შეკითხვებზედ, რომელსაც ს.-დ. პრესსა გვიყენებდა ძალთა გაერთიანების საჭიროების შესახებ. ჩვენი მომავალშიაც არ გადაუხვევთ ამ გზას, და მისი განაღდება თუ კვლავ შეუძლებელი გახდება, ამის პასუხის მგებლობა ჩვენ ვერ დაგვეკისრება.

## ქართული ეკლესია უცხოეთში

ამა წლის მაისის 31, პარიზში შესდგა პირველი ქართული წირვა. ეს ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში. ეს მოხდა ემიგრაციის ათი წლის თავზედ და არა პირველსავე თვეებში, როგორც ეს ხდებოდა მუდამ, როდესაც წინეთ, საუკუნეთა მანძილზედ, ქართველობის თუნდაც მცირე გუნდი თავის მიწა-წყალს დასცილდებოდა და დროებით უცხო ქვეყანაში მოიპოებდა ბინადრობას. ეს, რასაკვირველია არას გვეუბნება ჩვენი ახალი ემიგრაციის სასარგებლოდ. ამზომად მრავალრიცხოვან ქართულს ემიგრაციას, ეროვნული მიზნებისათვის გადმოხვეწილსა და მებრძოლსა, აღჭურვილს ეროვნული ორგანოებით, ორგანიზაციებით და მდიდარს კულტურული ძალებით აქამომდე აკლდა ჩვენი ეროვნული ცხოვრების ორი მთავარი საფუძველი—ქართული სკოლა და ქართული ეკლესია! ქართული ეკლესიის დაფუძნების საქმე უკვე დაწყებულია, ხოლო ქართული სკოლა კვლავ საოცნებო საგნად რჩება.

ქართული ეკლესიის დაფუძნების საქმე უცხოეთში დაიწყო სამიოდე წლის წინეთ ბ. ილამაზ დადემუკელიანის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით. როგორც მას აგრეთვე სხვა მის თანამშრომლებს ამ საქმისათვის არ დაუზოგავთ არც ძალა და არც სიყვარული. სამწუხაროდ თავიდანვე დაშვებულ იქმნა შეცდომა, რომლის გამო ამ მუშაობამ სათანადო ნაყოფი ვერ გამოიღო. საქმე დაწყებულ იქმნა ჩვენი მდგომარეობისათვის შეუფერებელ მასშტაბითა და გეგმით. ღირსული ტაძრის აგებით იყო ნაგულისხმევი ამ საქმის დასა-



წყისი. გაცილებით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ეს თავიდანვე მღვდლის მოწვევითა და ნაქირავებ ბინით დაწყებულიყო. ამის შემდეგ საკუთარი ტაძრისთვის საღსრის მოპოება უფრო ადვილი იქნებოდა.

მღვდლად მოწვეულია მ. გიორგი ფერაძე. ახალგაზდა მოძღვარს დასრულებული აქვს თბილისის სასულიერო სემინარია და შემდეგ, ჩვენი საეკლესიო საბჭოს წარგზავნილს, თეოლოგიური ფაკულტეტი ბერლინისა და ბონხი. თეოლოგიასთან ერთად მას შესწავლილი აქვს აღმოსავლური ენები: ძველი ებრაული, სირიული, არაბული, კობტური და სომხური. 1927 წ. ის მიიწვიეს ბონში აღმოსავლეთის ენების კათედრაზედ. მას გამოქვეყნებული აქვს სხვა და სხვა ენაზედ სამეცნიერო შრომები საეკლესიო და ისტორიულ საკითხებზედ.

უცხოეთში აღზრდილ ახალგაზდა მოძღვრის მღვდელ-მსახურება რომ უნაკლებო არ იქნება, ეს სავსებით ვასაგებია. ის ახალგაზდობიდანვე დაშორებულია ქართულ მღვდელ-მსახურებას ათი წ. მანძილზედ და მისი წესებისა და სულის აღდგენა მას უხდება ინსტიტუტითა და მეხსიერებით. მაგრამ ვინც გულდასმით ადევნებდა — თვალ-ყურს მის წირვებსა და პანაშვიდებს ამ სამიოდე თვის განმავლობაში, შეუშინეველი არ დარჩებოდა, რომ ის დიდს დაწინაურებას აღწევს ამ მიმართულებით. ნათლად სჩანს, რომ ძლიერი რწმენით გაღვივებულ სიყვარულთან ერთად ეკლესიისადმი მას აქვს მტკიცე ნებისყოფა, წყურვილი და ენერჯია, რომ ღირსეულს სიმალეზედ აიყვანოს ქართული მღვდელ-მსახურება სამშობლოდან გადახვეწილ სამწყსოში. შეგვიძლიან ვიქონიოთ სრული რწმენა, რომ ამ მიზანს იგი სავსებით მიაღწევს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალგაზდა მოძღვარის ქადაგებანი. ის მდიდარია არა მარტო სარწმუნოებრივი აღგზნებით, არამედ მხატვრული სახეებითა და ღრმა აზრებით. რელიგიურ თემების გაშუქების დროს ის არ გაურბის თანამედროვე ცოდნისა და მეცნიერების დასკვნებს. ის მას უთანხმებს და არიგებს მტკიცე რწმენით, რომ რაც უდავოა ახალი ცოდნის სფეროში, ის არ ეწინააღმდეგება და სრულებით არ არყევს რელიგიურ საფუძვლებს. მრავალი საბუთი გვაქვს ვიქონიოთ იმედი, რომ მ. გ. ფერაძე საპატიო ადგილს დაიჭერს საუკეთესო ქართველ მქადაგებელთა შორის. ქართულ ემიგრაციას განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა ჰმართებს ახლად დაწყებულ საეკლესიო საქმის მიმართ.

მორწმუნე.



საქართველოს  
კომუნისტური  
პარტია

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი

ტიხონის მიმართ

ეპისტოლე

უწმიდესი ლეონიდის სრულიად საქართველოს

კათალიკოზ - პატრიარქისა.

რაფიელ ინგილოს წინასიტყვაობით

(თარგმანი რუსულიდან\*)

წინასიტყვაობა

და გარდამოხდა წვიმა, მოვიდეს მდინარენი,  
ჰქროდეს ქარნი, და ეკვეთნეს სახლსა მას და  
არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებული იყო კლდესა  
ზედა. მატთე 7. 25.

ქართველ საზოგადოებაში თანდათანობით ფეხსიკიდებს ის სალი შეხედულება, რომ საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია დრომოქმელი, ისტორიაში გადასვენებული კათეგორია კი არ არის, არამედ არის რეალი და უდიდესი ღირებულების მოვლენა, რომლის მნიშვნელობა ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ უსათუოდ იზრდება და მკვიდრდება შინაპ და გარეთაპ.

რუსეთის სინოდალური გამგებლობისა გამო სრულიად დაკნინებულსა და სხეულგებრივად გაძარტულ ჩვენს ეკტესიას ხალხი შემოეფანტა განსაკუთრებით იმ ხანებში, როცა უნიადაგო და უსაქმო გაბოროტებულმა ინტელიგენტურმა წრეებმა გადმონერგეს უკიდურესი ნიჰილისტური პაზროვნება და მუყაითად შეუდგნენ მის გავრცელებას ფართო მასებში, ხოლო უმეტესად მოსწავლე ახალგაზრდობაში: მექანისტიკა ბიუნერისა, მატერიალისტური ანთროპოლოგიზმი ფოიერბახისა, მარქსის ვულგარული სოციოლოგია ოგიუსტ კონტის სამსტადიური განვითარების (რელიგია, მეტაფიზიკა, მეცნიერება) დებულებით შემოზღუდული,—აი ამ ტვირთით დაიწყო საქართველოში უსასტიკესი

\*) ფართო წრეებში შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ კათალიკოზ ლეონიდისა და რუსეთის პატრიარქ ტიხონის შორის ადგილი ჰქონდა წერილობით გამოლაპარაკებას ჩვენ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა გამო. მისი უწმიდესობის წერილი რუსულათ იყო შედგენილი, ხოლო დრომ არ დაასალა მისი გადმოქართულება. ბ. რ. ინგილოს თარგმანი არის მაშასადამე პირველი ქართული ტექსტი. ჩვენ ადგილს ვუთმობთ ამ ეპისტოლის ტექსტს, როგორც იზვიათი ღირებულების საისტორიო დოკუმენტს. ტექსტს წინერთვის მთარგმნელის წინასიტყვაობა. თვით ეპისტოლე უმედვ ნომერში მოთავსდება. რ დაქცია.





იერიშები ყოველივე იდეალისტური მოძღვრების წინააღმდეგ, და თუ მხედველობაში გვექნება ბრძოლაში ჩამბულ ინტელიგენციის დიდი ნაწილის განსაცვიფრებელი განუვითარებლობა, ადვილი წარმოსადგენია რა უნორმალო პირობებში უნდა წარმოებულყო ეს «იდეოლოგიური» აყალმაყალი.

ეკლესიას ებრძოდნენ ყოველი მხრით და ამ ბრძოლაში თვით მოპირდაპირენიც ერთსულოვნობდნენ, რადგანაც ჩვენებური საერო იდეალიზმი ჰეგელის «აბსოლუტური სულის» გარეშე უსინათლო იყო. მოგვსენებათ, რომ წმიდა სულის ხილვას გერმანელი პროფესორის დიალექტიკის გარდა კიდევ სხვა რამ ესაჭიროება... მასთანვე ეკლესიასთან ბრძოლა არც წარმოადგენდა სიძნელეს. სად იყო საღვთისმეტყველო განათლება? ვინ «დაქვეითდებოდა» იქამდის, რომ სპეციალ საეკლესიო სფეროში რაიმე ცოდნა გამოეჩინა, ეს ხომ ჩამორჩენილობის ნიშანი იქნებოდა!!!

განმარტოვებული და პატივყარილი იყო წმიდა ნინოს, გიორგი მთაწმიდელის, ანტონ კათალიკოზის ეკლესია! მეტხორცად იყო მიჩნეული საქართველოში ის დაწესებულება, რომელიც ქვეყანას კრუხივით თავსევლებოდა და უამრავ ჭირთა შინა მის წყლულთა მრჩენელი იყო! თანამედროვეებმა უარჰყვეს სამკაული, რომლის ფასდაუდებლობამ საუკუნეების სიღრმეში სპარსელი ჯარისკაცი მოხიბლა და მის დასვაში თავისი სიცოცხლე შეაწირინა! ის დედაქალაქის პატრონათ იქცა აბოტფილელის სახელწოდებით, ხოლო მისმა მაგალითმა თვით ერის წიალს წარმოაშობინა მთელი სპა ეკლესიისათვის მეომართა.—მათი სახელი ლეგიონია და არც ერთი მოქმედება ქართველი ერის ეკლითფენილ ისტორიისა არ შესრულებულა უმათოდ; მათ ჯვარი ქრისტესი ვითარცა უღელი სულ მძირე იტვირთეს ეკლესიისა და მამულის სადიდებლათ; ღვთისა ტარიგნი ამ სოფლად შიშუდებ მეომრად შეიცვალნენ და არც თუ წინამძღონი დაჰკლებიათ ეამთა ტრიალში: არჩილ მეფე, ლუარსაბ მეფე (II), შალვა და ელიზბარ ერისთავნი, ბაძინა ჩოლოყაშვილი (ვინ იტყვის, რომ აწ განსვენებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ამ წინაპრის შარავანდედი არ უსხივონებდა გზას!), თორნიკე ერისთავი, ქეთევან დედოფალი, დოსითეოს ქუთათელი, ექვთიმე გენათელი, ანტონ (ერეკლეს-ძე) კათალიკოზი, ამბროსი ნეკრესელი, ამბროსი კათალიკოზი...

ასეთი ეკლესიის სულის ჩაკვლა მოიწადინა პოლიციური რეჟიმის მიერ წახალისებულმა რუსეთის სინოდმა. დადამპყრობელობის იდეით გატაცებულთ რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელთ ანგარიშში არ მიიღეს ის გარემოება, რომ ეკლესიური თვალსაზრისით მათი საქციელი დანაშაულს ეთანაბრება, ხოლო რა სახე მიეცა ამ დანაშაულს და რა მიზნებს ემსახურებოდა, ამას მკითხველი დაინახავს თვით კათალიკოზ ლეონიდის მოსკოვის პატრიარქის მიმართ ეპისტოლეს ტექსტში. აქ ჩვენს თვალწინ იშლება შემადარწუნებელი სურათი იშვიათი ძალმომრეობისა, სხვათა უფლებების მიტაცებისა! რუსეთის საეკლესიო მმართველობა იმ წომამდისაც კი მივიდა, რომ საერო მთავრობის მხელეებს დასტური მისცა საქართველოს ეკლესიის საქვითმპყრობელის,



პატარა კახის ძის ანტონ კათალიკონის შეპყრობისა და თავის სამწყსო-ისაგან იძულებით ჩამოშორებისათვის.

დაქვრივდა ეკლესია! მოსული სხვა ჯურისა გამოდგა, თუმცა პირ-ჯვარს ჩვენებრ ისახავდა! ხალხი კა უმალ მიპხვდა, რომ მოძღვარნი მისი თოხუმსა არ იყვნენ! ღვთისმშობლის სიონში მოძიბლავი ქართული ღაღადი შეწყდა, თანაც ლოცვას პროტოდიაკონების ყვირილი ახშობდა: სხვა წესები მოგვახვიეს, სხვა სიტყვები, სხვათა სახელების ხსენება უსხოდ გაისმოდა ქართულ ფრესკებშორის, თუმცა მალე თითქმის ყველგან წაიშალა ეს ჩვენი მხატვრობის ნიმუშებიც, და პირველ ყოვლისა იმავე სიონისა და ქართველთა განმანათლებელის განსასვენებელში!

გაუქმდა ავტოკეფალია, ხოლო იმათ, ვინც თაობას ჩემულობდნენ, ეკლესიის სხეულის სრესას მიჰყვეს ხელი! რუსის მოხელეებმა ყველაფერი დაგვიწუნეს: ქართული ხორთომოდვრების ძეგლები «ხიენებათ» დასახეს, შოთას და ილიას ენა ძაღლის საყვავათ მიითვალეს!

ქართული ეკლესიის დევნა გამოზომილ სისტემად გარდაიქცა. ჩვენი სამღვდლოების საუკეთესო ნაწილმა ადრევე იგრძნო საშიშროება და მხნეთ შეუდგა რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედებას; საქართველოს ყოველ კუთხეში გაჩნდნენ მეთაურები და წერიტა, ქადაგებიტა, თუ უბრალო პროპაგანდიტა ხელსუწყობდნენ ეკლესიაში ეროვნული სულის გაღვივებას; აქ დასასახელებელნი არიან: ეპისკოპოსნი = გაბრიელი, ალექსანდრე, კირიონი (ქემდგამ კათალიკონი), ლეონიდე (შემდ. კათალ.), დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი (შემდგ. კათალ.) დეკანოზი დავით ღამბაშიძე, დეკ. კ. ცინცაძე (აწ წინოწმიდელი მიტროპოლიტი), დეკ. მ. კელენჯერიძე (Tonemelis), დეკ. ნ. თალაკვაძე, მღვდელი დიმიტრი ჯანაშვილი (საინგილოში), მღ. ქრისტეფორე სიცქიშვილი (ამჟამინდელი კათალიკონი), მღ. პოლიევქტო კარბელაშვილი და კიდე სხვანი.

გასულ საუკუნის მიწურულებში ავტოკეფალური მოძრაობა უკვე კონკრეტულ ფორმებში ჩამოყალიბდა და სამღვდლოების ფართო ნაწილიც მიიზიდა, რასაც მოჰყვა საექსარხოსოში პროსკრიპციული სიების შედგენა, აქედან გამომდინარე შედეგებით, და ასე გაგრძელდა ბოლომდის, ვიდრე განგების მიერ გამოზომილი ჟამი ღვთისმშობლის წილხდომ აკლესიას კვლავ მისთავაზებდა საკუთარ მეუფებას.

შემდგარი იქნება ვიფიქრთ, თითქმის 1971 წლის 12 მარტის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა ან ჩვენი ქვეყნისა, ან მისი ეკლესიის მიმართ შეცვლილიყოს: სხვა და სხვა ჯურის რადიკალ-სოციალისტურ მთავრობათა რევოლუციური ფრაზეოლოგია ისევე მზატე გამოდგა საქართველოსათვის, როგორც წინადროის საიმპერატორო რესკრიპტები, რომლებშიაც, მოგეხსენებათ, კომპლიმენტებს არ იშურებდნენ ჩვენთვის... მისი უწმიდესობის ეპისტოლე გვაწვდის დაწვრილებით სწობებს მსხეთის აქტის მომყოლე ფაქტებზე, — ამ გარემოებაზე ჩემის მხრით ქართველი მკითხველის ყურადღებას განსაკუთრებულად მივაქცევ.



უმართებულესმა სინოდმა მოიჭამა თავის დრო და ისე ჩაესვენა მივიწყებაში, რომ არ შეიგნო უძველეს ეკლესიის მიმართ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულობა, ხოლო როდესაც რუსეთის ეკლესიამ თავისი კანონიკური წყობილება აღიდგინა და მოსკოვში პატრიარქი დასვა, ივერიის ეკლესიის მიმძღავრებულ უფლებათა პატრონისათვის ჩასაბარებლათ არც კი მოუფიქრნია! აი ამ გარემოებას ნათლად ურკვევს უწმიდესობის ეპისტოლე მოსკოვის პატრიარქს და სწორედ ეს წარმოადგენს ამ ისტორიული საბუთის მნიშვნელოვან მომენტს.

საქართველოს კათალიკოზის წერილს გამოხმაურება არ მოჰყოლია: შეიგნო რუსის პატრიარქმა თავისი «მთავონების» მოუფიქრებლობა, თუ რამ სხვა მიზეზით დადუმდა, ეს არც თუ ისე საინტერესოა! ერთი რამ კი აშკარაა, რომ რუსული ეკლესიური შეხედულება ჩვენი ავტოკეფალიის მიმართ ოდნავაც არ შეცვლილა არც ამ ქამად: აღვაიზნავ ორ წვრილმან, მაგრამ დამახასიათებელ ამბავს,—ერთმა ქარველმა ემიგრანტმა მოისურვა პარიზის რუსულ საღვთისმეტყველო ინსტიტუტში სწავლის მიღება; მის თხოვნაზე შემოთვლილ ოფისიალ პასუხში ნაჩვენები იყო, რომ მთხოვნელი ინსტიტუტში მისაღებ ყველა პირობებს აკმაყოფილებს, ერთის გარდა: სტუდენტად ჩარიცხვისათვის აუცილებელი ყოფილა, რომ მთხოვნელი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან გამოვიდეს!!! მეორე ფაქტი უფრო თვალსაჩინოა, რადგანაც ამ შემთხვევაში მომქმედ პირად გამოდის მთელი აღმოსავლური ეკლესიის ერთი უშესანიშნავესი ღვთისმეტყველთაგანი მიტროპოლიტი ანტონი (ხაპოვიცკი, ყოფილი მთავარეპისკოპოზი ვოლინისა): ამ რამდენიმე თვის წინათ მან სერბეთის პატრიარქის ბარნაბას ინტრონიზაციის დროს რუსის ეკლესიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოასთქვა და რილასისათვის დასუბირდა აღმოსავლური მმართველი ეკლესიების თითებზე ჩამოთვლა,—საქართველოს ეკლესიას ამ ცხრილში აღვირი არა ჰქონია!!!

საჭირო იყო საზოგადოთ ბრძოლა ავტოკეფალიისათვის? შესაძლებელია ეკლესიის ნაციონალ ჩარჩოებში ჩამწყვდევა? ეგუება სამარადისო იდეების განმასახიერებელი ერთეული ეროვნულ მაშასადამე, განკერძოებულსა და ვიწრო პოლიტიკას? უმჯობესი არ არის განა ეს იდეები აპშორდნენ ეროვნულ ფარგლებს და ერთმყოფს, უნიტარულ, ანუ უკეთ, ცენტრალ ორგანოს მიეკუთვნოს? ასეთი კითხვები ჩვენ ხშირად გვსმენია უსახელებისაგან, უმეტესად კათოლიკურ ეკლესიის წარმომადგენლებისაგან: ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონდა ზემოჩამოთვლილ კითხვებს გერმანულ პრესაში შეჭნებოდა კათოლიკურ მეცნიერის d'Herbigny-ს ერთი წერილისა გამო, რომელშიაც ეს სწავილი იეზუიტი აღნიშნულ დებულებათა მიხედვით აღმოსავლურ ეკლესიას ერთბაში ორგანიზაციის სახიანობას ართმეკდა და «ეკლესიურ თემებათ» ჰსახავდა. არავითარ შემთხვევაში ეს არ ეშვება მება სინამდვილეს: ამ ფაქტიდანაც სჩანს, რომ თანამედროვე სახის კათოლიკური ეკლესია სრულებით ასცდა იმ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნორმებს, რაზედაც და უძნებელი იყო ეკლესიური ორგანიზაცია მო-



სიქულთა კანონების და მსოფლიო კრებათა მიერ. ამ აცდენის უკიდურესობა გამოიხატება ვატიკანის 1870 წლის კრებაზე, რომელმაც infallibilitatis (უსთომელობის) დოგმატი გამოაცხადა და ამით პაპს ღვთაების თვისება მიუკერძა. ამ კრების შემდეგ ვილა გაჰბედავდა საეკლესიო ოლქების პრეროგ ტივების სასარგებლოთ კითხვის აღძვრას, ან რაღა ეს უფლებები, როცა პაპს მიკუთვნებული აქვს plenitudo potestatis ecclesiae, როცა ყველაფერს განაგებს ევისკოპაზი რომისა, მოსიქული პეტრეს «ატრიბუტებით» დაჯილდოვებული, ერთის მიმართებით, რაც თვით მოსიქულთათვის არცა ჰქონდა და არც მოსიურებდა ჰქონდა: სოდვილ დედამიწის შვილს არ ძალუძს გამოიტაცოს თვისებანი უწუნაესისა! ბოდიშს ვიხდი ამ სპეციალ თემანე სიტყვის გაუიანურებისათვის, მაგრამ ერთი გარემოება ამასთან დაკავშირებული მაინც მინდა აღვნიშნო: ესლა ხშირათ გაიგებთ კათოლიკისაგან, რომ პაპი ისევე სთომილია, როგორც ყველა სიკვდილის შვილი, მაგრამ უსთომელობს, როცა ღაღადებს ex cathedra, ასე ვთქვათ საჯაროთ, ვითარცა ეკლესიის ეკლესიისავე ძირითად საკითხთა გამო. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს დებულება შეიცავს contradictio in adjecto-ს: ვინც ერთ (ისიბ დიდ) სფეროში უსთომელია, რატომ უნდა შესდეს მეორე (უფდ მსირე) სფეროში?! ვარნა ვინ არ იცის, რომ ვატიკანის კრებაზე იეზუიტები პაპისათვის აბსოლუტურ უსთომელობას მოითხოვდნენ, და მხოლოდ გალიის (საფრანგეთის) ეპისკოპოზების ოპოზიციამ გამოანახინა «ex cathedra». ჩავუკვირდეთ ყველა ამას და ადვილათ გავითვალისწინებთ, თუ რა ძნელია მართლმორწმუნე კათოლიკისათვის «ავტოკეფალიის» საჭიროების გაგება და შეთვისება.

აღმოსავლეთ ეკლესიის წყობილება სავსებით დამყარებულია წმიდა მამათა მიერ შემუშავებულ წესებზე, რომელთა სისტემატიზაცია პატრიარქ ფოტის Nomocanon-ში ამოიხატა; ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის, საერო ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კონსტიტუცია. ამ კანონთა გადახვევა, ან შეუსრულებლობა ეკლესიიდან განკვეთის მომასწავებელია, ხოლო მათი მიღებითა და შესრულებით ეკლესია ერთიანდება. თვითეული ავტოკეფალი ეკლესია მაშასადამე მართებლობს საერთო, ყველასათვის სავალდებულო სტატუტის მიხედვით და ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი, რა თქმა უნდა, მას უნდა ეთანხმებოდნენ, მისი საერთო დებულებებიდან უნდა გამომდინარეობდნენ; რჩება, როგორცა ვხედავთ, მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის საეკლესიო ადმინისტრაციული საკითხები და აი სწორეთ ასეთებია ვადატანილი პერიფერიებში, თვითმომკმედ ეკლესიებში და მათ სრულს კომპეტენციას შეადგენს. ჩვეულებრივთ ადგილობრივი კრებები კიდევაც გაუზრბიან დოგმატიური საკითხების განხილვას, რათა არ იქმნას განმითრებული ის, რაიცა 589 წლის ტოლედის (ისპანია) მესამე ადგილობრივმა კრებამ ჩაიდინა ნიკეა-კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებათა (325, 381) მიერ დადგენილ სარწმუნოების სიმბოლოში თავის შესწორების შეჯანით (a Patre Filioque procedentem). ამრიგათ, ავტოკეფა-





ალია სრულები არ არღვევს ეკლესიურ მთლიანობას, ხელოვნულ სხვა არის დისციპლინის საკითხი, კოორდინალი სისტემით ამოქმედება ეკლესიის სხეულისა; ამაში კი კათოლიკურ ეკლესიას ბევრი რამ ეთქმის აღმოსავლეთის დასაძრახავათ, გარნა ეს უკვე ცალკე გასარჩევი პრობლემაა...

როდესაც მე-XVII საუკუნის მიწურულში «ქართლის ბედი» სწყდებოდა, მეფე გიორგი ჩვეულ ირონიით შეეკითხა სასახლეში მცხოვრებ რომიდან ჩამოსულ ლათინურ მღვდელს, რა ჰაზრისაა ის, თუ რუსეთის მომხრეა აუსილებელი შეიქმნა; პატრის ჰასუხი მარტივი და ბრძნული იყო: ეს იქნებოდა მისი ფიქრით უდიდესი უბედურება საქართველოსათვის, ხალხის გმინვა კი რუსული ბარაბანის ბრახუნით ჩაიხშობოდა! ეს გამართლდა, ხოლო სულ მალე ქართული სამეფოს დამონებას მისი ეკლესიის თავის მოკვეთაც და ბარაბანის ბრახუნს პრაქტიკულად ღრიალი მიემატა: მთელი საუკუნე დასჭირდა მათ ჩაჩუმებას...

რაფიელ ინგილო.



მლ. გიორგი ფერაძე





## ა გ ვ ი ს ტ ო ს ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა

საქართველოს აჯანყება 1924 წლის აგვისტოს მიწირულში ფრიად მნიშვნელოვანი დატაა ჩვენი ერის განმათავისუფლებელს ბრძოლაში. სავსებით ბუნებრივია, რომ უცხოეთში გადმოხეწილი ქართველობა განსაკუთრებულ დღეებს ნიშნავს ყოველწლიურად ამ დიდი მოვლენის მოსაგონრად და აღსანიშნავად. ემიგრაციის დიდი ნაწილი თვით არის მონაწილე და მოზიარე იმ თავგანწირული ბრძოლებისა, რომელსაც აწარმოებენ ქართველი ერი ათი წლის მანძილზედ. მის გულში იღვიძებს ის ბრძოლის სული, რომელსაც ატარებდა ის ამ სასახელო ბრძოლებში მის მესხიერებაში ცოცხლებიან მათი სახელოვანი თანამებრძოლნი, რომელთა დიდი ნაწილი სამშობლოსათვის თავდადებით დაშორდა მებრძოლთა რიგებს და საუკუნოების მანძილზედ საქართველოსთვის თავგანწირულ გმირთა უამრავ ლაშქარს შეუერთდა. ეს განცდა და ეს მოგონებანი ამტკიცებს და ამაგრებს ყოველდღიურ მძიმე ცხოვრების პირობებით დაქანცულ ქართველ ემიგრანტის სულს. ის აშორებს მის აზრსა და განცდას ამა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ ჭირ-ვარამს და მტკიცედ უკავშირებს უმაღლეს ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებს.

გაცილებით უფრო ღრმა და მძიმე ეს განცდა თვით საქართველოში. თავდადებულთა ბრძოლა კვლავ გრძელდება, მრავალი ხიფათი და თვით სიკვდილი კვლავ სდარაჯობს მებრძოლთა რიგებს. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე კვლავ მეტყველობს გადახდილ ბრძოლებზე, თავდადებულ მებრძოლთა ლანდები კვლავ ცოცხლობენ მებრძოლი ერის გულში და დაღუპულთა ჭირისუფალნი კვლავ ძაძით შემოსილი ავსებენ ცოცხლებთა რიგებს. და ყოველივე ამას ჩვენი ერი განიცდის თავის გულში, ფარულად და იდუმალად, ვინაიდან ის მოკლებულია საშუალებას მის ახდილად გამოთქმისა, გამოსახვისა.

ასეთი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენათა საჯაროდ მოგონებასა და აღნიშვნას თავისი ღირსეული ფორმებიც უნდა მიეცეს. მას არ უნდა ჰქონდეს ნაჩქარევად და შემთხვევითი გარემოებით დაღდასმული აქტისა. ყველასათვის უნდა იყოს ნათელი და გასგები თუ რა არის მთავარი ამ მარადის მოსაგონარ ბრძოლებში და რა ნაკლებად მნიშვნელოვანი და გარდამავალი, რა არის ყველასათვის სავალდებულო და საერთო და რა კერძო, ჯგუფური თუ პიროვნული. უამისოდ შეუძლებელია ამ ისტორიულ მოვლენათა ღირსეულად დაფასება და მომავალ თაობისათვის ეროვნული აღმზრდელობის და



პატრიოტულ ამბლების ფაქტორად გახდენა. ასეთი ზომის ისტორიული მოვლენები ვერ აშენდება ემიგრანტულ ფსიქოლოგიური დაძაბუნებისა, დაქსაქსულობისა და განკერძოებული სულისკვეთების საფუძვლებზედ. ის უნდა დავაშოროთ ზოგიერთ ემიგრანტულ წრეების იმ გადაგვარებულ სულისკვეთებას, როდესაც ყველა ასეთი მოვლენები კერძო პიროვნული თუ ჯგუფური პატივ-მოყვარეობის და თავმოყვარეობის მასალად ხდება. ბოლო უნდა მოეღოს ისეთს ვითარებას, როდესაც აჯანყების დროშას ეფარებიან ისეთი ელემენტები, რომელთაც ის არასოდეს უხილავთ ბრძოლის ველზედ და მხოლოდ ემიგრაციაში ატეხილ ფაფხურის დროს გაიხსენეს, როდესაც ამ ბრძოლათა უმთავრეს გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს ეკვრიან და ეწებებიან იმ საბუთით, რომ მას ემიგრაციაში ხედავდენ და ხვდებოდენ.

ასეთი მავნე და განმათავისუფლებელ ბრძოლის სახელოვან სახისა და სახელის შემბლაღავ მოვლენათა აღკვეთა და თავიდან აცდენა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, უკეთუ განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი მომენტები საქვეყნოდ იქნება აღნიშნული და განხილული ისეთი პირების მიერ, რომელნიც მასში უმთავრეს როლს თამაშობდენ. რასაკვირველია ამ პირებს ბევრს კითხვასა და მოვლენაზედ განსაკუთრებული აზრი ექხებათ. მაგრამ ეს ყველასთვის ნათელ ჰყოფს თუ რა იყო და არის უდავო და საერთო. უმთავრეს ფაქტებსა და რეალურ მოვლენებს ვერვინ გაექცევა, ხოლო მათი აღსნა დაე ყველას ჰქონდეს თავისი და ამას პირუთვნელი ისტორია გაუკეთებს საბოლოო დასკვნას.

ამ სახით უნდა იყოს აღნიშნული განმათავისუფლებელი ბრძოლის უმთავრესი საფეხურები: პოლიტიკურ პარტიათა შეთანხმებისათვის მუშაობის დაწყება 1921 წ. მარტ-აპრილში ბათუმში, მისი განგრძობა თბილისში, ნაწილობრივი შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებისა, საერთო შეთანხმება 1922 წ. გაზაფხულს, სვანეთის აჯანყება 1921 წ. შემოდგომა-ზამთარს, სანხედრო კავშირის დაარსება, მისი კავშირი ეროვ.-დემ. პარტიასთან, შემდეგ მისი დაქვემდებარება საერთო ცენტრისთვის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გასვლა, მისი რაზმი, ამ რაზმისათვის სტატუტის შექმნა და მისი და ეროვ.-დემ. პარტიის აქტიურ ძალთა ერთ მებრძოლ ლაშქრათ გამოცხადება და საქართველოს შეფიცულთა ლაშქარის დაფძნება, კახეთ-ხევსურეთის აჯანყება 1922 წ. საერთო აჯანყების მზადება, მისი შეჩერება, დამოკიდებულობა და კავშირი მეზობელ ერთა აქტიურ ძალებთან სამხედრო კავშირის ჩავარდნა, საერთო აჯანყების ახალი მზადება და ამის გადაწყვეტისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის თბილისში მოწვევა 1923 წლის ნოემბერში, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მზა-



დება და მისი გამოცხადება და წარმოება სხ. და სხ. კუთხეში და სხვა

რასაკვირველია ამ ამბებში მრავალი ისეთი, რომელთა გამჟღავნება ამ ჟამდაც არ შეიძლება, მაგრამ ამ ბრძოლათა ნამდვილი სურათის აღდგენისათვის სავესებით საკმარისია ის, რაც მრავალჯერ არის გამოქვეყნებული სხვა და სხვა დროს და თვით პარტეტულ კომიტეტის პროცესის დროს თვით ამ საქმის ხელმძღვანელთა პირით. საჭიროა მხოლოდ ყოველივე ამის თავის მოყრა და დალაგება. ეს ნათელ ჰყოფს ყველასთვის ამ საქმეთა ნამდვილ სახესა და მის სულს და მით მოსპობს ყოველგვარ შესაძლებლობას მის მრუდეთ დასახვისა და რაიმე მიზნით მრუდეთ გამოყენებისა. საკმაო დიდი დრო გავიდა ამ მოვლენათა შენდეგ და მისი ღირსულად აღბეჭდვა სავალდებულოა იმ პოლიტიკურ წრეებისათვის, რომელნიც მას მეთაურობდენ.

სოლ. ზალდასტანიშვილი.

## ს ო მ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

ტრალიკულად დაიღუბა უცხო მიწა-წყალზე საქართველოს მთავრობის წევრი და სოც.-დემ. პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი ნოე რამიშვილი.

განსვენებულის მოღვაწეობა, როგორც მთავრობის წევრისა, ისე პარტიის ლიდერისა, ჩვენ მრავალჯერ გავვიხილავს და გავვირჩევია. ყოველივე ამის მოგონებას ჩვენ არ შეუდგები ახლადგატხრილი საფლავის წინაშე. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ განსვენებულის მოღვაწეობის პირობებსა და მის მთავარ ხაზს, რასაც ჩვენ გვავალდებულებს პოლიტიკური მუშაობის წესები და მოვალეობა. შეიძლება ითქვას, რომ მენშევიკურ პარტიას არასოდეს ჰყოლია მეორე წევრი, რომელიც რამიშვილსავით გამოსახავდა ამ პარტიის მოღვაწეობის გეზს, და მოქმედების ხასიათს. დაუშრეტელი ენერჯია, ზასიათის სიმტკიცე და უსაზღვრო პარტიული ფანატიზმი განსაკუთრებულს გავლენასა და მნიშვნელობას ანიჭებდენ განსვენებულის პიროვნებას მენშევიკურ პარტიაში. მის მოღვაწეობას ფრიალ დიდი და დადებითი შედეგები ექნებოდა, უკეთეს ის წარმოებულყო საღი სახელმწიფოებრივი გზით.

სამწუხაროდ და ჩვენი ეროვნული მიზნებისათვის სავალალოდ მენშევიკური პარტიის პოლიტიკა თავიდანვე მიემართა ეროვნული ნილილიზმისა და ეროვნულ ძალთა შორის განხეთქილებისა და შინაურ ბრძოლის გაღვივების გზით.



როდესაც დაოქვია საქართველოს განთავისუფლების საათმა და იეს იევიკუთი პაოტია მის სათავეში მოჰყვა, ახლად აღდგებილი სახელმწიფოს იმტოესეპი მოითხოვდეს ამ გზის რადიკალურად შეცვლას და სალი გაძაეოთიანებელი პოლიტიკის წარმოებას, ძაგოამ ამ პარტიის შეთაურებამ ვერ შესძლო ასეთი გარდატეხისა და ფსიქოლოგიური შებრუებების მოხდენა და კვლავ ძველი, კლასთა ბრძოლისა და ეროვნულ ძალთა დაქსაქსვის დზით მიემართა.

კიდევ უფრო სავალდებულო იყო ასეთი მიმართულების შეცვლა, როდესაც მათი შეთაურობით დამყარებული საქართველოს დამოუკიდებლობა უცხო ძალის მსხვერპლი გახდა და ერის აქტიური ძალები მის კვლავ განთავისუფლებისათვის ბრძოლას შეუდგენ შინ და გარედ.

ასეთმა პოლიტიკამ ახალი ბრძოლის პირობებშიაც ფრიად მწარე შედეგები მოგვცა. მრავალ მარცხსა და კატასტროფასთან ერთად მან შექმნა ისეთი ვითარება, როდესაც სამი თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური მოღვაწე არა ბუნებრივი სიკვდილის მსხვერპლი გახდა. პირველი იყო კ. ჩხეიძე, მიორე ვეშაპელი და მესამე ნოე რამიშვილი. ამათში გ. ვეშაპელი მოღალატის სახელით არის მონათლული ბევრის თვალში, მაგრამ პირუთენელი მატთანე არ გაიზიარებს ასეთს აზრს და დასკვნის, რომ ის იყო არა მოღალატე, არამედ არანორმალურ ატმოსფერით დაავადმყოფებული და სულიერ დეპრესიაში ჩავარდნილი ადამიანი. ასეთი დაქსაქსულობისა და ხელოვნურად განხეთქილობის შექმნის ატმოსფერა, რასაკვირველია, სხვა გვარი ელემენტებისა და მიზეზების ჩარევასაც უწყობდა ხელს შიგნით თუ გარედან.

ნოე რამიშვილის მკვლევლობის საქმე პირუთენელ ფრანგულ სასამართლოს განხილვის საგანი იქნება და მის დასკვნამდე ჩვენ შეეიკავებთ თავს ამ საგანბედ რააიმე შეხედულობის გამოთქმიდან. ხაზგასმით აღვნიქნავთ მხოლოდ, რომ ჩვენ უდიდეს საშიშროებად მიგვაჩნია ტერორისა და იარაღით ამგარიშების გასწორების შემოღება ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებაში. ერის ყველა ჯანსაღი ძალები მუდამ დარაჯად უნდა იყვენ და ყოველგვარი საშუალებით ხელი უნდა შეუშალონ ასეთი მაკედონური წესების შემოღებას ჩვენს ცხოვრებაში

განმათავისუფლებელ ეროვნულ ბრძოლას აქვს თავისი შესაფერისი წესები, ზნე და ხასიათი. მათი გადალახვა ყოველთვის ცუდს შედეგებს იძლევა. ნ. რამიშვილის ტრადიკული ხვედრი ყელაზედ უფრო ამ გზების გაწმენდასა და გაჯანსაღებას უკარნახებს მის პარტიას და საერთოდ ყველა ქართულ პოლიტიკურ ძალებს.





## გიორგი ლასხიშვილი

მიდიან...

სამშობლო მიწას მიებარა გიორგი ლასხიშვილიც.

ჩინებული ქართველი მამულიშვილი და ჩინებული ქართველი ადამიანი.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა დროშის ქვეშ თავი მოიყარა ქართულ ეროვნულ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა.

ეს იყო პირველი პოლიტიკური პარტია, რომელმაც ახდილად და გაბედულად წამოაყენა საქართველოს პრობლემა იმ ჩარჩოში, რომელიც შეეფერებოდა მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას და პსიხოლოგიას ქართულ მოწინავე საზოგადოებისა და სასტიკად შეებრძოლა ქართველ მარქსისტების დოქტრინის იმ ნაწილს, რომელიც თავაღებულად და მოურიდებლად მწერლობაში და ცხოვრებაში ანიაგებდა საქართველოს ეროვნულ ისტორიას, იდეას და საქმეს.

ოცდა ხუთი წლის წინად ამ მიმართულებამ შეიძინა გამოჩენილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა გუნდი. მისი პრესის ფურცლები ღია იყო ყველა ქართველისათვის, რომელიც იბრძოდა საქართველოს მომავლისათვის. იმ ხანად ამ წრეში ქართველობას იზიდავდა არა მარტო ახალი ქადაგებანი, არამედ მათი მქადაგებელნი—მეთაურნიც:

არჩილ ჯორჯაძე და გიორგი ლასხიშვილი.

ეს ორი ქართველი მართლაც იყვნენ ქართულ კეთილშობილურ ბუნების გულის და სულის განსახიერებანი. იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ ქართველი რაინდნი.

მაგრამ ფედერალისტთა გულის ცემა მალე შესწყდა. გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე.

მიუხედავად ამ აუნაზღაურებულ დანაკარგისა ამ პარტიას ოცი წელიწადი სულს უდგამდა მისი უკვე უსინათლო ბრმა მოხუცი გიორგი ლასხიშვილი.

საქართველოს ბრძოლის ველს მოშორდა ძველი მებრძოლი მამულიშვილი.

— შე დალოცვილო, ამ შენს ნაღდ მამულიშვილობას რაზე მიუდგი სოციალისტური საფეხურები?—დაეკითხა ერთხელ ლასხიშვილს მისი პირადი მეგობარი.

— თუ გინდა ხალხს დღეს საქართველო დაანახო ამ კიბიდან



დაანახვებ. სხვა მაგარი საფეხურები არ გვაბადია. უნდა შევასწორო-  
გამოვასწოროთ ჩვენი შინაური სოციალური ურთიერთობანი. ნამე-  
ტანად დაგვიძველდა ძველი წყობილებანი და ხალხს სილატაკეში  
აღრჩობს. თუ გამოვიყვანთ მას სილატაკიდან და უფიცობიდან მაშინ  
იგი თვალნათლივ დაინახავს და მიხვდება, რომ საქართველოს იდეა  
შენი და ჩემი მოგონილი არაა მხოლოდ.—უპასუხა ლასხიშვილმა.

სოც.-ფედ. ბელადს იმედი გაუცრუვდა. კიბის ამ საფეხურებზე  
საქართველოში ჩამოცოცდნენ სოციალისტურ რუსეთის ტლანქი  
მუჟიკების ურდოები და წაუღიეს მას, თავისუფლებასთან ერთად,  
მისი სილატაკის უკანასკნელი დოვლათიც.

სოციალისტურ რომანტიზმის ტყვედ მყოფს კეთილშობილ  
გიორგი ლასხიშვილსაც ტანჯვითა და შიმშილით სოციალისტურვე  
ჯალათებმა სული ამოართვეს.

ცხადლივ წარმოდგენილი მაქვს უკანასკნელი წუთები გიორ-  
გისა.

მისი უსინათლო სახე, როგორც მუდამ, სიკვდილის პირსაც  
განათებულია ღიმილით... უკანასკნელი ღიმილით...

საქართველოს ბედის გამობრუნების იმედით გაშუქებული მი-  
დიან ძველნი და მაგარნი... მიდიან გაუტეხელნი.

ღონ-ვინ.

## კუთხური პატრიოტიზმა

ბ. ალ. ასათიანმა თავის შესანიშნავ შრომაში „ძველი და ახალი  
მემკვიდრეობა“, განიხილა უმთავრესად მესამოციანთა წლების ეროვნულ  
მოღვაწეთა და მათი გეზის გამწვანებ ეროვნ.-დემოკრატიული  
პარტიის მოღვაწეობა. პარალელურად აღნიშნა ჩვენი ერის დღევანდელი  
მდგომარეობა და მასთან შეფარდებით დასახა ეროვნულ-დემოკრატიული  
პარტიისა და მისი მიმართულებით მსვლელი ჩვენი პატრიოტული  
თაობის სამოქმედო გეზი და გადაუდებელი ამოცანე-  
ბი, ასეთ ამოცანათა პირველ რიგში მან სამართლიანად დააყენა  
„დაუყონებლივ წამლობა და აღმოფხვრა მესამოციანთა ხანაში სა-  
ფუძვლიანად დასამარებული კუთხური პატრიოტიზმისა, რომელმაც  
აქა იქ კვლავ თავი წამოყო და გამოცოცხლდა“.

მრავალ საუკუნეთა, გარეშე მტერთა მიმართ განუწყვეტელი  
თავდაცვითი ბრძოლისა დაუსოულკეთილ და სისხლიანი გზით  
წმყომდე მოსულ ქართველ ერს, ათაჯერ ნაწამლი მაგრამ ათას-  
ჯერვე წელწამოღებული, ისეთი ჭირიც მოჰყვა, რომლის ფესვების  
საქართველოს შავი მიწიდან აღმოფხვრა საღვთო ვალია ჩვენი თაო-



ბის. ჭირის დამალვა არასოდეს ყოფილა გონიერი და სასარგებლო. ის ვიწრო პარტიული და ჯგუფური, მეზობლური და ნათესაური ნიშნები, რომელთა მიხედვითაც ეწყობოდა ჩვენი აგმინისტრაცია ყოველი დარგში, ჰქმნიდა ისეთს შთაბეჭდილებას, თითქმის ერთი პროვინცია ყოფილიყოს მთელი საქართველოს მმართველი—სჯულმდებელი და აღმასრულებელიც, დღესაც, რუსეთის ბატონობის დროს რომ იგივე მიორდება იმ განსხვავებით, რომ ერთი პროვინციის ნაცვლად მეორე არის გარეშე მტრის მიერ ადმინისტრაციულს სარბიელზედ გამოწვეული, ეს გასაგებია და წყალსაც იმ წისქვილზედ უშვებს, რომელზედაც რუსული ქვა ბრუნავს და საქართველოს ღეროავს. ხოლო იმის ახსნას თუ რათ უშვებდა წყალს ამავე წისქვილზედ ჩვენი მენშევიკური მთავრობა, ალ. ასათიანი იძლევა ზემოდ დასახელებულს ნაშრომში: „ნილილიზმით ამოშრეტილი მათი სული ველარ ახერხებს საქართველოს ეროვნული მიზნებით გამსჭვალვას და ამის მაგიერ ის კუთხური პატრიოტიზმის განაღდების გზით მიდის“—ო.

საბჭოთა რუსეთმა, რომელიც არც-ერთს მისთვის ხელსაყრელს შემთხვევას არ უშვებდა, სცადა მენშევიკური მთავრობის ადმინისტრაციული წყობით გამოწვეული კუთხურ უკმაყოფილებათა გამოყენება. ქართველი ერის სულიერს ერთობასა და მის ეროვნულს სიმწიფეს უნდა უმადლოდეთ, რომ საქართველოს კუთხეებს მთლიანი ერის თავისუფლების დასამზობად ხელი ვერ ააღებინეს.

კუთხური პატრიოტიზმა უჩვეულოა ჩვენი ერის ფართე მასებისა და განსაკუთრებით გლეხობისათვის. და არც სხვა წრეებში ყოფილა ის ოდესმე ფენ-მოკიდებული. ის არასოდეს ვასცილებულა „ობივ-ტელური“ მსჯელობის ფარგალსა მისი ახლილი დაცვა და იდეური დასაბუთება არასოდეს და არავის უკისრნია საქართველოში. სამწუხაროდ ასეთი ვითარება დიდათ შეიცვალა ჩვენს ემიგრანტულ სულიერ დაქსაქსულობისა და დაძაბუნების ხანაში. ამ უკანასკნელ ხანად გამოჩნდენ ისეთი პიროვნებანი, რომელთაც საქართველოს ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელობის პრეტენზიები აქვთ და მის განაღდებას იწყებენ ქართველ ერში სხეულებრივი, ფიზიკური და სულიერი დაყოფა-დანაწილების ქადაგობითა და კუთხური პატრიოტიზმის იდეოლოგიით.

ამ რამოდენიმე თვის წინ ერთმა ძველმა ქართველმა პატრიოტიზმ ბ. მიხ. წერეთელმა დიდი ხნით მისგან დაცული სიჩუმე დაარღვია, „თეთრი გიორგი“-ს ფურცლებზედ, რომელიც ქართული „პატრიოტული სიბრძნის“ დაუშრეტელ წყაროდ აღმოსკდა ჩვენს ბედშავს ცხოვრებაში, დიდი და დიდზედ დიდი წერილი მოათავსა. სიმართლე უნდა ითქვას, დიდებულათ აღწერა ქართველი ერის შარავანდელით მოცული წარსული, მისი თავგანწირული ბრძოლები თავდაცვისათვის, მისი დამსახურება მსოფლიოს წინაშე და სხვა. ასეთი წერილი შესაფერი იქნებოდა ქართველი ერის „მესიანიზმის“ ქადაგებით დაემთავრებინა. მაგრამ უეცრივ საზღაპრო პატრიოტული ლამპარში ჩაუქრა, პატრიოტიზმის უმაღლეს მწვერვალზედ მდგომე ფეხი დაუცდა და სულიერად დაღლილი და გატეხილი ასეთს შეუფერებელს დასკვნას უკეთებს, ვინ იცის რაოდენი პატრიოტულის აღმაფრენით დაქარვულს წერილს.



„საქართველო არაოდეს ყოფილა ცენტრალისტური სახელმწიფო. დავით აღმაშენებლის- მონარქია- დაინგრა- მეცამეტე საუკუნეში ისე რომ აბსოლუტურმა მონარქიამ ვერ მოასწრო ცენტრალიზმის შექმნა საქართველოში. დიდი ეპოქა საქართველოს. ერთობისა ცენტრალისტური ერთობა არ ყოფილა. მეცამეტე საუკუნითგან რუსეთის მიერ საქართველოს გუბერნიებად გარდაქცევამდე საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად და სამთავროებად. გაერთიანების ხანანი მსწრაფლ წარმავალნი იყვნენ. რუსეთის ბატონობის დროს საქართველო, გუბერნიებად დანაწილებული მხოლოდ ერთი დიდი იმპერიის საზღვრებში მოექცა,—ეს იყო მისი „გაერთიანება“. და დღემდე წარმოადგენს ყოველი კუთხე საქართველოსი ცოცხალს, თავისებურ ნაწილს საქართველოს ეროვნულ ორგანიზმისა. ყოველ ნაწილს აქვს თავისი ინდივიდუალობა, სახე, სახელი მისი მდიდარი წარსულით, ისტორიით, განსაკუთრებული ბუნება. ეს ნაწილნი ფედერატიულად უნდა შეკავშირდნენ და ქართველთა ეროვნულის სულიერის ერთობის მაგარი სალტა უნდა შემოეჭიროს. თვითეული კუთხის ცენტრი უნდა გახდეს დიდ ქართულ კულტურულ ცენტრად და არა ერთი ცენტრის მიერ იყოს კულტურულად შექმული მთელი საქართველო. და კიდევ ბევრი უპირატესობა ექმნება ცენტრალიზმის წინაშე ამგვარად აღშენებულ საქართველოს სახელმწიფოს. ამ გზას დაადგა „თეთრი გიორგი“.

(იხ. „თეთრი გიორგი“ 31 №-ი)

საქართველოს წარსულ დიდების შექმნაში, რომელსაც მიხ. წერეთელი ლამაზის სიტყვებით აღგვიწერს, თვით მას იმდენი ღვაწლი მიუძღვის, რამდენიც ეიფელის კოშკის ფოტოგრაფიული სურათის გადამღებს. არც მეტი არც ნაკლები. ხოლო როდესაც საქართველოს იმ მომავალს დიდებაზედ ლაპარაკობს, რომლის შექმნაში თვით მან და ჩვენმა თაობებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, მიხ. წერეთელი, ჩვენს წინაპართა უსაზღვრო სისხლით, შრომითა და თავდადებით შექმნილი და დაცული ეროვნული მთლიანობის დაშლა-დარღვევით იწყებს.

მცირე აზიიდან ქრისტეს წ. მე-7-ე საუკ., ჩრდილოეთით წამოწეულ ქართველი ტომები—მუსკების, ტაბალებისა და კასკების ახლოდანათესავებამ და ერთ ეროვნულ სხეულში თავმოყრამ 15 საუკუნე მოინდომა. გაერთიანების სურვილი მათში იმდენად ძლიერი იყო, რამდენათაც მძიმე და აუტანელი მაშინდელი საგარეო პირობები. სპარსეთი, რომი და ბიზანტია წინ ელობებოდნენ ქართველ ტომთა გაერთიანების სურვილს. ქრისტიანობის დასაწყისშივე საქართველოში შემოჭრილმა ბერძნებმა და რომაელებმა სტრაბონის დროინდელი მთლიანი დასავლეთ საქართველოს სამეფო 134 წ. ლაზთა, აფშილთა აფხაზთა და სანიგთა ოთხ სამეფოდ დანაწილეს. „როგორც სჩანს რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება divide et impera აქაც განუხორციელებიათ და გაერთიანებული კოლხეთის მაგიერ ოთხი სამეფოს შექმნისათვის ხელი შეუწყვიათ“—ო შენიშნავს ჩვენი თანამედროვე მეისტორიე ივ. ჯავახიშვილი. ეს მცნება არანაკლებ ყვარებათ აღმოსავლეთ საქართველოში შემოჭრილ სპარსელებს, უკანასკნელთა და ბერძენ-რომაელთა წყალობით აღმოსავ-



ლეთი საქართველო იბერად წოდებული 368 წ. ორ მეფეთ—სპაგერსა და საერმაგს გაუნაწილეს. ეს განაწილებული იბერია მხოლოდ სპარსეთში მომხდარ პოლიტიკურ არეულობის წყალობით გაერთიანებულია. მაგრამ დიდი ხნით ვერ შეუხარჩუნებია ეს მთლიანობა. **სპარსეთის მეფემ ხოსრო მეორემ, იმ დანმარებისათვის, რომელიც მისთვის ტახტის დაპყრობის საქმეში ბიზანტიის კეისარს აღმოუჩენია, უკანასკნელისათვის დაუთმია იბერიის დიდი ნაწილი.** ეს მომხდარა 591 წ. და იბერია ხელახლად გაუნაწილებიათ. ამგვარად ქრისტიანული ხანის დასაწყისშივე შუა გაჩეხილი საქართველო—აღმოსავლეთ-იბერად წოდებული, სპარსეთის ბატონობის ქვეშ და კოლონიალ ქცეული, ამ ძლიერ მტერთა ნება—სურვილის და მიხედვით იჩენებოდა—ნაწილდებოდა სამეფოებად და სამთავროებად. ქართველტომთა დაახლოვებასა და ერთ ეროვნებად ჩამოყალიბებას მისწრაფებას უპირისპირდებოდა მათი დანაწილებისა და ურთი-ერთისადმი დაპირისპირების პოლიტიკა. მიუხედავად ამისა მაშინდელ ქართველ ტომთა შორის უკვდავი იყო გაერთიანების იდეა, და ხშირია შემთხვევები, როცა ამ იდეას ხორციც შეუსხამს—ბრძოლისათუ მშვიდობიანის გზით ქართველი ტომები მიანც ახერხებდნენ გაერთიანებას: გარეშე მტერთა მიერ ორად გაყოფილი იბერია მალე იქმნა გაერთიანებული. ასევე გაერთიანებულ იქმნა ოთხი სამეფოდ დანაწილებული კოლხეთიც.

„მეხუთე-მეექვსე საუკუნის განმავლობაში კი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ შეიცვლილი არის. მთლიანობის აღდგენისადმი მიდრეკილება, ეტყობა ისევ განახლებულა და ნაწილობრივ ეს სულისკვეთება გამარჯვებით დამთავრებულია კიდევ“—ო ამბობს ივ. ჯავახიშვილი.

ამის შემდეგ მორივ გადაუდებელ საკითხად დაისვა იბერია-კოლხეთის განთავისუფლება გარეშე მტერთაგან და მათი გაერთიანება. რამდენიმე საუკუნე მიმდინარეობდა ამ გაერთიანების ნიშნის ქვეშ. საშუალო საუკუნოების განთავისუფლებული და გაერთიანებული საქართველო განაღდება ქართველ ტომთა მიერ მრავალ საუკუნოებით ნატარებ იდეისა. თამარისა და დავით აღმაშენებლის დრო საქართველოს თავმოყრა—გაერთიანების და ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი ხანაა. ამ ოქროს ხანის შემომქმედ დიდ მეფეთა სიკოცხლის დღეები საკმარისი არ იყო ქართველ ტომთა მიერ საუკუნოებით დასახული ეროვნული მიზნების მთლიანად განხორციელებისათვის. მათი ყურადღებისა და ძიების უდიდესი ნაწილი გაერთიანებული და გაფართოებული საქართველოს გარეშე მტერთაგან თავდაცვას და გამტანი მშვიდობიანობის უზრუნველყოფას ემარდებოდა. ცხადია მათ ბევრი რამ არსებითი და საშური დარჩათ კიდევ განსახორციელებელი. საუკუნოებით ნანგრევი ერის სრულიად აღსადგენად არ კმაროდა ერთი დავით აღმაშენებელი, მეორე და მესამე იყო საჭირო, რომ მეცამეტე საუკუნის აბსოლუტურ მონარქიას მოესწრო გაერთიანებული საქართველოს ცენტრალური წყობილებისა და მართველობის მტკიცედ დამკვიდრება. მაგრამ დავით აღმაშენებელი კენტად დარჩა. და თანაც საქართველოს გაერთიანებით შეფიქრიანებულ მეზობლების ხელის შეშლის გამო, არამც თუ ცენტრალურა მმართველობის შექმნა, აღდგენილი მთლიანობის დაცვა შეუძლე-



ბელი გახდა და საქართველო კვლავ დანაწილდა სამეფოებად და სამთავროებად. მართალია სხეულბერივი მთლიანობა დაირღვა საგარეო მძიმე პირობების გამო (იგივე სპარსეთი, ხოლო ბიზანტიის ადგილს ოტომანთა იმპერია იკავებს), მაგრამ გაერთიანების სურვილი და თვით ქართველ ტომთა სულიერი ერთობა არასოდეს ყოფილა წარმავალი, ეს იყო მაშინდელი ქართული პოლიტიკის ღერძი, ეს იყო მთელ ამ საუკუნეთა ქართული პრაქტიკული პოლიტიკის საგანი და მუდმივი ამოცანა. ამას ადასტურებს ქართველ სამეფოთა და სამთავროთა შორის 1790 წ. დადებული ხელშეკრულება. როგორც ყოველთვის, არც ამ საუკუნოების საქართველოს სამინაო პოლიტიკა იყო დაზღვეული ძლიერ მეზობელთა გავლენისაგან, რომელიც ხელოვნურად ინახავდა არსებულ მდგომარეობას და ხელს უშლიდა საქართველოს ხალხლად გაერთიანებას. და ეს საგარეო ხელშემშლელი პირობები იმდენად ძლიერი იყო, რომ ერეკლე მეფემაც ვერ შესძლო მისი გადალახვა ან გვერდის ახვევა. საქართველოს მტერთა ისტორიულის გზითვე მიდიოდა მეფის რუსეთიც, როცა აჭარლებს თურქებად, ქართველ ტომებს ცალკე ერებად, აფხაზებს რუსებად აცხადებდა; მეგრებს საკუთარს ანბანს უქმნიდა და საქართველოს მოსახლეობას უცხო ელემენტებით აჭრებდა. საქართველოს სულიერი და სხეულბერივი დანაწილების მიზნითვე იქმნა საქართველო გუბერნიებად და ოლქებად დაყოფილი. მაგრამ საქართველომ ასეთი მძიმე საუკუნეც კი ეროვნული მთლიანობისათვის და ჭირიც სასარგებლოდ გამოიყენა და რუსეთის მიერ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზედ ცალ-ცალკე ტომებად დაყოფილი და საუკუნის განმავლობაში სასიკვდილოდ დაცემული საქარბველო მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზედ სულიერად და სხეულბერივად გამართლებული, ფეხზედ წამოიჭრა და მთლიანი ეროვნული სახელმწიფო სახით წარსდგა მსოფლიოს წინაშე. დღევანდელი საბჭოთა რუსეთიც ხომ საქართველოს მთლიანობის დარღვევის გზით მიდის; ამ გზის ყოველ ჯვარედინზედ ჰქმნის ქართველ ტომთა ცალ-ცალკე რესპუბლიკებს და სამეგრელოსათვის მეგრულს ენაზედ ყოველ-დღიური პრესის დაარსებაც ხომ ამავე მიზანს ემსახურება. არც ეს აფიქრებს ბ-ნ მიხ. წერეთელს. პირიქით ის თეორიულად ასაბუთებს, ამართლებს და პატრიოტულ საქმედ მიაჩნია მათი ასეთი მოქმედება. თანაც ქართველ ტომებს ჰპირდება, თუ საბჭოთა რუსეთმა ვერ მოასწრო თქვენი ბორკილის აყრა და ცალკე ავტონომიური სახელმწიფოებად მოწყობა, ამას მე და ჩემი „თეთრი გიორგი“ შევისრულებთო. პატრიოტობაც ასეთი უნდა!..

„დღემდე წარმოადგენს ყოველი კუთხე საქართველოსი ცოცხალს, თავისებურ ნაწილს საქართველოს ეროვნული ორგანიზმისა. ყოველ ნაწილს აქვს თავისი ინდივიდუალობა, სახე, სახელი, მისი მდიდარი წარსული, ისტორიით, განსაკუთრებული ბუნება“, ამბობს მიხ. წერეთელი და აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ეს კუთხეები ცალ-ცალკე „სამეფოებად“ უნდა მოეწყონ და „ფედერატიულად უნდა შეკავშირდნენ“—საკვირველი აზრია. თითქოს ქართველი ერი და საქართველო ერთად-ერთი იყოს, რომელიც სხვა და სხვა მონათესავე ტომთაგან და გეოგრაფიულად ერთი-მეორისადმი განსხვავებულ მიწა-წყლისაგან შესდგებოდეს! თითქოს არ არსებობდნენ ერე-





ბი, არამც თუ სხვა და სხვა ტომთაგან არამედ სხვა და სხვა რასათაგან წარმოშობილი და მთლიან უნიტარულ სახელმწიფოებრივ მმართველობით. ასეთი მაგალითები უამრავია თანამედროვე მსოფლიოში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს წმინდა ეროვნული სახელმწიფნი. და იმასაც აღვნიშნავთ, რომ სწორედ გაერთიანებულ მმართველობის მატარებელმა ეროვნულმა სახელმწიფოებმა მიაღწიეს უაღრეს სახელმწიფოებრივ განვითარებას, და სიძლიერეს.

თანამედროვე საფრანგეთი, უდაოთ ერთ-ერთ უძლიერეს ეროვნულ სახელმწიფოდ ითვლება. დავიწყოთ იქედან, რომ ფრანგი, როგორც ერი არ არის ერთი და იმავე რასისაგან მომდინარე. ყოფილი პრემიერი ანდრე ტარდიე ერთ მის ნაშრომში ამბობს:

„ჩვენს ფრანგის ერს არ აქვს პრეტენზია ერთ-რასიულობისა. აქ შეხვდებით იბერებს, ლიგურებს, რომაელებს, გერმანელებს, არაბებს, ნორმანდიელებს და სხ., მაგრამ 15 საუკუნის განმავლობაში ეს ელემენტები ერთმანეთში აითქვიფნენ და ერთ შერეულ მასაში საბოლოოდ შედუღდნენ“—ო. და განაგრძობს—„ფრანგის შემეცნებაში ეროვნება არის ის რაც ქვაკუთხედათ უძევს მის არსებობას და ეროვნულ მთლიანობას ბუნებრივი რამ, რასაც ყოველივე შესწირა—თავისუფლებაც და თანასწორობაც“, „ამერიკელისათვის ეროვნება და ეროვნული მთლიანობა ხელოვნურია და მეორე-ხარისხოვანი“. აღნიშნავს რა ფრანგისა და ამერიკელის მიერ მცნება „ეროვნების“ სხვა და სხვა ვაგებასა და დაფასებას, ტარდიე დაასკვნის „ამერიკის ისტორიამ ყველაფერს დეცენტრალიზაცია უყო, საფრანგეთის ისტორიამ კი ყველაფრის ცენტრალიზაცია მოახდინა“. ადვილი შესამჩნევია, რომ ფრანგის ერის სიძლიერეც ამ ცენტრალიზაციის ნაყოფია. მოუსმინოთ აქ აღძრული საკითხის შესახებ ერთ ფრანგ სოციალოგს, გუსტავ ლებონს, რომლის დამოწმებაც ხშირად უყვარსთ ჩვენს ახალმოდის პატრიოტებს. ერთ-ერთ შრომაში „L'evolution des peuples“ ის შემდეგ ძვირფას აზრებს გამოსთქვამს:—„ეროვნულ სულის შექმნა მრავალ საუკუნეს მოითხოვს. მაგრამ ერთხელვე შექმნილი და დაფუძნებული ის უცვლელი რჩება და მიუკარებელი. 10 საუკუნე მოინდომა ჩვენი ეროვნული სულის ჩამოყალიბებამ, და ჯერ კიდევ სუსტია იგი. დიდი რევოლუციის მთავარი დადებითი შედეგია ის არის, რომ მან მცირე ეროვნებათა დამსხვრევეთა და გაერთიანებელი, დაჩქარა ჩვენი ეროვნული სულის ჩამოყალიბება. ეს მცირე ეროვნებანი იყვნენ: ჰიკარდიელნი, ფლამანდიელნი, ბურგონელი, ბრეტონელი და სხვანი, რომელთა შორისაც დანაწილებული იყო საფრანგეთი. აუცილებელია რომ ეს მთლიანობა აბსოლუტურად დასრულდეს, ვინაიდან ჩვენ წარმოვადგენთ სხვა და სხვა რასათა შერევას, ეს კი თავის და თავად იწვევს შემეცნებისა, გრძნობისა და აზრის სხვა და სხვაობას, რაც ჩვენ გვაზიანებს, განსაკუთრებით ისეთ ერთობლივად შედუღებულ ერთან ურთიერთობისას, როგორიც არის ინგლისის ერი“—ო. მასვე მოუსმინოთ, თუ როგორ ახასიათებს ფრანგულ ტომთა სხვა და სხვაობას: „ჩვენი პროვანსიელი ძლიერ განსხვავდება ბრეტონელისაგან, ასევე ოვერნიელი-ნორმანდიელისაგან. ჯერ კიდევ არ არსებობს ფრანგის საშუალო ტიპი; მხოლოდ არსებობს სხვა და სხვა კუთხეთა საშუალო ტიპები. სამწუხაროდ ეს საშუალო ტიპები თავიანთი ხასიათითა და იდეებით ძლიერ განსხვავდენ-



ბიან ურთი-ერთთაგან. ამიტომ ძნელია ისეთი მმართველობის გამო-  
ძებნა, რომელიც მათ ერთად მიუდგებოდეს და შეეფერებოდეს.  
მხოლოდ ენერგიულსა და მაგარ ცენტრალიზაციას შეუძლიან მისცეს  
მათ აზროვნების ერთი-და-იგივეობა—ერთ-სახეობა“—ო.

ასე გონიერად უცქერის და აფასებს ფრანგი საკუთარს ეროვ-  
ნულს მთლიანობას. ისტორიულს მოვლენებს იმდენად დადებითად  
სახავს, რამდენადაც ისინი აერთებენ და ამჭიდროებენ სხვა და სხვა  
ტომებს თუ მცირე ეროვნებებს, რომელთა შეერთებაც ფუძედ დაუ-  
დო ფრანგის ერს. პროვინციათა საშუალო ტიპების ნაცვლად ფრან-  
გის საშუალო ტიპის შექმნისათვის იღწვიან; ეროვნული სულისა და  
აზრის გაერთიანებისათვის. რომ ფრანგის ერი ერთის სულით,  
შემეცნებით, შეგრძნებით ვით თუჯისაგან ჩამოსხმული ერთარსება  
—ეროვნული მეობა, წარსდგეს მსოფლიოსა და სახელმწიფოთა წი-  
ნაშე. ამ ეროვნული მეობის ჩამომსხმელ კალაპოტად—ეროვნულ-  
სახელმწიფო მმართველობის ენერგიული და უაღრესი ცენტრალიზა-  
ცია მიაჩნათ და არა „სულიერის ერთობის მაგარი სალტა“, რომელიც  
თვით ჩამოსხმასა და შექმნა-დასრულებას საჭიროებს ფრანგის თუ  
სხვა მრავალ ერებისათვის და ქართველი ერისათვისაც. თანამედრო-  
ვე ფრანგი ამალღდა ეროვნულ შეგნებადღე, რაც საძირკველია მო-  
მავალი ძლიერებისა და დიდებისა.

იმ ერებსა და სახელმწიფოებს, რომელნიც აქამღე ვერ ამალ-  
ღებულან და ამ გზით არ ან უვლიათ, ვერასოდეს შეუქმნიათ ძლი-  
ერი ეროვნული სახელმწიფო, ან და უმალვე დაქვეითებულან, და-  
ცემულან. ძველი საბერძნეთისა და ბიზანტიის იმპერია დაიღუბა არა  
დემოკრატიამ, როგორც ეს ბერსა ჰკონია, არამედ იმან, რომ ბერ-  
ძენი ვერ ასცდა მოსახლეობის ერთეულს „სიტეს“ და ეროვნული  
მთლიანობის შეგნებადღე ვერ ამალღდა. „სიტები“ ერთი-ერთ  
უცხონი სულითა და აზრით ერთ-მან-ეთის ებრძოდნენ. რამოდენიმე  
ასმილითინანი ინდოეთიც ორიათასი წლის სიგრძეზედ იმიტომ ეწე-  
ვა უცხოელთა მონობის უმძიმეს უღელს, რომ მისი მოსახლეობა, ვერ  
ამალღდა ეროვნული მთლიანობის შეგნებადღე. სწორედ ამიტომ  
ხდება რომ მაკდონალდი „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივ ცირკის ცხე-  
ნებით ატრიალებს სამას მილიონ ინდოელებს. მათი ეროვნული  
განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთოდიც მარილის დატაცებას  
იმიტომ ვერ ვასცილდა, რომ მათ ეროვნულს სიმწიფესა და შეგნე-  
ბას სწორედ ის მარილი აკლია, ურომლისოდაც ვერცერთს ერს ვერ  
ღირსებია და ვერ განუცდია ეროვნულ თავისუფლებისა და დიდების  
გემო, და სიტკბოება. ინგლისის ასეთი სიძლიერე-დიდებაც იმის ნა-  
ყოფია, რომ ამ ერმა საუკუნეთა განმავლობაში უაღრესი და მტკიცე  
ცენტრალიზმის საშუალებით შესძლო—საქსონელთა, ნორმანდიელ-  
თა და ბრეტონელთა ერთ ეროვნულს ორგანიზმში შედღუღება და ამ  
გზით ერთსულოვანი და ერთმოაზროვნე რკინის ხასიათით აღჭურ-  
ვილ ინგლისელის შექმნა.

ეროვნული სულიერი და სხეულებრივი მთლიანობის მნიშვნე-  
ლობა შეგნებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. ეს შეგნება კიდევ უფ-  
რო გაძლიერდა საშუალო საუკუნეებიდან უბედობით დანაწილებულ  
საქართველოს შვილთა შორის: ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც  
ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი უკეთესი და უდიდესი მამულიშვილნი,



ჩვენნი გენიოსები, ჩვენნი ვაჟაკნი და მეომარნი, ჩვენნი სწავლულნი და მეცნიერნი სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული და დანგრეული ძმობა-ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისი სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს.

მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეაღია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, „თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველობისა“ ამბობს ილია ჭავჭავაძე და თვით მის ირგვლივ შემოკრებულ მესამოცე წლების ეროვნულ მოღვაწეთა ზრუნვისა და საქმიანობის უპიროველესი საგანიც ხომ ქართველი ერის სულიერი და სხეულბრივი მთლიანობისა და ერთობის დაცვა-განმტკიცება იყო. ქართველთა „ეგ ძმობა და ერთობა არის ის კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენი ცხოვრებისა“—ა ამბობს ილია. და ისა და მისი დასი იმისათვის იღწვის, რომ ერთად თავი მოუყარონ და ცენტრალიზაცია უყონ დროთა უბედობისაგან გაფანტულს და დაქსაქსულ ქართველი ერის სულიერს, კულტურულს, ეკონომიურს თუ ფიზიკურს დოვლათსა და ძალას; ქართული სისხლი ერთ მთავარ ძარღვში მოუშვან; ქართველს ერთი გული აცემინონ; ერთი სულით აცოცხლონ და ერთი გონებით ააზროვნონ.

ჩვენ ამ ეროვნულის შეგნებით დინჯი და საიმედო ნაბიჯით მივდივართ წინაპართა ნაკურთხი ქუსლით ნათელვი, საქართველოს ძლიერებისა და დიდების გზით. ქართველი ერის სულიერისა და სხეულბრივი ერთობის განამტკიცება დაგვისახავს ჩვენი თაობის საღმთო ვალად. საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს უაღრესად მტკიცე ცენტრალური მმართველობა მიგვაჩნია იმ ჩარჩოდ, რომელშიაც საბოლოოდ უნდა შედუღდეს და გამოიკვეთოს ქართველი ერი. ამას უნდა მოხმარდეს ჩვენი თაობის აზრი, „მუხლი ლომისა და მკლავი ტარიელისა“.

ამის საწინააღმდეგო აზრი და მოქმედება მუდამ ყოფილა საქართველოს ვარეშე მტერთა თაოსნობა და სამოქმედო გეგმა და ასეთად იქნება იგი მიჩნეული მანამ, სანამ ეროვნული-პატრიოტული პოლიტიკის ზრუნვისა და ბრძოლის საგნად ქართველი ერის მთლიანობისა და თავისუფალი პოლიტიკური არსებობის დავა იქნება.

ბ. მიხ. წერეთელი ახალი პატრიოტიზმის სახელით საწინააღმდეგო აზრებს ქადაგებს: ქართველი ერის სულიერად და სხეულბრივად დანაწილებას—პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას; უკუღმა აბრუნებს ქართველი ერის ერთობისაკენ საუკუნოებით მიმდინარე ეროვნული სულის ნაკადებს. უარსაპყოფს იმ რკინის კალაპოტს, რომელიც სხვა ერებს მათი ეროვნული სულისა და სახის შემქნელად მიუჩნევიათ; საქართველოს—კუთხეთა და ქართველ ერს—ტომთა ინდივიდუალურ სხვა და სხვაობათა მიხედვით სულიერად და სხეულბრივად ანაწილებს და ფედერატიულად—ძმა-ბიჭურად მკლავი-მკლავს გადახვეულსთ „ეროვნული სულიერის ერთობის მაგარის სალტით“ ჰკონავს. და თურმე ეს „მაგარი სალტა“ ის დამპალი თოკი ყოფილა, რომელიც მუდამ ემიგრანტობით დასუსტებულმა და დაბოლოს ქარის მიერ ვალანტინიეს „ქედზედ მიკრულმა ამირანმა“ ერთი ხელის ვაკვრით დაჰვლიჯა პატრიოტიზმის დოღში მოჯიბრე



მიხ. წერეთლის თეთრი რაში საჩხერის ორლობეში გაეჩხირა.

აკაკი წარათლის უძრავი კუბოც არ დარჩა საჩხერის ორლობეში. ხელიდან-ხელზედ გადაცემით თბილისში მოასვენეს. მადლიერმა სამშობლომ გულში ჩაიკრა ეს დიდი ქართველი. მამადავითის კალთაზედ გვერდით-გვერდ დასვენებული სამი დიდი ქართველი ილია, აკაკი და დიმიტრი. ეს ის სამი ბოძეა, რომელზედაც დაფუძნებულია ჩვენი ეროვნული ერთობა.

მიხ. წერეთლისაგან „დავით აღმაშენებლობას“ არასოდეს არ მოველოდით, თუ გინდ იმიტომაც, რომ დავით აღმაშენებელი არასოდეს ყოფილა ანარჩისტი. ანარჩიზმსა და ანარჩიას კი პირ-იქით ბევრი აღშენებული სახელმწიფო დაუწვრვია. სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით ანარჩია სოციალიზმზედ ბევრად უფრო მავნებელი ავადმყოფობაა. და უკურნებულაც ყოფილა იგი.

დიდმა ნოემ „jabula rasa“-დ გამოაცხად ა საქართველო, ამით გაჯავრებულმა მიხ. წერეთელმა, ბამბის დამპალი ძაფით შეკერილ ისეთ ნაჭრის საბნათ, რომელიც ქართველის ერთი ფეხის გაწევიდაც კი გაიბრუნებოდა. ამერიკის შეერთებულ სახელმწიფოთა კულტის ერთმა მინისტრმა სამლოცველო წიგნიდან ამოიღო ადგილი „ღმერთო დალოცე ჩვენი ერი“, რომელიც ამერიკელის ყურს ეჩოთებოდა და ამის ნაცვლად ჩაემატა—„ღმერთო დალოცე შეერთებული სახელმწიფოები“-ო

მიხ. წერეთელი ჯერ კულტის მინისტრად არავის დაუნიშნავს, და ეკლესიის რეფორმის პროგრამით გამოდის და თანაც ჩვენი ლოცვის წიგნიდან იღებს ადგილს „აკურთხე უფალო ერი შენო“ და მის ნაცვლად უმატებს „აკურთხე უფალო ტომები შენი“-ო.

„თეთრი გიორგი“, რომ პატრიოტულის საუკუთმართო გზით მიდის იმ დღიდან რაც მის სათავეს ბოროტი სული დაეპატრონა ეს არა ერთხელ გვითქვამს. მათი „ინტეგრალური პატრიოტიზმის“ არასოდეს არა გვჯეროდა. მათი საქმენი არასოდეს ყოფილა ქართულ-პატრიოტული. ამ სტრიქონების დამწერს არა ერთხელ უთქვამს, რომ ქართულ პატრიოტიზმს საუკუნოებით შემუშავებული საკუთარი შინაარსი აქვს, რომ ქართული პატრიოტობა იმდენადვე ძველია, რამდენათაც თვით საქართველო. ჩვენი ახალი პატრიოტების გამოსვლებში, ახალი მხოლოდ ის იყო რომ დიქტატურას ქადაგებდნენ; ძველი კი არაფერ. მათი პატრიოტული სახე ბუნდოვანი და საეჭვო იყო; ქართველ საზოგადოებაში კიდევ მოიპოვებოდნენ ისეთები, რომელთაც ის ასე თუ ისე სჯეროდათ, და ვერ გაერკვიათ ისიც თუ რა იყო სადაო ჩვენსა და მათ შორის. მიხ. წერეთლის გამოსვლამ „თეთრი გიორგის“ მეთაურის როლში საქართველოს სულიერი და სხეულებრივი დაშლა-დანაწილების პროგრამით საბოლოოდ უნდა ნათელ-ჰყოს „თეთრი გიორგის“ სახე. ქართველმა საზოგადოებამ უნდა დაინახოს თუ რა ძირითადი განსხვავებაა ჩვენსა და მათ შორის. რუსის მუჟიკის უშვერი სიტყვებით გინება და რომანოვების თუ დღევანდელი წითელი მოსკოვის პროგრამით მოქმედება, ქართული პოლიტიკის ძირითადი კითხვების გადაჭრის დროს,—ეს ის ახალი პატრიოტიზმია, რომელსაც მათ ინტეგრალურად დაარქვეს. ამ უკანასკნელად მათ კონგრესიც გამართეს—ბევრი იყო თეატრა-



ლობა, მხურვალე სიტყვები, სტუმრიანობაც, მაგრამ მათი პოლიტიკის ძირეული საკითხების განხილვა-დაფასება არც-ერთი. აქ არ იქმნა განხილული ისეთი მთავარი საკითხიც, რომელიც საქართველოს მთლიანობას შეეხება, და ამგვარად მათ ყრუთა და მორჩილებით გაიზიარეს და დაადასტურეს მიხ. წერეთლის მიერ საქართველოს დაშლა-დანაწილების პროგრამა.—„დუჩეს ჯარიც“ „უტუს ჯარით“ ფეხ-აწყობილი მიჰყვა მიხ. წერეთლის მიერ ნაჩვენებ-გზას. ერთი წლის წინ ბ. კერესელიძემ თეთრი ჯოხები დაურიგა თავის „ჯარს“; სწორედ ამ სამიოდე თვის წინ საფრანგეთის მთავრობამაც (ალბად ბ. კერესელიძის გამოვლენებით ისარგებლა), პარიზის ბრძენს თეთრი ჯოხები დაურიგა. „თეთრი გიორგის“ რიგებში მყოფი ქართველი პატრიოტი ახალგაზრდები, სწორედ ნამდვილი პატრიოტულის მოსაზრებითა და თავმოყვარეობა-შელახულნი ჩააბარებენ თუ არა გორის ციხეში ბ. კერესელიძეს მის მიერ დარიგებულ თეთრ ჯოხებს? თუ კვლავ ამ თეთრი ჯოხებით გაჰყვებიან მიხ. წერეთლის მიერ დასახულს საქართველოს დაშლა-დანაწილების გზას?

ჩვენ კი წინაპართა სულები მოგვიხმიან და ქართველის ერის მწყრალის გულით ვაზის ჯვარზედ დაგვიწყევლია ეს გზა ბოროტებისა, გზა კუთხური პატრიოტობისა და საქართველოს და ქართველი ერის სულიერად და სხეულგებრივად დაშლა-დანაწილებისა.

ქართველი ერის მთლიანობისათვის საუკუნოებით წამებულ ეროვნულ დროშის ქვეშ სიკეთის მიერ ბოროტების, მთლიანი ეროვნული სულის მიერ კუთხურის დასათრგუნავად და ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და დიდების საკუთხებლად სიტყვას დიდ ილიას ვთხოვთ; სიტყვას, რომლიც მან წარმოსთქვა კუთხურ პატრიოტიზმის შესახებ:—„სამართლიანი გულის წყრომა მამულის შვილებისა ამ აზრს ვერ მიიკარებს, მე ამით ვაცხადებ ჩემ-მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულის-შვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქცეთ. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიძარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდვა“.

ელ. პატარიძე.

## ა კ ა კ ი ხ ო უ ტ ა რ ი ა

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მრეწველი აკაკი ხოშტარია. იგი არ ეკუთვნოდა ემიგრაციას და მისი აზრები ქართულს პრობლემაზედ და მისი მოღვაწეობა უკანასკნელ წელთა განმავლობაში მიმდინარეობდა ისეთი მიმართულებით, რომელიც არ ეთანხმებოდა საქართველოს მებრძოლ პოლიტიკურ ძალთა გეზს, მაგრამ ეს გარემოება ვერ შეგვიშლის ხელს, რათა პირუთვნელად





აღნიშნოთ განსვენებულის ღვაწლი და მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზედ.

ხელმოკლე ოჯახმა ვერ მისცა განსვენებულს დასრულებულა განათლება. მან მხოლოდ საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დაასრულა და ამის შემდეგ კარგა ხანს მებაღედ მსახურობდა სხ. და სხ. ადგილზედ. ეს რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებს იშვიათის კომერციული ნიჭით დაჯილდოვებულს ხოშტარიას და ისიც სულ მცირე თანხით იწყებს სხვა და სხვა კომერციულ საქმეებს. მალე ის გადადის სპარსეთში, სადაც ახერხებს დიდი კონცესიების აღებას ლიანოზოვის, პ. თუმანიშვილის და გ. გვაზავას ფინანსური დახმარებით. შემდეგ ის მთელი ჩრდილო-სპარსეთის სამადნო საქმეებს იღებს ხელში. ეხლა მას უკვე ფართე გზები აქვს გახსნილი ამ დიდი საქმეებისათვის უცხო კაპიტალის შოვნისა, მაგრამ მისი განზრახვაა რომ ეს დიდი საქმეები ქართველთა ხელში დარჩეს და ამისათვის საჭირო კაპიტალს ქართულ წრეებში დაეძებს. იმ ხანად ბაქოში იმყოფებოდა საკმაოდ მოღონიერებული ქართველ მრეწველთა ჯგუფი—ი. დადიანი, ნ. ჯუღელი, ლ. მამულაიშვილი, ს. კვიციანი და სხვა, რომლებთან ერთად ის აარსებს დიდს აქციონერულ საზოგადოებას „რუპენტოს“. მას ვაჰყავს ჩრდილო-სპარსეთში რკინის გზები და ჰქმნის მთელ რიგს კულტურულად მოწყობილ სამრეწველო ცენტრებს.

ამ ხანად ხოშტარიას უკვე კარგად იცნობენ საქართველოში უმთავრესად როგორც ქველ-მომქმედს ის დიდს დახმარებას უწევს ყველა კულტურულ დაწესებულებებს. მაგრამ მისი განზრახვები თავის ქვეყნის მიმართ ამით არ განისაზღვრება. მას გადაწყვეტილი აქვს შექმნა და დაამყაროს საქართველოში მთელი რიგი სამრეწველო და სავაჭრო საქმეებისა უცხოეთში მოპოებულ კაპიტალის შემწეობით. იმ ხანად საქართველოში გვექონდა ორი საადგილ-მამულო ბანკი და რამოდენიმე საურთიერთო კრედიტის საზოგადოება—ეს ძველი, მესამოციანთა თაობის ნაანდერძევი. ეს რასაკვირველია ვერ აკმაყოფილებდა უკვე ასპარეზზე გამოსულ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა მოთხოვნილებებს. აკაკი ხოშტარია თაოსნობს და მათთან ერთად 1916 წ. აარსებს პირველს ქართულ კომერციულ ბანკს—ამიერ-კავკასიის კომერციული ბანკი. შემდეგ, 1919 წ. გრ. ბერიძე აარსებს მეორე კომერციულ ბანკს—ცენტრო ბანკს და ამის შემდეგ ეს ორი ბანკი ხდება ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის ღერძად და მათ გარშემო იყრის თავს საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა კლასი და მათი საქმიანობა მრეწველობისა და აღებ-მიცემობის დარგში. შემდეგ ა. ხოშტარია აარსებს დიდ საპნის ქარხანას, და იძენს ლითონის ქარხნებს, სადაც განზრახული აქვს სამეურნეო იარაღთა წარ-



მოების მოწყობა. იმავე ხანებში ის უახლოვდება მარგანეცის საქმეს. აქ უკვე საკმაოდ ფეხ მომაგრებულია ქართველ მწარმოებლებთან ჯგუფი: ა. ჯაყელი, ბ. პაპავა, ძმ. ვარაზაშვილები, ზ. ჯავახიშვილი და სხვა, რომლებთან ერთად მას განზრახული აქვს მრეწველობის ამ დარგის დაყენება ევროპიულს ნიადაგზედ და იქიდან უცხო სპეკულიატური წრეების გაძევება. მას მრეწველობის სხვა დარგების დამკვიდრებაც აქვს განზრახული და დიდს თანხებს ხარჯავს სატყეო საქმის, საქართველოს ნავთისა და თეთრი ნახშირის გამოკვლევებზედ. ბოლშევიკები რომ ელექტრონის სადგურებს აგებენ ამის დიდი ნაწილი ხოშტარას გამოკვლევებზედ არის დაფუძნებული. ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში მას დაწყებული ჰქონდა დიდი სანაოსნო საქმის დაარსებას საშინაო და საგარეო ვაჭრობისათვის და ამისთვის გეგმებიც ჰქონდა შეკვეთილი უცხოეთში. მანვე ითამაშა თვალსაჩინო როლი ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირების საქმეში, რაც ბოლოს საქართველოს ვაჭარ-მრეწველთა პალატის დაარსებით დამთავრდა.

როგორც პიროვნება ფრიად მიმზიდველი ადამიანი იყო განსვენებული. იგი უაღრესად მოყვარული იყო თავის ერის და დიდი გულშემატკივარი ყოველი ქართველისადმი.

ყოველივე ამის მიხედვით გასაგებია, რომ მისმა გარდაცვალებამ საერთო მწუხარება გამოიწვია ქართულს საზოგადოებაში. დაკრძალვას მთელი ქართველი საზოგადოება დაესწრო. განსვენებულის ცხედარს მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა გრ. ბერიძემ, რომელშიდაც დაახასიათა მისი მოღვაწეობა და პიროვნული ღირსებები.

მეურნე.

## კეთილშობილ ქართველ ქალის სიკვდილი

ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ შატო ლიოვილში გარდაიცვალა ჩვენი მცხოვან ისტორიკოს და პოლიტიკურ მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე ნინო.

ნინო თაყაიშვილის გაცნობის პირველივე დღიდან არ იყო ქართველი, რომელიცა გამხდარიყო ამ ქართველ მანდილოსნის დიდი პატივისმცემელი.

ნინო თაყაიშვილი იმ მაღალზნეობრივ და კეთილშობილურ ქართველ ქალთა წრის განსახიერება იყო, რომელმაც მრავალ საუკუნეთა მანძილზე საქართველოში ქართულ ქალს მოუპოვა ღირსული პა-



ტივისტემა და სიყვარული და ქართველობამ ეს გრძნობანი უკლტად გადააქცია.

მის დაკრძალვას შორეულ ლეოვილში პარიზიდან მთელი ქართული საზოგადოება დაესწრო.

მის სიკვდილს დიდი და პატარა, ქართველი და უცხოელი ყველა ერთად დასტიროდა.

საუკუნოდ იყოს ხსენება ამ რჩეულ ქართველ ქალის, მეოჯახის და ადამიანისა.

## მ მ ი ზ რ ა ტ ი ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა

**ავვისტოს აჯანყების წლის თავი.**

კვირას, 30 ავვისტოს, „ალიანს ფრანსეს“-ის დარბაზში გაიმართება ქართულ კოლონიის საერთო კრება, ავვისტოს აჯანყების წლის თავის აღსანიშნავად.

აჯანყების შესახებ მოხსენებას გააკეთებს შ. ამირეჯიბი.

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნა:**

27 ივნისს პარიზში გაიმართა ავადმყოფ ქართველთა დამხმარე ქართველ ქალთა კომიტეტის თაოსნობით ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნის საღამო. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საღამოს თავმჯდომარემ საქ. ელჩმა ბ. აკაკი ჩხენკელმა. ქ-ნ ელენე მამულიაშვილის ასულმა შობდენილად წაიკითხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების აღწერა. ილ. დაღეშქელიანმა გააცნო საზოგადოებას ერთი უცხოელ მხედრის მოგონებანი ჩოლოყაშვილის ბრძოლების შესახებ. შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ჩოლოყაშვილის შესახებ საფრანგეთის შტაბის ოფიცერმა ლუი კოკემ. შ. ნებიერიძემ წაიკითხა მოხსენება სადაც მოყვანილი იყო ქ. ჩოლოყაშვილის და მის შეფიცულთა ბრძოლების ზოგიერთი მომენტები და მხატვრულად აღწერილი ბელადის სურათი ამ ბრძოლებში. დასასრულ შალვა ამირეჯიბმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც მხატვრულად დაასურათა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის ზოგიერთი და განსაკუთრებით ისეთი ეპიზოდები, რომელთა შესახებ ფართე საზოგადოებამ არაფერი უწყის; განსაკუთრებით საყურადღებო იყო მოგონება ქ. ჩოლოყაშვილის თბილისში შესვლისა და იქ თათბირისა პოლიტიკურ ცენტრთან აჯანყების საკითხის გადაჭრის მიზნით. საღამოზედ გადაწყდა ქ. ჩოლოყაშვილის სახელობის ფონდის დაარსება.

**ქართული წარმოდგენა.**

ივნისის 4 პარიზში წარმოდგენილ იქმნა აკაკი წერეთლის „პატარა კახი“. წარმოდგენის დაწყებამდე ვ. ნოზაძემ მიჰპართა საზოგადოებას სიტყვით, რომელშიდაც გააცნო პარიზში მუდმივი ქართული დასის დაარსების მიზნით დაწყებული მუშაობა და სთხოვა მას



დასის სახელით თანაგრძნობა-დახმარება ამ ეროვნულს საქმეში. საქმეებით გასაგებია, რომ ეს პირველი ცდა უნაკლებო არ იქნებოდა, მაგრამ საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ახალ დასს და მის მეთაურს შ. ნებიერიძეს დიდის სიყვარულით და გატაცებით აქვს დაწყებული ეს საქმე და დაიშალა დიდის კმაყოფილებითა და იმედით, რომ ეს საქმე კეთილად დაგვირგვინდება.

### ქაქუცას ხსოვნის საბავშვო საღამო.

19 ივლისს, ვიროფელში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბინაზედ შესდგა საბავშვო საღამო, როელიც ჩვენი ეროვნული გმირის ხსოვნისთვის იყო მიძღვნილი. დადგმულ იქმნა დიდის ხელოვნებით შერჩეული ცოცხალი სურათები ქართულ მითოლოგიიდან და ხალხურ პოეზიიდან. ყოველივე ეს შშვენიერად იქმნა შესრულებული ჩვენი მოზარდი თაობის მიერ. დასასრულ ქაქუცას დიდი სურათის წინაშე წაკითხულ იქმნა მის შესახებ შეთხზული ხალხური ლექსები სათანადო ხალხური სიმღერებით. საზოგადოთ და კერძოდ ამ საღამოსთვის ბავშვების წვრთნას ეწეოდა თვეების მანძილზედ კნობილი ქართველი პედაგოგი ქ-ნი სოფიო კელია, რომელსაც დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე მადლობა გადაუხადა ამ ნაყოფიერად გაწეულ შრომისათვის და საზოგადოებაც კმაყოფილად დაიშალა.

### ზურაბ ავალიშვილის ახალი წიგნი.

ამ ორი წლის მანძილზედ პროფესორ ზურაბ ავალიშვილმა გამოსცა მეორე წიგნი—„ვეფხისტყაოსნის საკითხები“. ეს წიგნი, როგორც პირველი—„ჯვაროსანთა დროიდან“ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ ქართულს მწერლობაში და საზოგადოებაც დიდის ინტერესით შეხვდა ამ გამოცემას. წიგნი საკმაოდ დიდი ტანისაა და ღირს 15 ფრ.

## ზოგიერთი განმარტებანი

ქართული პოლიტიკის მიმდინარე ვითარება მრავალ დიდსა და მცირე კითხვებს უყენებს ჩვენს პოლიტიკურ წრეებს, რომელთა შესახებ გარკვეული აზრის შემუშავება ფრიად საჭიროა და სავალდებულო. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელი ორგანო მრავალს ასეთს შეკითხვებს ღებულობს პარტიის წევრთა და თანამოაზრეთაგან. ეს შეკითხვები ერთსა და იმავე საკითხების გარშემო ტრიალებს და ვინაიდან ცალ-ცალკე პასუხის გაცემა მრავალს სიძნელეს შეიცავს, უფრო მიზანშეწონილად დაეინახე ბეჭდვითი საშუალებით განმარტო ეს კითხვები ისე, როგორც ეს მიღებული და გადატრილი აქვს ჩვენს პარტიას და როგორც ეს მრავალჯერ გამოგვიტყვემს ჩვენს ორგანოში და ორგანიზაციებში წაკითხულ მოხსენებებში.

1) პოლიტიკაზე და პარტიებზე რომ ხშირად ისმის საზოგადოთ უარყოფითი აზრები, ეს აიხსნება მის ავტორთა სულიერი დეპრესიითა



და ბრძოლის უნარის დაკარგვით, ანუ მათი პოლიტიკური საკითხებში გაურკვევლობით. პოლიტიკა ქვეყნის და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის საქმეა და თითოეულ მოქალაქის ცხოვრება მაზედ დიდათ არის დამოკიდებული. ხოლო თანამედროვე ხალხთა პოლიტიკური ცხოვრება პოლიტიკურ ორგანიზაციათა, პარტიების მუშაობაზედ შენდება და მათი უარყოფა თავისი ეროვნული პოლიტიკური არსებობის დამყარებისათვის მუშაობის უარყოფას მოასწავებს. სახელმწიფოებრივად მოწყობილ ერებში პოლიტიკას ემსახურება სახელმწიფო მოხელეთა უამრავი ლაშქარი, მრავალი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, პრესა და სხვა. ამაზედ იხარჯება მთელი ეროვნული მეურნეობის შემოსავლის მეოთხედი და კიდევ მეტიც. გასაგებია, რომ სახელმწიფოებრივ არსებობა დაკარგულ და მისი მოპოვებისათვის მებრძოლ ერებს ამაზედ ნაკლები მსხვერპლის გაღება არ ჰმართებს შრომითა და საღსრით. საკითხი შეიძლება იყოს მხოლოდ ცუდს პოლიტიკაზედ, ცუდათ აშენებულ პარტიებზედ და გაჯანსაღებისა და განვითარების საჭიროებაზედ.

2) ხალხთა პოლიტიკური ცხოვრების განვითარების ისტორია გვარწმუნებს უდავოდ, რომ ამ განვითარების და დაწინაურების პროცესს აქვს საშუალო გეზი, ცენტრალური ხაზი, რომლის გარშემო იყრის თავს ცხოვრების ყველა უმთავრესი დარგების დადებითი მოვლენები. ამ საშუალო ხაზის პოლიტიკას აქვს თავისი შემეცნება და იდეოლოგია, ცხოვრების სინამდვილეზედ დაყრდნობილი და მის რეალურ მოვლენათა ანგარიშზე დამყარებული. მას აქვს თავისი ხასიათი მოქმედებისა თანდათანობით და მშვიდობიანი ევოლიუციით მსვლელობისა, თავისი მეთოდი და მორალი—სხვა და სხვა ძალთა წინააღმდეგობის შემარიგებელი, ამ ძალთა საშუალო სწორ მოქმედი ძალის გამონახვისა და მასზე დაყრდნობის.

3) ეროვნულ - დემოკრატიული მიმართულება მესამეოციანთა თაობიდან დაწყებული ამ ზომიერს და საშუალო ცენტრალურ ხაზზე დგას და მასშია მისი მთავარი ძალა და მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულს ცხოვრებაში. ეს მიმართულება არ იყო საკმარისად ფენომომაგრებული, როდესაც შინაურ და გარეშე არა ნორმალურ და გარდამავალ პირობების მეოხებით ძალზე გამძლავრდენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წრეები. ამან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენს მიმართულებაზედ იდეურად, ორგანიზაციულად და მორალურადაც. მას ნაწილობრივ შეუსუსტდა რეალური ბუნება, და შეეთვისა ზოგიერთი წესები, ზნე და ხასიათი, რის გამო ის ხშირად ისეთი მეთოდით უდგებოდა კითხვებს, როგორც მის ბუნებას არ შეეფერებოდა. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გარდაუვალ ამოცანას შეადგენს ასეთი ელემენტებისაგან რადიკალურად განთავისუფლება და მისი ხელმძღვანელი ორგანოები ამიერიდან მტკიცედ მუშაობენ ამ მიმართულებით.

4) როგორც სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და საშუალო ხაზზე მდგომი მიმართულება, ეროვნული დემოკრატია მუდამ იდგა ეროვნულ ძალთა შორის შეთანხმებული და შემარიგებელი განწყობილების დამყარების ნიადაგზედ და შესაძლებლობის ფარგლებში ამ ძალთა დაახლოებისა და გაერთიანებისა საერთო ეროვნულ ამოცანების განაღდების მიზნით. ამ მიმართულებით ის მრავალჯერ ამყარებდა სხვა პოლიტიკურს წრეებთან შეთანხმებებსა თუ ორგანიზაციულს



კავშირს მორიგ ამოცანათა თუ საერთო ეროვნულ პოლიტიკის ნი-  
დაგზედ. ასეთი მისი გეზი ბუნებრივად უფრო სავალდებულო და აუ-  
ცილებელი გახდა იმ ეროვნულს ბრძოლაში, რომელსაც უცხო ძალი-  
საგან დაპყრობილი საქართველო აწარმოებს 1921 წლიდან. ეროვნულ  
დემოკრატიული პარტიის თაოსნობით დამყარდა გაერთიანებული  
განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში და ის ამის შემდეგ  
მტკიცედ დგას ამ პოზიციებზედ. მართალია ამ შეთანხმებებს მრავალი  
ნაკლი დაჰყვა თავიდანვე და ის მრავალჯერ ირღვევოდა, მაგრამ  
ამ გარემოებას არასოდეს გამოუწვევია ეროვნულ-დემოკრატი-  
აში პრინციპული შეხედულობის შეცვლა ძალთა გაერთიანების  
საჭიროებაზედ. სადავო ხდებოდა გაერთიანებული ორგანიზების მუ-  
შაობის პირობები და წესები და არასოდეს თვით ამ გაერთიანების  
სარგებლობა და მიზანშეწონილობა.

5) 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ შეაჩერა  
ჩვენი ერის ნორმალური პოლიტიკური განვითარება და მასთან ერთად  
მის პოლიტიკურ პარტიათა მოქმედების ნორმალურ მუშაობას. ერო-  
ვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გარდაქმნა თავისი პოლიტიკური  
გეგმები და ორგანიზაციული წყობა ამ ახლად დამყარებულ ვითარე-  
ბასთან შეფარდებით. მან ამოიღო თავისი პოლიტიკური პროგრამი-  
დან მთავარი და უდავო საფუძვლები, ხოლო გადასდვა ისეთი მიზნები  
და ამოცანები, რომელნიც ნორმალურ პოლიტიკის მიმდინარეობის  
კითხვებს უპასუხებდნენ და ამის მიხედვით სხვა და სხვა პირობებში  
შესაძლოა სადავო, შესაცვლელი, თუ შესასწორებელი გამხდარიყვენ.  
ეს მთავარი საფუძვლებია—ეროვნული სუვერენობა, სახელმწიფო  
წყობის აშენება მთელი ერის, ხალხის ნებაყოფის საფუძვლებზედ, და  
განმათავისუფლებელს ბრძოლაში თუ საზოგადოთ ყოველგვარ პო-  
ლიტიკურ მოქმედებაში ეროვნულ ძალთა ერთობისა და თანხმობის  
განაღდება. ჩვენი მიმართულებისათვის ამ უდავო საფუძვლებზედ  
ააშენა ჩვენმა პარტიამ თავისი ახალი მუშაობა და ამით აიხსნება, რომ  
მის წრეში არ ჰქონდა ადგილი იდეურ საკითხების გარშემო რაიმე და-  
ვისა და უთანხმოების აღმოცენებას.

6) ბრძოლისა და მუშაობის ახალი პირობების მიხედვით პარ-  
ტიამ შეიმუშავა ცენტრალურ და დაბალ ორგანიზაციათა ახალი წყო-  
ბა და წესები საქართველოსა და უცხოეთისათვის, რომელიც უდავოდ  
იქნა მიღებული და ათი წლის მანძილზედ წარმოებულ მუშაობით  
დაკანონებული. ეს წყობა ჰგულისხმობს ხელმძღვანელ ორგანოთა  
მოქმედების პირობებს ახალს გარემოებაში, ამ ორგანოთა შემადგენ-  
ლობის შევსებისა და შეცვლის წესებს, აღმასრულებელ საქმეთა (კენ-  
ტრალიზაციას როგორც სათავეში ისე დაბალს ორგანიზაციებში,  
ორგანიზაციათა მოქმედების წესებს, წევრთა პოლიტიკურ აღზრდა-  
განვითარების საქმეს და სხვა. რომ ასეთი ცვლილებები პარტიულ  
სისტემაში იყო ფრიად შეფარდებული ახალს ვითარებასთან, ამის  
საუკეთესო საბუთია ის, რომ პარტიამ არამც თუ შეინარჩუნა თავისი  
წინანდელი მდგომარეობა და მნიშვნელობა ჩვენს ეროვნულს ცხოვ-  
რებაში, ამ განსაკუთრებულად მძიმე პირობებში, არამედ დიდათაც  
გაზარდა და გაამძლავრა ეს თავისი მნიშვნელობა. გაცილებით უფრო  
მოწყობილი და ყოველგვარ საშუალებებით აღჭურვილი შევიდა ამ  
ახალს ბრძოლაში სოც.-დემოკრატიული პარტია, მაგრამ ის შეეცადა



ახალს არანორმალურს პირობებში წინანდელი ნორმალური პარტიული წყობის შენარჩუნებას და ჩვენ ვხედავთ, რომ ამის შედეგები არ არის დადებითი. საყოველთაოდ მიღებულ წესების გარეშე მოწყობილი კონფერენციები და ყრილობები ხელოვნურად მოწყობილ თუ ყალბ საქმედ ფასდება და მას მხოლოდ უარყოფითი გავლენა ეძლევა და რასაკვირველია მას არ ექნება იმდენი ავტორიტეტიც, რამდენი აქვს წელთა განმავლობაში ნაცნობ და საერთო თანხმობით მიღებულ და შექმნილ ორგანოს. ასეთი სისტემა მხოლოდ ამრავლებს და აღრმავებს სადაო კითხვებს და პარალიზაციაში აგდებს პარტიულ ძალებს. მეორეს მხრივ საშიშროებაა, რომ ასეთს სისტემას უფრო ადვილად გამოიყენებს მტერი პარტიის ძალთა შორის არევე-დარევის შეტანისა და მის სათავეს ძირის გამოთხრისათვის წარმოებულს მუშაობაში.

7) ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხალმძღვანელი ორგანო და ყველა მისი ორგანიზაციები მტკიცედ დგანან პარტიის ამ უდავო იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზედ. მათ ის შეეცდებიან და შეეცვლიან, როდესაც პოლიტიკური მუშაობის ნორმალურ პირობებს დაუბრუნდება. ამ დრომდე ის მას ვერ გადასინჯავს და ვერც მისი ფარგლებიდან გავა. ასეთმა სისტემამ მისცა მას შეძლება, რომ შეენარჩუნებინა მტკიცე და გარკვეული იდეური პლატფორმა და ბრძოლის უნარი მოქმედების უაღრესად მძიმე პირობებში, ხოლო საქართველოში გადახდილ ბრძოლების დროს ერის უმთავრესი ძალები მის დროშის ქვეშ დააყენა, ჩვენი პარტია რომ სხვა გზით წასულიყო, მას იმდენად მძიმე პირობებში უხდებოდა მოქმედება სხვებთან შედარებით. რომ არსებობის ნიშან-წყალსაც ვერ შეინარჩუნებდა ამ წელთა მანძილზედ.

პარტია საზოგადოება და მისი შემადგენლობა იცვლება დროთა მსვლელობაში. ზოგი ძალები მას აკლდება და ზოგი ემატება, როგორც მეთაურებიდან ისე ჯარისკაცთა რიგებში. პოლიტიკურად განუფიქრებელ ხალხში პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა და ცვალებადობა გამოსახულია როგორც ბრძოლა იმ პიროვნებათა, რომელიც ამ პარტიებს წარმოადგენენ. და როდესაც ეს პიროვნებები პარტიას დასცილდება თუ დაშორდება იდეურად თუ ფიზიკურად, ხალხის თვალში პარტიაც მას მიჰყვება მთლიანად ანუ ნაწილობრივ. ხშირად პოლიტიკური პარტიის ფართე წრებიც ასე აფასებენ ამ ვითარებას. ჩვენი პარტია უკვე გასცილდა ამ პრიმიტიულს საფეხურებს. მისი საძირკველია იდეური პლატფორმა, ხოლო პიროვნებანი ამ იდეურ ხაზის დროებითი და წარმავალი აღმსრულებელნი. ვინც მას სცილდება ეს პლატფორმა მას არ მიჰყვება, არამედ თავის ადგილზედ რჩება და ვინც მას უერთდება მას მისი საკუთარი პლატფორმა არ მოაქვს.

ყოველივე ამის მიხედვით ეროვ.-დემ. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო დროგამოშვებით ახდენს თავის ძალების გადასინჯვას და თავის ორგანიზაციებში სტოვებს ისეთს ძალებს, რომელნიც მაგარ ფეხით და მტკიცე გულით დგანან პარტიის უდავო იდეურ და ორგანიზაციულ საფუძვლებზედ და გზას უხსნის ყველა ისეთს ელემენტებს, რომელნიც მას ვერ ეგუებებიან იდეურად თუ ფსიქოლოგიურად.



ასეთი წესები არ არის დიქტატურა პიროვნული თუ კოლექტიური, არამედ დიქტატურა უდავოდ მიღებულ იდეისა და წყობის, და კარნახი ათი წლის მანძილზედ ნაწარმოებ ბრძოლისა და მუშაობისა.

ალ. ასათიანი.

### ქართველ საზოგადოების საქუჩადღებოთ!

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ 15 სექტემბერს გამოვა პირველად ევროპაშიდ დაბეჭდილი ბ. ი. გოგებაშვილის ქართული „დედა-ენა“ (პირველი ნაწილი). ჩვენი მოზარდათაობა მოკლებულია მშობლიური ენის შესწავლის საშუალებას და მით გადაგვარების გზას ადგია. ამ საშიშროების წინააღმდეგ სწრაფი ზომების მიღებაა საჭირო და ამ მიმართულებით „დედა-ენას“ დიდი დახმარების გაწევა შეუძლიან. ასეთ მიზანს ემსახურება ეს ჩემი გამოცემა.

„დედა-ენაში“ არის მოთავსებული ყველა ის სურათები, რომელიც ერთვოდა მის გამოცემას საქართველოში ბ. ი. გოგებაშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 48 გვერდს და ეღირება 10 ფრანკი გადაგზავნით. მისი დაკვეთა და შეძენა შეიძლება ყველა ქართულ კოლონიებშიდ ან და შემდეგი მისამართით: 13, rue Lavoisier, D. Keladzé. CACHAN (S.). წინდაწინ დაკვეთისათვის არავითარი წინასწარი დაბეება არ არის საველდებულო.

ქართული საზოგადოება თუ დარჩება კმაყოფილი ამ გამოცემით, და მასთან ერთად მის გავრცელებაში დამეხმარება,—განზრახვა მაქვს გამოვცე მისი მეორე ნაწილიც.

ვთხოვ ყველა ჟურნალ-გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი. თავიანთ პატივცემულ ორგანოებში.

დ. ხელაძე.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს, თქვენს პატივცემულ ჟურნალის უახლოეს ნომერში.

ღია წერილი ბ-ნ ვიქ. ნოზაძეს!

იმ კომფლიკტის გამო, რომელიც მოხდა ჩვენს შორის, მე თქვენ გამოვიწვიეთ სამედიატორო სასამართლოშიდ სასტამბო საქმეების გომა.



ჩემი პირველი წერილის საპასუხოდ თქვენ მოითხოვდით, რომ კონკრეტულად დამესაბუთებინა თქვენთვის, თუ რაში გდებთ ბრალს და ამის შემდეგ თქვენ ყოველთვის მზათ იქნებით გამომყვეთ სამედიცინო სასამართლოში... რასაკვირველია თქვენთვის აშკარა იყო რაშიდაც გდებდით ბრალს, მაგრამ მე მაინც მოვალეთ ვიცანი თავი, დამეკმაყოფილებინა თქვენი სურვილი და წერილობით გაცნობეთ ჩემი თქვენდამი ბრალდებები...

ამის შემდეგ — დარწმუნებული ვიყავი, რომ გაცემული სიტყვის ბატონი დარჩებოდა; ჩვენს დავას სამედიცინო სასამართლოს გზით გადავსწყვეტავდით, მაგრამ ეს არ გამარლდა და თქვენ უარი განაცხადეთ სამედიცინო სასამართლოშიდ გამოსვლაზედ, რაც თქვენ აცნობეთ წერილობით ჩემს მედიატორეს მოქ. ნიკიტა იმნაიშვილს... საყოველთაოდ მიღებული წესების მიხედვით, ამით თქვენ თვითონვე დაადასტურეთ ის ბრალდება, რომელიც მე თქვენ წამოგიყენეთ... აღვნიშნავ რა ამ ფაქტს, ვათავებ ყოველივე კამათს და მიწერ-მოწერას ამ საგანზედ.

დ. ხელაძე.

---

Le Gérant L. OTTOLINI.





საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა